ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 22 ოქტომბერი 1998 №191 (726) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# გუცაევი ალაპარაკდა

## საქართველოს ნაკრების თავკაცი ამბობს იმას, რაზეც სხვები მხოლოდ ჭორაობენ

...ჯერ არაფერი ჩაწყნარებულა. კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება ასე ყველაფერი ახლა იწყება, ეგებ დასასრულის დასაწყისიც კი. ხალხს ყელში ამოუვიდა, მოსწყინდა, ხელი ჩაიქნია, დამნაშავენიც უწინდელისგან განსხვავებით სხვანი არიან, აზრი ერთია — საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ფეხბურთელები ნებსით თუ უნებლიედ არ თამაშობენ.

ქვემორე ინტერვიუსაც დიდი შესავალი არ სჭირდება. „სარბიელის" პოზიცია ეროვნული გუნდის თაობაზე უკვე გეცოდინებათ. ახლა პირდაპირ საქმეზე.

10 ოქტომბერი. რიგა. ლატვია — საქართველო 1:0; 14 ოქტომბერი. ათენი. საბერძნეთი — საქართველო 3:0. სრული ფიასკო, იმედგაცრუება, დასამარებული ოცნებები.

ნაკრების მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი ხუთი დღე შოკში იყო, კრიჭაშეკრულიისთვის მარტოობა სამოთხე გახლდათ.

და დღეს პირველად, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი რიგა — ათენური სირცხვილის თაობაზე ამბობს და „სარბიელის" კითხვებს პასუხობს. აკი თავიდანვე შევთანხმდით, გულახდილად ვისაუბროთო.

— როცა თბილისში ალბანეთის ნაკრებს ვძლიეთ, დიდი იმედი მქონდა, რომ შემდგომ ორ თამაშსაც წარმატებით ჩავატარებდით. მაშინ ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა, ვფიქრობდი, ესენიც დაგვემატებიან და სრული საბრძოლო შემადგენლობით გავუმკლავდებით ლატვიისა და საბერძნეთის გუნდებს-მეთქი. ვფიქრობდი, რომ მართლაც უძლიერეს ფეხბურთელებს დავუძახე, ვფიქრობდი, ამ ორი თამაშის შემდეგ საქართველოში მინიმუმ ოთხი ქულით დავბრუნდებოდით, რიგაში, თამაშამდე ხუთი დღით ადრე გამგზავრება და შეკრება უკეთესი იქნებოდა, აქაურობას განვერიდებოდით, არავინ შეგვაწუხებდა, მაგრამ...

იხილეთ მეორე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი

# 5 ტური

22 ოქტომბერი. ხუთშაბათი

**შევარდენი — სტუ**
**თსუ — ვითა**

23 ოქტომბერი. პარასკევი

**დინამო — აზოტი**
**მაკაბი — კოლხა**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 4 | 4 | 0 | 376:314 | 8 |
| თსუ | 4 | 3 | 1 | 358:316 | 7 |
| აზოტი | 3 | 3 | 0 | 271:224 | 6 |
| დინამო | 3 | 2 | 1 | 250:238 | 5 |
| შევარდენი | 3 | 2 | 1 | 161:155 | 5 |
| ვითა | 3 | 2 | 1 | 181:181 | 4 |
| მაკაბი | 4 | 0 | 4 | 298:343 | 4 |
| სდასუ | 4 | 0 | 4 | 309:358 | 4 |
| კოლხა | 4 | 0 | 4 | 291:366 | 4 |

ვითას დაკლებული აქვს 1 ქულა

იხილეთ მეათე გვერდი

**კალათბურთი. ევროლიგა**

მეხუთე ტური

D ჯგუფი

**ტიმსისტემი 66:73 რეალი**

## ჩემპიონთა ლიგა. მესამე ტური. 21 ოქტომბერი

CHAMPIONS LEAGUE

### A ჯგუფი

**პორტუ 3:0 კროაცია**

1:0 დორივა (33), 2:0, 3:0 ზაჰოვიჩი (43, 75)

პორტუ: კრალი, სეკრეტარიუ, ჟორჟე კოშტა, ალვეში, მენდესი, დორივა, პაულინიუ სანტუში, ზაჰოვიჩი (ჩიპო 89), კაპუჩო (რუი ბარუში 77), დრულოვიჩი (ოლივეირა 62), ჟარდელი

კროაცია: ლადიჩი, ტოკიჩი, იურიჩი, სიმიჩი, რუკავინა, კრჟნარი, სარიჩი (საბიჩი 46), იურჩიჩი, იელიჩიჩი (მუიჩინი 46), მარიჩი, სოკოტა

**ოლიმპიაკოსი 1:0 აიაქსი**

1:0 ალექსანდრისი (38)

ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპოლუსი, კარატაიდისი, ამანატიდისი, პურსანიდისი, ჯანაკოპულოსი, გოგიჩი (ოფრიგაე 74), ჯორჯევიჩი, კარაპიალისი (ნინიადისი 86), გეორგიატოსი, ალექსანდრისი (პასალისი 69), ანატოლაკისი

აიაქსი: ვან დერ სარი, ტობიასენი, ოლისე, რუდი, ფ. დე ბური, რ. დე ბური, ლიტმანენი, ვიჩხე, ვამბერტო (დანი 46), არველაძე (ბენი 79), გრონკიაერი (ძინძალაძე 46)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| პორტუ | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| აიაქსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| კროაცია | 3 | 0 | 1 | 2 | 0:5 | 1 |

### B ჯგუფი

**ატლეტიკი 0:0 იუვენტუსი**

ატლეტიკი: ი. ეჩებერია, ლარასაბალი, ალკორტა (რიოსი 4), კარლოს გარსია, ლაკრუსი, ურუტია (ხორხე პერესი 85), ალკისა, იმასი, გერერო (ესკუერო 58), ურსაისი, ხ. ეჩებერია

იუვენტუსი: პერუცი, პესოტო (იულიანო 28), მონტერო, ტუდორი, ბირინდელი, დავიდსი (ტაკინარდი 75), დეშამპი, დი ლივიო, დელ პიერო (ფონსეკა), ინძაგი, ზიდანი

**როზენბორგი 3:0 გალათასარაი**

1:0, 2:0, 3:0 რუშფელდტი (68, 86, 90)

როზენბორგი: არასონი, ბასმა, ბრაგსტადი, ჰოფტუნი, ბერგდოლმო, სტრანდი, სკამელსრუდი, ვინსნესი (მაიერი 75), სორენსენი (დალუმი 75), რუშფელდტი, მინი იაკობსენი (ჰერნესი 54)

გალათასარაი: ტაფარელი, უნსალი, პოპესკუ, ვედათი, ფათიჰი, უმითი (თოლუნაი 75), ოკანი (ბელოზოღლუ 88), ერგუნი, ჰასან სასი (არიფი 86), ჰაკანი, ჰაჯი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| გალათასარაი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 |
| იუვენტუსი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| ატლეტიკი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |

### C ჯგუფი

**ინტერი 2:1 სპარტაკი**

1:0 ვენტოლა (32), 2:0 რონალდო (59), 2:1 ციმბალარი (65)

ინტერი: პალიუკა, სიმეონე, გალანტე, სილვესტრი, ვესტი, სოუზა, ვინტერი, კოე, ჯორკაეფი (პირლო 34), ვენტოლა (სამორანო 84), რონალდო (ზე ელიასი 74)

სპარტაკი: ფილიმონოვი, ხლესტოვი, ბუშმანოვი, ანანკო, პარფიონოვი, ბარანოვი (მილიოშინი 81), ციმბალარი, რომაშჩენკო, ტიხონოვი, პისარევი (კანიშჩევი 66), რობსონი

**რეალი 6:1 შტურმი**

0:1 ვასტიჩი (8), 1:1 სავიო (12), 2:1 რაული (22), 3:1 იარნი (60), 4:1 პოპოვიჩი (66 ს.კ.), 5:1 იარნი (79), 6:1 სავიო (90)

რეალი: ილგნერი, პანუჩი, სანჩისი, იერო, რობერტო კარლოსი, კარემბუ (ხაიმე 46), ზეედორფი, იარნი, რაული (გუტი 80), მიატოვიჩი (შუკერი 74), სავიო

შტურმი: სიდორჩუკი, ფოდა, პოპოვიჩი, ნიუკირხნერი (კოსიანი 67), შოპი, მაელიხი, რაინმაიერი, შუპი, პოში, ვასტიჩი (მარტენსი 89), ჰაასი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:3 | 6 |
| სპარტაკი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| შტურმი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |

### D ჯგუფი

**ბრონდბიუ 2:6 მანჩესტერი**

0:1, 0:2 გიგზი (2, 21), 0:3 კოული (27), 1:3 დუგაარდი (34), 1:4 კინი (54), 1:5 იორკი (59), 1:6 სოლსკიაერი (61), 2:6 სანდი (90)

ბრონდბიუ: კროგი, კოლდინგი, ნილსენი (მ. იანსენი 31), რასმუსენი, ბ. იანსენი (და სილვა 27), ბიური, რავნი, დუგაარდი, ლინდრუპი, სანდი, ჰანსენი (ბაგერი 66)

მანჩესტერი: შმაიხელი, ბრაუნი, გ. ნევილი, სტამი, ფ. ნევილი, სქოულზი, კინი, გიგზი (კრუიფი 59), ბლომკვისტი, კოული (სოლსკიაერი 59), იორკი (უილსონი 64)

**ბაიერნი 1:0 ბარსელონა**

1:0 ეფენბერგი (45)

ბაიერნი: კანი, ბაბელი (ლინკი 79), კუფური, იერემისი, ლისარასუ, ფინკი, ტარნატი, ეფენბერგი, ბასლერი, ელბერი (იანკერი 89), სალიჰამიჯიჩი (ციკლერი 79)

ბარსელონა: ჰესპი, ოკუნოვო, აბელარდო, კოკუ, რაიციგერი, ხავი (ოსკარი 87), ჯოვანი, ლუის ენრიკე (ზენდენი 78), ფიგუ, რივალდო, ანდერსონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 1 | 2 | 0 | 11:7 | 5 |
| ბარსელონა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ბაიერნი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ბრონდბიუ | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | 3 |




REUTERS ლონდონიდან

არსენალი — დინამო. კიეველმა კახი კალაძემ დენის ბერკამპს გატანაში ხელი ვერ შეუშალა

### E ჯგუფი

**არსენალი 1:1 დინამო**

1:0 ბერხკამპი (74), 1:1 რებროვი (90)

არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინთერბერნი, ადამსი, ანელკა (ვივასი 85), ბერხკამპი, ოვერმარსი, კიოუნი, პარლოუ, გარდე, ჰიუზი

დინამო: შოვკოვსკი, ლუჟნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, კალაძე, კოსოვსკი, შევჩენკო, რებროვი, გუსინი (კარდაში 83), ბელკევიჩი

**ლანსი 1:0 პანათინაიკოსი**

1:0 ელუა (80)

ლანსი: ვარმუზი, სიკორა, დეუ, რული, დალმატი (ელუა 65), დებევი, ნიარკო, მრიდი, შმიცერი (მორეირა 75), ვერელი, ნუმა

პანათინაიკოსი: ვანძიკი, აპოსტოლაკისი, ვოკოლოსი, ასანოვიჩი, გუმასი, ლაგონიკაკისი (მიუკლანდი 83), მაურო (ალექსუდისი 59), კოსტანტინიდისი, კოლა, ლიბეროპულოსი, კიასოსი (ბასინასი 46)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ლანსი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| პანათინაიკოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| დინამო | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |

### F ჯგუფი

**ჰიკ 2:0 ბენფიკა**

1:0 ლეკოსუა (19 პ), 2:0 კოტილა (68)

ჰიკ: ვიანდერი, ტიჰინენი, საასტამოინენი, ნილანდი, კანერვა, ვასარა (რიიჰილაჰტი 30), ილოლა, ლეკოსუო, პირაკაია, კუკი (ანტონიო 63), კოტილა (კოპტეფი 79)

ბენფიკა: პრიუდომი, ჟოზე სოუზა, მადეირა, გიარა, ტომასი, პემბრიჯი, ნუნუ გომეში (პობორსკი 60), პრინგლი (პორფირიუ 76), მინტო, კანდაუროვი (კალადუ 83), ლეალი

**ეინდჰოვენი 1:2 კაიზერსლაუტერნი**

0:1 რიდლი (63), 1:1 ხოხლოვი (78), 1:2 რიშე (83)

ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ნიკიფოროვი (ბრუგინკი 73), ვან ნისტელროი, ნილისი, კოლკა (დე ბილდე 73), ვან დერ ვეერდენი, ხოხლოვი, ლუსიუსი, რომედალი, შკერლა, ვან დერ დულენი (ივანი 90)

კაიზერსლაუტერნი: რაინკე, ბალაკი (რიდლი 60), როოსი, სამირი, რამზი, ხრისტოვი, სფორცა, მარკო რაიხი, ოჯიგვე, როსლერი (რიშე 75), კოხი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაუტერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ჰიკ | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ეინდჰოვენი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ბენფიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |

# გუცაევი ალაპარაკდა

დასაწყისი პირველ გვერდზე

პირობები ნორმალური გვქონდა, ყველა ვარჯიში წინასწარ იყო დაგეგმილი, ვიცოდით, როდის რა გვეკეთებინა. ლატვიასთან მატჩის წინა დღეს ჩემთან ვინ აღარ მოვიდა, გუნდი შეგიკრავთ, ბიჭები მონდომებულები ჩანანო, მეუბნებოდნენ. პასუხი კი მზად მქონდა, ყველაფერს შედეგი გამოაჩენს-მეთქი, ვამბობდი. მთავარი ჩვენი მოგება იყო, სამი ქულა თავისთავადი პასუხი იქნებოდა. იბრძოლეთ, იომეთ, თავი დადეთ, მოინდომეთ-მეთქი, ყოველი ვარჯიშის წინ, მატჩის დაწყებამდე, შესვენებაზე პირზე ეს სიტყვები მეკერა.

წავაგეთ... დავით გვარამაძე თამაშისას ორჯერ უხეშად შეცდა, მაგრამ რომ გავიძახით, საქართველოს ნაკრები ვარსკვლავებითაა სავსეო, 88 წუთი წინ არ იყო? დაემტკიცებინათ მათი ვარსკვლავობა. თითოეულ მატჩში ხომ თავგანწირვაა საჭირო?

**— ეგრეა, წავაგეთ, მაგრამ ათენის იმედი მაინც გვქონდა.**

— გუნდი გატეხილი იყო. ფსიქოლოგიური მომზადებისთვის ცდა არ დაგვიკლია. მატჩამდე სამი დღით ადრე მუდამ ერთს ვეჩიჩინებოდი ფეხბურთელებს — არა უშავს, დაივიწყეთ რიგა, ვის არ წაუგია, ბერძნებისთვის განეწყვეთ-მეთქი. ორი თამაში ჩავატარეთ. გუნდის ექიმს კი ერთი ტკივილგამაყუჩებელი, ერთი გორგალი სახვევი, ერთი წვეთი ბრილიანტის მწვანე არ გამოუყენებია. ტრავმებისგან და წამლებისგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ბრძოლისას ფეხი ხომ უნდა გეტკინოს? ხომ უნდა იგრძნო ოდნავი ტკივილი მაინც? ხალხმა ყველაფერი დაინახა, ვინ რისი მაქნისია, ვინ ძველი ავტორიტეტით სარგებლობდა. კრება მოვიწვიე სასტუმროში, ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის უნდა ვიყოთ, ჩვენ საქართველო გვიყურებს, გვქომაგობენ, იმედი აქვთ-მეთქი. მუდამ ამისთვის ვიბრძვი, ამას ვქადაგებ. ორი ვარიანტია: ან ჩვენ, მწვრთნელები არ ვინდომებთ, ან ფეხბურთელებს არ უნდათ ჩვენთან მუშაობა. უფრო მგონია, რომ მიზეზი მეორეა. ჩემს პრინციპს მე არასდროს ვულალატებ, მოსწონთ, არ მოსწონთ, მე ჩემი აზრი მაქვს, მსურს საკუთარ თავთან მართალი ვიყო, როცა თანამდებობას დავტოვებ, ვთქვა — როგორც ვფიქრობდი, ისე გამიკეთებია, არავის ჭკუაზე გამივლია-მეთქი. მოგწონთ ჩემი მეთოდი, სიამოვნებით, ითამაშეთ, არ მოგწონთ — არავინ გეხვეწებათ. ფეხბრთელის ნებაზე არაა, გუნდის მწვრთნელი იმიტომაა საჭირო, რომ სხვა მას მიჰყვეს. მე არავის მტერი ვარ, მინდა სიკეთე მოვუტანო ქართულ ფეხბურთს, ხალხი გავახარო, საქართველოს ძველი დიდება დავუბრუნო.

**— კეთილი, ბატონო ვოვა, ახლა ეროვნული გუნდის სამზარეულოშიც შევიხედოთ. იქიდან გამოსულ ხმებს გაგიმეორებთ. თქვენ კი თქვით, იყო ასე თუ არა.**

— ყველაფერს გულახდილად გეტყვით.

**— მაშ დავიწყოთ. ამბობენ, მურთაზ შელია თქვენზე ნაწყენი დარჩა რიგაში ერთ-ერთი ვარჯიშისას, ტყუილად რად გამომიძახეთო.**

— ლატვიასთან მატჩის წინ, ვარჯიშზე, ბიჭები ორ გუნდად გავყავი. ბუნებრივია, ერთი თერთმეტეული პირობითად ძირითადი შემადგენლობა იყო. ლიბეროობა ნემსაძეს დავავალე, სტოპერობა კალაძეს. ვითამაშეთ. ჩემეული დასკვნები გავაკეთე. შელია კუტივაძესთან მიდის და ეუბნება, თუ არ მათამაშებთ, ტყუილად რად მეძახითო. არადა, გამოძახებამდე მურთაზს ინგლისში ხუთჯერ დავურეკეთ, მზად თუ ხარ ნაკრებში სათამაშოდ, ვეკითხებოდით. ხუთჯერვე გვითხრა, მზად ვარ, გამომიძახეთო. ჩამოვიდა რიგაში და დილეტანტიც შეამჩნევდა, ფორმაში ვერ იყო. ვუთხარი, ათენამდე ხუთი დღეა, მოემზადე, ეგებ ძირითადში გათამაშო-მეთქი. ვითამაშეთ ათენში და მატჩის შემდეგ ამბობს, მოუმზადებელი კაცი როგორ მათამაშეთო. მერე თქვა, გუცაევს ბერძნებთან მატჩამდე ჩემთვის კონკრეტული დავალება არ მოუციაო. ღმერთია მოწმე, თავად ფეხბურთელები, ჩემი ასისტენტები, ვუთხარი, მურთაზ, მახლასი სახიფათო თავდამსხმელია, პერსონალურად ეთამაშე, თავისუფლად მოქმედების საშუალება არ მისცე, ახლოს ეთამაშე-მეთქი. დავალება როგორ შეასრულა, ყველამ იცის.

**— თქვენზე ქეცბაიაც ნაწყენიაო. ერთი-ორჯერ საკმაოდ მწვავედაც გისაუბრიათ.**

— ნაწყენი იყო ქეცბაია, ალბანელებთან მატჩისას რომ შევცვალე. იმ ცვლილებამ ჩვენ თამაში მოგვაგებინა. ჩამოვიდა რიგაში და შევატყვე, უგუნურად იყო. თუმცა ვარჯიშისას მონდომებული ჩანდა. რატომ შემცვალეო, ისე მითხრა, თითქოს ჯერ არავის შეეცვალოს. ჩემს ადგილას არ მათამაშე ალბანელებთანო, ესეც თქვა. მატჩის წინ კი ვკითხე, თემურ, სად გირჩევნია თამაში-მეთქი. თავდასხმაშიო, მიპასუხა. ვერ გამიგია, თავის ცუდ თამაშს მე რატომ მაბრალებს. თუმცა მარტივი მეთოდია...

ერთ მშვენიერ დღეს თემურს სალაპარაკოდ დავუძახე. რად ხარ ნაწყენი-მეთქი, ვეუბნები. თქვენ აწი კაცი ველარ გამოგცვლით, კომუნისტურად აზროვნებთო, გვეუბნება მე და კუტივაძეს. რატომ? — ვეპასუხები. იმიტომ, რომ თამაშამდე თავისუფლებას არ გვაძლევთ, გავლა-გამოვლა გვინდაო — შემომიბრუნა თემურმა. ცდები, თამაშამდე რეჟიმში უნდა იყო, დაჯექი სასტუმროში, ტელევიზორია, წიგნია-მეთქი. საკმაოდ ემოციურად ვილაპარაკეთ. ისიც ხომ ფაქტია, ქეცბაია რაც ადრე იყო, იმის ნახევარი აღარაა.

**— ქეცბაიასვე უთქვამს თქვენთვის, მე ინგლისის დროით ვცხოვრობო.**

— ეგ წვრილმანია. გუნდში წესად გვაქვს — დილით 9.30-ზე ვსაუზმობთ, ათიდან 11.30-მდე კი ვვარჯიშობთ. ჰოდა, ქეცბაიაც ერთ დღეს მეუბნება, მე ინგლისის დროით ვცხოვრობ, საუზმე და ვარჯიში გადავწიოთო. გამიკვირდა, ვინც საქართველოში ან სხვა ქვეყანაში ცხოვრობს, რომლის დროც გრინვიჩისგან განსხვავებულია, იმან რა ქნას? გუნდი ჯგუფ-ჯგუფად დაიყოს, ერთმა თერთმეტის ნახევარზე ივარჯიშოს, მეორემ თორმეტის ნახევარზე-მეთქი, ვკითხე. არ ვიცი, მე ადგომა მიჭირს, ინგლისში ვცხოვრობო.

**— ლატვიასთან მატჩის მერე ჯამარაული და ქეცბაია არცთუ სახუმაროდ შელაპარაკებულან.**

— ეგეც წვრილმანია. წაგებული მატჩის მერე ხდება ხოლმე. ქეცბაიამ უთხრა, გუნდში არ თამაშობ, შენ როგორ გაყენებენ ძირითადშიო. ამის შემდეგ შელაპარაკდნენ. ამათ გასაყოფი რა ჰქონდათ? ჯამარაულთან მე ყველაზე ნაკლები პრეტენზია მაქვს, ბიჭი სულს და გულს სდებს თამაშში, არაფერს იშურებს. მისი უგუნდობა კი დროებითია, ორივე მატჩიც ნორმალურად ითამაშა. ყველაფერი მალევე ჩავაწყნარეთ.

**— ჯანაშია ნაკრებში სათამაშოდ იმიტომაც არ ჩამოდის, რომ თანაგუნდელებს ათვალწუნებული ჰყავთო.**

— რიგაში რაც მოხდა, იცით. ზაზამ „ლოკომოტივის“ ექიმის წერილი ჩამოგვიტანა, მენისკი მაწუხებსო. გავათავისუფლეთ. მაშინ გულახდილადაც ვისაუბრეთ, ისიც მითხრა, ნაკრებში დისკომფორტია, ზოგიერთი ფეხბურთელის გამო თავს ცუდად ვგრძნობ, პატივს არ მცემენ, თორემ რაზეა ლაპარაკი, ნაკრები ჩემთვის უპირველესიაო. დავამშვიდე, ვითარების გამოსწორებას შევპირდი. ეს ყველაფერი კი გაცილებით ადრე დაიწყო, ცალკე ისტორიაა. ბათუმში, როცა საქართველო მოლდოვას მასინძლობდა, უთანხმოება ზოგიერთსა და მას შორის მაშინ ჩამოვარდა. ძალიან სამწუხაროა ის, რომ გუნდში ერთმანეთისგან არჩევენ თბილისელსა და სხვა ქალაქელს. თუ თბილისელი არაა, მაშინ... არადა, ნახეთ, დათვალეთ ნებისმიერ კლუბში, ნებისმიერ ნაკრებში არადედაქალაქელთა რაოდენობა. იქ ყველანი ერთმანეთს პატივს სცემენ, აფასებენ. ჩვენთან კი...

**— ათენში გუცაევმა შეგნებულად არ შეცვალა ერთზე მეტი მოთამაშე, რათა ყველას დაენახა, გუნდში რა ბედოვლათებიც ჰყავსო.**

— არა, ეგ სიმართლე არაა. უბრალოდ, რეზერვი არ გვყავდა, შეცვლაც ამიტომ არ გავაკეთე. აჩიკო არველაძე, ჯანაშია, იაშვილი ტრავმირებულნი იყვნენ. შოთა არველაძე, ყაველაშვილი და დემეტრაძე იყო ჩვენს განკარგულებაში. ამათ გარდა თავდამსხმელი არ გვყავდა. ვაგებდით და მცველი მეთამაშებინა თუ კიკნაძე, რომელიც უფრო ჩამშლელია? რა აზრი ჰქონდა 0:1-ს წავაგებდით თუ 0:3-ს? თუ შეცვლა იყო, თავდასხმა უნდა გამეძლიერებინა. იმ დროსაც გამოცდილთა იმედად ვიყავი, იმ საგოლე მომენტებიდან ერთ-ერთი რომ გამოგვეყენებინა, შეიძლებოდა ბევრი რამ შეცვლილიყო. ისე, კარგი კია, მართლაც ყველამ დაინახა, როგორი ვარსკვლავები გვყავს. საბერძნეთი კარგი გუნდია, ჩამოყალიბებული, თუ ვინმეს რაიმე სურდა, სწორედ ათენში უნდა დაემტკიცებინა, ძლიერ გუნდთან თამაშისას უნდა ებრძოლათ, თავი დაედოთ, როგორც კობიაშვილმა, კალაძემ, შეყილაძემ იბრძოლეს და იშრომეს. თუმცა ესენიც ბევრჯერ შეცდნენ.

**— ამბობენ, შოთა არველაძეს რამდენჯერმე უთქვამს თქვენთვის, ესა და ეს გამოიძახეო.**

— ნურავინ მასწავლის, ვინ, როდის და რატომ გამოვიძახო. თუ შოთა რამეზე ნაწყენია, მოვიდეს, პირში მითხრას, პასუხს გავცემ. სულ არ მაღელვებს, არ მაინტერესებს, ვის რა ამოძრავებს. ვიდრე მწვრთნელი ვარ, იმას გავაკეთებ, რასაც საჭიროდ ჩავთვლი. ნაკრების ფეხბურთელს მხოლოდ ერთის უფლება აქვს, შეუძლია თქვას, ამ მწვრთნელის ხელში, ან ამ ნაკრებში არ ვითამაშებო. ადგნენ და პირდაპირ თქვან, ეს მათი ნებაა. თუ ნაკრებში მოდიხარ, კეთილი ინებე და ბოლომდე დაიხარჯე. სისხლი ბოლომდე გამოუშვი, რათა მიზანს მიაღწიო. ასე რომ არ აკეთებს დღევანდელი ეროვნული გუნდის წევრთა უმეტესობა, იმიტომაცაა, თავიანთ კლუბებში სკამებს რომ ხეხავენ.

**— ქინქლაძე განზრახ არ თამაშობს ჩვეულადო...**

— დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი. ის კი ფაქტია, გიომ ავანსები ვერ გაამართლა. ისე არ თამაშობს, როგორც შეუძლია, რასაც მისგან ველით.

**— ზემოთ თქვით, ქეცბაია თავის ცუდ თამაშს მწვრთნელს აბრალებს, თუმცა ეს მარტივი მეთოდიაო... მერე? სხვაც თქვენ გაბრალებთ? იქნებ მთელი გუნდი განგებ არ თამაშობს?**

— პრინციპი მართლაც მარტივია, თავად არ ვიყავი ფეხბურთელი? წააგებს გუნდი თამაშს, მწვრთნელს შეცვლიან, ვიდრე მეორე მოვა, სიტუაციაში გაერკვევა, მანამდე ისევ თავიანთ ნებაზე იქნებიან.

განგებ თამაშის ჩაგდებაზე კი არაფრის თქმა არ შემიძლია. ფაქტი ესეცაა, რომ თქვენ, ჟურნალისტები, უბრალო გულშემატკივრები და მწვრთნელები იმ ორი მატჩის მერე უფრო დამწუხრებულები ვიყავით, ვიდრე ფეხბურთელები. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, მილიარდები აშოვნინოს, არავინ უთვლის, ჯანმრთელობა მისცეს, მაგრამ მეც და თქვენც ნაკრები გვაინტერესებს, კლუბი მეორეხარისხოვანია. ახლა მეშინია, ნაკრებში არ თუ ვერ მოთამაშე ფეხბურთელებს ისევ თუ გამოვუძახე, უკვე კარსმომდგარი ახალგაზრდებიც მოუკლებენ თამაშს, გაფუჭდებიან. ამის უფლებას კი არავის მივცემ.

**— ესე იგი, გარანტიას იძლევით, რომ ეროვნული გუნდი გადახალისდება.**

— გარანტიას მე არა, ცხოვრება იძლევა. ხალხმა ყველაფერი იცის, ყველამ გაიგო ჩვენი ვარსკვლავების საქმენი საგმირონი. ცხოვრებამ ასე მოიტანა, ვინც ნაკრების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ის გუნდიდან უნდა წავიდეს.

როგორც მწვრთნელს, უფლება არ მქონდა, თითოეული ფეხბურთელი უყურადღებოდ დამეტოვებინა, შანსი არ მიმეცა. აღარაფრის მეშინია, არც ამ სიტყვების — მირჩევნია ჩემს გასაწვრთნელ ნაკრებში ითამაშონ ვითომ დაბალი კლასის ფეხბურთელებმა, მაგრამ იყვნენ პატრიოტები და მებრძოლები. ვინც დავალებას ვერ ასრულებს, რა თქმა უნდა, მას ნაკრების კარს ცხვირწინ მივუხურავთ.

**— კონკრეტულად გვარებსაც ხომ არ ჩამოთვლიდით?**

— ყველამ ყველაფერი კარგად იცის. ეს უახლოესი მატჩისთვის სამზადისისას გამოჩნდება. თავად იციან, ვინ რა დააშავა. ზოგზე უკვე ხელი ჩაქნეული მაქვს. ათენის მატჩის მერე პრესკონფერენციაზე რატომ არ გამოვცხადდი, იცით? მრცხვენოდა, კოლეგის შემრცხვა. რატომ უნდა გავწითლდე? ჟურნალისტებისთვის უარი არასოდეს მითქვამს, მაგრამ 14-ში საღამოს თავს ველარ მოვერიე. უგულოდ თამაშის მერე რაღა მეთქვა. რასაც ვეუბნები, ის არ სრულდება და... მერე ბრალს აქეთ მდებენ. აწი სხვაგვარად იქნება.

**— თქვენი შეცდომა რა იყო ლატვია — საბერძნეთთან მატჩების დროს? ნუთუ თქვენ უშეცდომოდ იმუშავეთ?**

— ჩემი შეცდომა ის გახლდათ, რომ გამოცდილებს ვენდე, მათი მჯეროდა. ერთ ფეხბურთელში კი ყველა შემცდარა, შეცდება კიდეც. ვფიქრობდი, ლატვიასა და საბერძნეთში საუკეთესონი წავიყვანე-მეთქი, ყველაზე კარგები გამოვიძახე. ამას წინათ ერთი მწვრთნელი შემხვდა, მეუბნება, შენი უბედურება ისაა, რომ გუნდში ძალიან ბევრი ვარსკვლავი გყავს, სახელის გამო ათამაშებ მათო. სამწუხაროდ, ის კაცი მართალი იყო. ამაში შევცდი.

**— ტაქტიკაში?**

— აწი გუნდის სათამაშო ტაქტიკასაც შევცვლით. დავრწმუნდი, ასეა საჭირო. მოთამაშეთა ცვლას, ტაქტიკური სქემის შეცვლაც მოჰყვება. ფეხბურთელებს არ შეეძლოთ შეთავაზებული სისტემითა თუ დარიგებით თამაში. ჰოდა, ახლა სხვა ხე... რხს მივმართავ. შემადგენლობაში ახალგაზრდებს ვანდობ ადგილს, მეცოდინება მაინც, თუ წავაგებთ, ბრძოლით წავაგებთ, თავს არ დავზოგავთ. შოკიდან ნელ-ნელა გამოვდივართ. ცოტა გადავხარშეთ კიდეც მომხდარის მიზეზები. დიდი მადლობა თქვენ, ზოგიერთ ჟურნალისტს, რიგა — ათენის ამბები ობიექტურად რომ გააშუქეთ, დიდი მადლობა ხალხს, ყველაფერს თავისი სახელი რომ დაარქვა. მათ იციან, ვინ რას ფიქრობს, დღესაც ძველი ავტორიტეტით ვინ სარგებლობს. საკუთარი სიამოვნებისთვის ყველაფრის წყალში გადაყრა არ ეგების, არ შეიძლება.

**— დროა სხვაზეც ვთქვათ. ორი წაგების მერე ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი კიდევ გვაქვს?**

— ღმერთი ჩვენსკენაა. ისეთი ანგარიშები დაფიქსირდა, რომ უეჭველად უნდა გამოვიყენოთ. ოპტიმისტი კაცი ვარ. ჩვენ საწადელს მივაღწევთ, ოღონდ ბიჭები ამყვნენ, ირწმუნონ საკუთარი ძალის. მარტივი პრინციპი მაქვს — რეჟიმი, ვარჯიშზე ბოლომდე გახარჯვა, ბრძოლა, დავალების შესრულება. ეს ჩემი მოგონილი არაა, არც ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, ყველა ასე თამაშობს. სხვა ანგარიშებსაც შეხედეთ.

ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა დამიჯერეს, თავადვე სიამოვნებდათ, ისე თამაშობდნენ, არ გადავაჭარბებ და ტრიუმფამდე ცოტა დაგვაკლდა. მოგების ჟინით უნდა აღივსონ ფეხბურთელები. თორემ კაცის მოტყუება და კენწვლა-ჟონგლიორობა მანუჩარ მაჩაიძეს ახლაც ყველაზე უკეთ შეუძლია. იმიტომ შეეშვა იგი ფეხბურთს, რომ ასაკი ბრძოლის საშუალებას აღარ აძლევდა.

**— სლოვენიასთან მატჩამდე ვინმესთან ამხანაგურად გაჯიბრებას თუ გეგმავთ?**

— 18 ნოემბრისთვის ესტონელები გვეხვეწებოდნენ, ვითამაშოთო, მაგრამ ახლანდელი ფედერაციის ჩინოსანთა ხუშტურების გამო ეს მატჩი აღარ შედგება. არ გვინდა თქვენთან თამაშიო, შეუთვალეს ბალტიისპირელებს. არადა, როგორ წაგვადგებოდა, ფეხბურთელები ხომ საქმეში უნდა ნახო. თუმცა სლოვენიამდე მაინც მოვახერხებთ ნაკრების კანდიდატთა გამოცდას, 20 მარტს თბილისში უკრაინის ნაკრებს ვუმასპინძელბთ, ეს უკვე გადაწყვეტილია. ვეცდებით, ზამთრის პერიოდში ერთი-ორი მატჩი კიდევ გავახერხოთ. გუნდის შეთამაშებას დრო უნდა, თამაშები აუცილებელია.

**— თითქმის ყველაფერზე ვთქვით ერთიღა დაგვრჩა, უფრო სწორად ორი. პარასკევს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაა, და კიდევ, ასე კატეგორიულად რომ ლაპარაკობთ...**

— ვინც ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში გაიმარჯვებს, მას იმავ საღამოს დაველაპარაკები. თუ მხარს დამიჭერენ, გვერდში ამომიდგებიან, ამას არაფერი აჯობებს, ერთობლივად გავაკეთებთ იმ გუნდს, რომლის თამაშის მერე ასეთი ინტერვიუები საჭირო აღარ იქნება. თორემ დახეთ, ახლა რა ხდება. გაზეთებში ნაკრების რიგა — ათენური ხარჯთაღრიცხვა გამოქვეყნდა. იმადლებიან, ამდენი დავხარჯეთ და შედეგი სად არისო. კი, მაგრამ, ის ფული ნაკრებს თუ არ მოახმარეთ, რად გინდათ, რისთვის გჭირდებათ?

სასაცილოა, რომ ამბობენ, ასეთ სასტუმროებში ვიყავით, ასეთი კვება გვქონდა, ბიჭებს ცივ ნიავს არ ვაკარებდით. ვერ გამიგია, ასე არ უნდა ყოფილიყო? თითქოს დიდი რამე გააკეთეს. რა მოხდა, ჩვეულებრივი საქმეა. ჯერ ერთი, ის ფული, რაც რიგა — ათენში დაიხარჯა, შვეიცარიულ ფირმა „ტელესპორტთან“ ცხონებული ნოდარ ახალკაცის დროს გაფორმებული კონტრაქტით იყო გათვალისწინებული, ასე ვთქვათ, ფული მათ გადაიხადეს. სულ რომ მთვარეზე გვეცხოვრა, ფული მაინც „ტელესპორტს“ უნდა გადაეხადა. ესენი კი, აი, რამდენი დავხარჯეთო, გაიძახიან. ახლა ყველას ყველაფრის უფლება აქვს, რასაც უნდათ აკეთებენ, როგორც უნდათ, ისე ლაპარაკობენ, ფედერაციაში რა ხდება, ვერ გამიგია. ყურადღებას არ გვაქცევდნენ, ყველა თავისას ერეკებოდა.

ყრილობას მოუთმენლად ველი, პრეზიდენტის არჩევნებსაც. მხარდამჭერას ვითხოვ, პრეზიდენტსაც ამის შესახებ დაველაპარაკები, მერე უფრო დეტალურად გვეცოდინება, რა როგორ გავაკეთოთ.

**კობა ინასარიძე**




ვლადიმერ გუცაევს არ სურს, მატჩის შემდეგ დაცვა დასჭირდეს

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

დღეს, 22 ოქტომბერს, 14 საათზე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სხდომათა დარბაზში პრესკონფერენციას გამართავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი რამაზ გოგლიძე.

# სფფ-ს მეოთხე ყრილობა: ტრაგედიის დასასრულის დასაწყისი?

ორ დღეში სფფ-ს მეოთხე ყრილობა ...ტორიის კუთვნილება გახდება. სულ ...ლაც ორ კვირაში კი, ალბათ, საყრი...ობო ბატალიები და ვნებათა ღელვაც ...ავის ეხსომება, უფრო სწორად, დავი...ების მორევში შთაინთქმება. ვერც პრე...ლენტობის კანდიდატებს ვიხილავთ ხში...ლ ტელეეკრანებსა თუ პრესის ფურც...ებზე და მათდამი ინტერესიც უთუოდ ...ნელდება.

...ერთ-ერთ კანდიდატს სულ სხვა ხვედ...ი ელის, ხვედრი — გამარჯვებულის ...ირგვინის ტარების და მძიმე საპასუხი...მგებლო ტვირთის ზიდვისა, უდიდესი ...რადღებისა და კრიტიკის ობიექტად ...ფნისა.

...ვის რა ბედი მოუმზადა განგებამ? ამ ...თხვაზე პასუხს 23 ოქტომბერი გასც...ს. პარასკევს უნდა გაირკვეს, რა გზას ...ადგება ქართული ფეხბურთი. გააგრ...ლებს იგი უვიცობის, დილეტანტობის, ...ტრიგების ხლართვის გზით სიარულს ...უ პროფესიონალურ რელსებზე გადავა? ...ენ მხოლოდ პრეზიდენტს როდი ვირ...ევთ, ჩვენ ხმას ვაძლევთ ქართული ფე...ხბურთის მომავალს, იმ კონცეფციას, ...რომელმაც უნდა უზრუნველყოს მისი ჩი...ხიდან გამოყვანა.

...თითოეულმა დელეგატმა უნდა გაით...ცნობიეროს, რომ მის არჩევანზე მო...მავალი თაობების ბედი ჰკიდია. მათ შეუ...ძლიათ, დაუბრუნონ ქართულ ფეხბურთს ...ძველი დიდება ან სამუდამოდ დაასამა...რონ იგი.

...ქართველი ხალხი გულმავიწყიაო, ხში...რად გაიგონებთ, მაგრამ გულშემატკივრ...ებს ვერავინ დასწამებს მსგავს თვისებას. ...ქართველ ქომაგებს დღემდე ახსოვთ წა...რსული დღეების ბრწყინვალება, ფეხბუ...რთელებისგან მიღებული უდიდესი სია...მოვნება და გაწბილებაც. დიახ, გაწბილე...ბაც, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვეულ მო...ვლენად ექცა ბოლოდროინდელ ქართულ ფეხბურთს.

...დღევანდელი გულშემატკივარი მხო...ლოდ ტკბილი მოგონებებითღა ცხოვრობს ...და შვილებსაც წარსულის შთაბეჭდილე...ბებზე მონათხრობებით ასაზრდოებს. თქვ...ენ წარმოიდგინეთ, რა დღეში უნდა იყოს ...ჩვენი საფეხბურთო ყოფა, როცა 18-20 ...წლის ახალგაზრდების მიერ შევსებული ...„სარბიელის“ გამოკითხვის ანკეტებში სა...ქართველოს ყველა დროის სიმბოლურ ...ნაკრებში ვერცერთი თანამედროვე ქარ...თველი ფეხბურთელის გვარს შეხვდებით. ...ამდა, ვერავინ იტყვის, ნიჭიერი ბავშვები ...არ იბადებიანო. პირიქით, იბადებიან ...არა, ჩვენში პატარები ფეხის ადგმას...თან ერთად იწყებენ ბურთის გორებას. ...საქართველო საფეხბურთო ქვეყნადაც კი ...ითვლებოდა(?) და ყველა მშობელს ეამაყე...ბოდა, თუ მის შვილს სპორტის ამ სახე...ობისადმი მიდრეკილება და სწრაფვა აღ...მოაჩნდებოდა.

...მერე კი გადიოდა წლები და ბავშვო...ბაში ნიჭით დაჯილდოებულნი სადღაც ...ქრებოდნენ, ველარ იზრდებოდნენ და ხე...ლს ჩაიქნევდნენ-ხოლმე.

...ამის მთავარ მიზეზად ქართული საფე...ხბურთო მეურნეობის გაუმართაობა და ...ამაში გამეფებული არაპროფესიონალი...ზმი უნდა მივიჩნიოთ, თორემ, დაგვეთა...ნხმებით, ეკონომიკური სიძლიერით ვერც ...სამხრეთამერიკული და აფრიკული ქვე...ყნები დაიკვეხნიან, მაგრამ ჩვენთან შედა...რებით ციდან ვარსკვლავებს წყვეტენ.

...ქართული ფეხბურთის კატასტროფის ...მთავარ შემოქმედად მისი „აზროვნების ...მთავარი ცენტრი“ უნდა მივიჩნიოთ, იმა...ნიძის №5-ში რომ დაუდვია ბინა და დღე...საც არ სურს პოზიციის დათმობა. პოზი...ციის დათმობა კი არა, ათასგვარი მაქინა...ციით ცდილობენ ყრილობაზე ფონს გას...ვლას. ჯერ იყო და ისე გაანაწილეს მა...ნდატები, ზოგიერთ დელეგატს გაუკვირ...და კიდეც, სად მე და სად ფეხბურთიო. ...ახლა კი ყრილობაზე სიტყვით გამოსვ...ლის მსურველთ რეგისტრაციაში გატა...რებისას ეკითხებიან — რაზე უნდა ისა...უბროთ? ვის უნდა დაუჭიროთ მხარი? ...თუ სასურველი პასუხი მიიღეს, შემდეგ ...ემდგომებს მოახსენებენ და მწვანე შუ...ქსაც აუნთებენ...

...პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება არ...ადემოკრატიულ ვითარებაში რომ მოხდ...ება, ეჭვს აღარ იწვევს, მაგრამ გამოსა...ვალი ამ ვითარებიდან მხოლოდ ერთია. ...ესაა ფარული კენჭისყრა და მას არანა...ირი ალტერნატივა არ გააჩნია. ეს წესი ...დემოკრატიის ყველა მახასიათებელ კრი...ტერიუმს აკმაყოფილებს და მასზე უა...რის თქმა საქმის შეგნებულად გართულე...ბის მცდელობაა და სხვა არაფერი.

თუმცა ყველაზე მთავარი მაინც არჩევანის გაკეთებაა და ვფიქრობთ, ყოველ შევსებულ ბიულეტენს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დელეგატებს არ უნდა გაუჭირდეთ გადაწყვეტილების მიღება, რადგან წინასაარჩევნო კამპანია რამდენიმე თვეა, რაც გრძელდება და თითოეულ კანდიდატზე და მათ შეხედულებებზეც უამრავი ინფორმაცია დაუგროვდათ ამომრჩევლებს და არა მარტო მათ. თუმცა, ნდობის გამოხატვის დროს, ჩვენი აზრით, ერთადერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი უნდა იყოს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია და მათი თვალთახედვა ფეხბურთის კრიზისიდან გამოყვანის გზებზე.

ახლა ხშირად გაიგონებთ, ჟურნალისტი ობიექტური უნდა იყოს და საკუთარი პოზიციის მკვეთრად გამოხატვისგან თავს იკავებდესო. ამგვარი აზროვნება მცდარად მიგვაჩნია და იგი საერთოდ ეჭვის ქვეშ აყენებს ამ პროფესიის არსებობას. ობიექტურობა ეს უკვე გარკვეული პოზიცია და მისი პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დაფიქსირებაა. მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენელთა პირდაპირი მოვალეობაც ხომ ესაა.




ფედერაციის პრეზიდენტობის სამი კანდიდატი: რამაზ გოგლიძე, მერაბ ჟორდანია და ილია დათუნაშვილი

ნებისმიერი პოზიციის და მოსაზრების დაფიქსირება უკვე ერთგვარი ტენდენციაა, ასე რომ, ნურავინ დაიჩემებს არატენდენციური ვარო.

ქართულ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებზე ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია — ფედერაციას, ფეხბურთელს, მწვრთნელს, გულშემატკივარს და ჟურნალისტს. ფეხბურთი ქართველი ხალხისთვის ერთ-ერთ სულიერ საზრდოს წარმოადგენს და ამ საქმეში განზე დგომა დანაშაულია. ყველამ ხმამაღლა უნდა გამოთქვას თავისი აზრი და ნურავინ იფიქრებს, სხვის საქმეში ვერევიო. ფეხბურთი საერთო ეროვნული საქმეა და ყველას შეხედულებას უნდა ანგარიში გავუწიოთ.

თითოეულ კანდიდატზე ჩვენც ჩვენი პოზიცია ჩამოგვიყალიბდა. მისი გაცხადება კი სულაც არ ნიშნავს, ვინმეს რაიმეს ვკარნახობდეთ და ჭკუას ვასწავლიდეთ.

ყველაზე დიდი შანსი ალექსანდრე ჩივაძეს აქვსო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოთხთაგან ყველაზე ნაკლები მორალური უფლება სწორედ ბატონ ალექსანდრეს უნდა გააჩნდეს პრეზიდენტობაზე, რადგან მისი პირველკაცობის დროს ქართულმა ფეხბურთმა არნახული ფიასკო განიცადა.

როცა უპრინციპოს და მართვადს გიწოდებენ და ვერანაირად ახერხებ თავის მართლებას, ეს ცუდის მანიშნებელია.

ჩივაძე ყრილობის გადადებამდე ორი კვირით ადრე ამომრჩევლებთან შეხვედრისას მერაბ ჟორდანიას პროგრამის თეზისებს აკრიტიკებდა, შემდეგ კი განაცხადა, ჟორდანიას პროგრამა სავსებით მისაღებად მიმაჩნია და მას ვუჭერ მხარსო. ამას წინათ კი ბატონმა ალექსანდრემ კვლავ კენჭს ვიყრიო და ფედერაციამაც კვერი დაუკრა. პრესკონფერენციაზე განაცხადა — ახლა თანამშრომლებთან შედარებით ლმობიერი დამოკიდებულება მაქვს, რადგან მე მხოლოდ პრეზიდენტის მოვალეობას ვასრულებ, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში კი უფრო მკაცრი ვიქნებიო („სარბიელი“ №177).

ლმობიერება ურიგო თვისება როდია, მაგრამ როცა ამოდენა საქმეს ეჭიდები და ხედავ უკან-უკან მივექანებით, ამ შემთხვევაში ლმობიერი დამოკიდებულება იმ ხალხის მიმართ, ვისაც პასუხისმგებლობა ვერ გაუთავისებია, ყოვლად დაუშვებელია. მით უმეტეს, რომ ბატონი ალექსანდრე კონსტიტუციურად ასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ფუნქციას და იგი ვალდებული იყო, კანონით მინიჭებული ყველა უფლება გამოეყენებინა.

ფედერაციის ცოდვები ჩივაძეს ყველაზე ნაკლებად ეკისრებაო, მაგრამ ფაქტია, რომ ისიც სფფ-ს ფერხულში იყო ჩაბმული და მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, უდავოა, იამანიძის №5-ში ისევ ძველი გვარდია დარჩება. ის გვარდია, რომელმაც დალუპა ქართული ფეხბურთი და კვლავ ცდილობს ბატონი ალექსანდრეს ფარად გამოყენებას.

იმავე პრესკონფერენციაზე ჩივაძემ განაცხადა — სპორტულის გარდა ბოლნისში ფეხბურთს სხვა დატვირთვა აქვსო. ამგვარი აზროვნება მიუღებელია, რადგან ტერიტორიული პრინციპით გუნდებს რაიმე შეღავათი გაეწიოს, დაუშვებელია. არავინაა ბოლნისური ფეხბურთის წინააღმდეგი, მაგრამ ყველა კლუბი იმ ჯგუფში უნდა თამაშობდეს, რასაც იმსახურებს.

ბატონ ალექსანდრეს მიაჩნია, რომ თუ საქართველოს ეკონომიკა არ გამოსწორდა, ქართული ფეხბურთის განვითარება წარმოუდგენელია. თუ ასეა, მაშინ იმ ხალხს უნდა დავუთმოთ ადგილი, ვისაც სხვა აზრი აქვს ამის შესახებ და ვინც ფიქრობს, რომ ამ ეტაპზეც შესაძლებელია გარკვეული წინსვლა საფეხბურთო მეურნეობაში.

მერაბ ჟორდანიას რაც შეეხება, მისი ენერგიულობა და ახალგაზრდული შემართება მისასალმებელია, მაგრამ მისი პრეზიდენტობის დროს „დინამოს“ მოღვაწეობა ვერანაირ კრიტიკას უძლებს. „ტიროლი“, „ბოავიშტა“, „ბრაგა“, „ვილემ II“, რომელი ერთი გავიხსენოთ. ის კი არა, იმასაც მოვესწარით, სათაყვანებელი კლუბის ავტობუსს ქვების სროლით გაუმასპინძლდნენ. საქართველოს ჩემპიონატი რომ ერთი გუნდის ჩემპიონატად გადაიქცა, ამაში „დინამოს“ დირექტორატსაც მიუძღვის ბრალი. სხვა გუნდების დასუსტების ხარჯზე ფეხბურთელების გადმობირებამ და შემდეგ უცხოელებზე გაყიდვის პოლიტიკამ სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა. მერე ვაცხადებთ, „დინამოს“ კონკურენტი არ ჰყავს შინაურ გათამაშებაში და ევროსარბიელზეც ამის გამო ვმარცხდებითო.

ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს ჩემპიონი გადასახადებისგან რომ გაათავისუფლა, ამან უარყოფითი შედეგი გამოიღოო, არაერთხელ ითქვა. პროკურატურამ დარღვევათა გამო სისხლის სამართლის საქმეც აღძრა და დიდუბის სასამართლოს გადასცა განსახილველადო. „დინამოს“ დირექტორატს 28 მილიონ ლარს ედავებიან.

ჩივაძის დარად, ილია დათუნაშვილსაც მოგების საკმაო შანსები აქვს. თუ პირველს სფფ უჭერს მხარს, ბატონ ილიას მმართველი პარტიის მხარდაჭერა აიმედებს. თუმცა, როგორც თავად აცხადებს — გაპრეზიდენტებისას მე მარტო მმართველი პარტიის იმედით არ ვარ, მე სახელმწიფოს იმედზეც ვარ. (ახალი თაობა №289). იგივე ინტერვიუში ამბობს — ისე, სახელმწიფო ნამდვილად უნდა ჩაერიოს ფედერაციის საქმიანობაში. როცა მისი სახელმწიფოებრიობა ილახება, როდესაც ფინანსებში დარღვევა არის, რა, სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს რეაგირება?

კი, ბატონო, უკონტროლობა დაუშვებელია ყველა სფეროში, მაგრამ სფფ-ს საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევა მიუღებლად მიგვაჩნია. მით უმეტეს, როცა სახელმწიფოს ერთი თეთრიც არ გაუღია ქართული ფეხბურთისთვის მისი დამოუკიდებლად არსებობის ათი წლის განმავლობაში. ასე რომ, ხელისუფლების იმედზე არც ამჯერად უნდა ვიყოთ, რადგან მას თავისი გასჭირვებია და ბიუჯეტშიც 105 მილიონიანი გარღვევა აქვს.

ბატონი ილიას მოქალაქეთა კავშირის წევრობას ფეხბურთის პოლიტიზების სუნი უდის და ეს კი არასასურველია. დავუშვათ, დათუნაშვილი აირჩიეს ოთხი წლით სფფ-ს პრეზიდენტად და 1999 წლის შემოდგომის არჩევნებში მისი პარტია დამარცხდა. მაშინ ახალი პოლიტიკური ძალა მოინდომებს, თავისი წევრი იხილოს იგივე პოსტზე და შეეცდება ამის გაკეთებას. ამიტომ აჯობებს, სფფ-ში დამოუკიდებელი კაცი მოვიდეს.

ზემოთნახსენებ ინტერვიუში კი ყველაზე მეტად ერთმა ფაქტმა გაგვაკვირვა. კანდიდატმა განაცხადა — ალბათ გახსოვთ, ალბანეთთან მატჩი ხალხს არ ანახეს და ძალიან ბევრი გულშემატკივარი გულდაწყვეტილი დარჩა. მართალია, ტელევიზიას ფული არ გადაუხადეს, მაგრამ უნდა შეთანხმებულიყვნენ გარკვეულ თანხაზე და ხალხი გაეხარებინათ. თუმცა ისიც არ შეიძლება, ტელევიზიას სულ არაფერი გადაუხადო. რომელი ჯობდა —გარკვეული თანხა გადახდილიყო და ხალხს თამაში ენახა, თუ ის, რომ სულ არ გადაიხადა და სულ არ აჩვენა თამაში?

სიმართლე გითხრათ, ამ სიტყვების წაკითხვისას სარედაქციო შეცდომა გვეგონა, მაგრამ ის აზრი, რომ სფფ-ს თურმე ტელევიზიისთვის ფული უნდა გადაეხადა, რამდენჯერმე მეორდება. ასეთი განცხადება კი, რბილად რომ ვთქვათ, საქმეში ჩაუხედავობაა.

საფეხბურთო ფედერაციების ყველაზე დიდ შემოსავლად ტელეტრანსლაციებისგან მიღებული თანხა ითვლება და თუ სფფ სხვაგვარად მოიქცა, კარგად წაგვივა საქმე.

დარჩა რამაზ გოგლიძის კანდიდატურა. ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე უმჯობესია სწორედ ბატონი რამაზი გახდეს ფედერაციის პრეზიდენტი და სწორედ მის საპროგრამო დებულებებში ვხედავთ ფეხბურთის ჩიხიდან გამოყვანის მართებულ გზას. ბატონ რამაზს ფეხბურთი წარმოდგენილი აქვს, როგორც დიდი სამრეწველო ინდუსტრია, ხოლო სფფ როგორც კომერციული სტრუქტურა. მას სამეურნეო სფეროში მოღვაწეობის უდიდესი გამოცდილება გააჩნია და ფეხბურთის განვითარებისთვის რამდენიმე კონკრეტული ბიზნეს-გეგმა დაუმუშავებია, რომლის ნიუანსებიც „სარბიელში“ სტუმრობისას გაგვანდო.

გოგლიძეს რომ ამ მხრივ სერიოზული და რეალური წინადადებები აქვს, მისდამი მრეწველთა კავშირის მხარდაჭერამაც დაადასტურა.

ბესო ჯუღელი, მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე: ჩემი სუბიექტური აზრით, გოგლიძეს უფრო საქმიანი და უკეთესი კონცეფცია ჰქონდა („ალია“ №177).

ზოგმა მისი და ბლატერის მეგობრული ურთიერთობა ირონიულად მოიხსენია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ფიფას პრეზიდენტმა სრული მხარდაჭერა აღუთქვა გოგლიძეს არჩევნებში. ეს კი უბრალო მოვლენა არაა, რადგან ახალი ნაცნობობის ცდას ძველი ურთიერთობების აღდგენა და გაგრძელება აჯობებს საქმისთვის.

ბატონი რამაზი თავის წერილში ბლატერს წერდა — მიუხედავად იმისა, მე გავხდები ფედერაციის პრეზიდენტი თუ სხვა, მჯერა, რომ ფეხბურთის ეროვნული განვითარების პროგრამის მეოხებით, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მუშავდება ფიფასა და მისი პატივცემული პრეზიდენტის იოზეფ ბლატერის მფარველობით, ქართველ გულშემატკივართა ოცნებას რეალობად აქცევს.

ვფიქრობთ, ამის წინააღმდეგი არავინ უნდა იყოს, მაგრამ შეძლებს გოგლიძე ამის გაკეთებას? ჩვენი აზრით, კაცი, რომელმაც მოახერხა 1985 წლის იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე ძლიერი ჯგუფი საქართველოში ეთამაშებინა, მიაღწევს, რომ ქართული ფეხბურთით ფიფას პრეზიდენტიც დააინტერესოს.

ჩვენი აზრით, მას ინვესტიციების მოზიდვაც ძალუძს პირადი საქმიანი ურთიერთობების ხარჯზე.

გოგლიძისადმი ორ მთავარ ბრალდებას გაიგონებთ — ბორის პაიჭაძისა და ნოდარ ახალკაცის მოხსნა. ამასწინანდელ შეხვედრაზე ბატონმა რამაზმა პირდაპირ დაგვისახელა იმ სამი პიროვნების გვარი, ვინც მოხსნა ბორის პაიჭაძე და გვთხოვა, ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარეთო. ბორის პაიჭაძის ვაჟმა თავის წერილში უარყო გოგლიძისადმი ასეთი ბრალდება.

რაც შეეხება ნოდარ ახალკაცის გათავისუფლებას, გოგლიძემ არაერთხელ განაცხადა, რომ მაშინდელი „დინამოს“ თერთმეტივე ფეხბურთელი, სათადარიგოებთან ერთად, ითხოვდა გუნდიდან მის წასვლას და მე არაფერ შუაში ვიყავიო.

ბრალდებები და ცილისწამება წინასაარჩევნო კამპანიაში, სამწუხაროდ, ჩვეულებრივი მოვლენაა და არ ღირს ამაზე დიდი ყურადღების გამახვილება, მაგრამ ამომრჩეველმა ყველაფერი უნდა იცოდეს და კარგად აწონ-დაწონოს, რათა სწორი გადაწყვეტილება მიიღოს.

ერთ-ერთ ზუგდიდელ ბავშვს უთქვამს მშობლისთვის — მამა, მე არ მინდა კარში ჩადგომა, რადგან თურმე მეკარეები არ იყიდებიანო.

ეს ქართული ფეხბურთის ტრაგედიაა. 23 ოქტომბერი ამ ტრაგედიის დასასრულის დასაწყისი უნდა იყოს.

**ხვიჩა სანიძიძე**

# ეროვნული საქმე ნაკრები

ახლა, როცა მოვიტოვეთ საქართველოს ეროვნული ნაკრების სამი შეხვედრა, ხოლო შესარჩევი ციკლის განახლებამდე კარგა დროა დარჩენილი, უპრიანი იქნება, შეძლებისდაგვარად გავაკეთოთ სანაკრებო სტრუქტურის მთლიანი ანალიზი, ანუ წარმოვაჩინოთ ჩვენეული პოზიცია ყველა იმ კომპონენტის მიმართ, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, როგორც ასეთს.

ეროვნული ნაკრების გამოსვლა პირველ სამ შეხვედრაში უარყოფითად შეფასდა — ამაზე არავინ დაობს, მაგრამ მარტო ჩავარდნა არ გახლავთ საწუხარი. ცუდ შედეგს გუნდში კონფლიქტური (ნუ დავმალავთ) სიტუაციაც ზედ დაერთო, წამყვან ფეხბურთელთა უმრავლესობაც ან ფორმიდანაა ამოვარდნილი, ან სულაც სათამაშო პრაქტიკის გარეშე დარჩა. როგორც ჩანს, თაობათა ცვლაც ზედ დაერთვება ყოველივეს და თვითონ განსაჯეთ, რამდენ რამეს უნდა მიხედოს ნაკრების ამჟამინდელმა დამრიგებელმა. ვლადიმერ გუცაევს გვარიანად ვიწრო ყულფში აქვს თავი გაყოფილი.

სიტყვამ მოიტანა და, ქართული სანაკრებო სტრუქტურის ანალიზი სწორედ მისი მთავარი მწვრთნელიდან დავიწყოთ. ვლადიმერ გუცაევი ფრთხილად, დიპლომატიურადაც კი მიუდგა ქვეყნის პირველი გუნდის მესაჭეობას. მან პირველივე შეხვედრიდან თბილი ურთიერთობა დაამყარა მასმედიასთან და პრესის წარმომადგენლებსაც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დღემდე არ უძაგებიათ გუცაევი. ეს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის, როგორც ფსიქოლოგის ნიჭიერებაზე მიუთითებს.

გუცაევის სამწვრთნელო პრაქტიკა არც ხანგრძლივია, არც შთამბეჭდავი, მაგრამ დღემდე მიღწეული შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი ნორმალური დამრიგებელია, არც ძალიან დიდი, არც ძალიან პატარა. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში კაცი ვერ იტყვის თამამად, გუცაევზე ძლიერი მწვრთნელი ვარო.

ვლადიმერ გუცაევი მეცადინე კაცია. იგი თანამედროვე სამწვრთნელო თეორიაზე ბევრს მუშაობს და არც ეს არის ცუდი შტრიხი მისი პიროვნული თუ სამწვრთნელო პორტრეტისთვის. ზემოთ ვახსენეთ, რომ მან პრესის გული მოიგო, მაგრამ თუკი ლატვიურ-ბერძნული ფიასკოს შემდეგაც არ შეასრულა დანაპირები, გულისმოგება გალიზიანებაში გადაიზრდება და მერე უცილოდ ჩივაძის და ყიფიანის ბედს გაიზიარებს გუცაევიც (ეს ისე, პროგნოზისთვის). დაპირება კი ხმაურიანი გამოუვიდა გუცაევს — შესარჩევი ქვეჯგუფიდან გასვლა და ნაკრების ერთპიროვნული მესაჭეობა.

შესარჩევი ქვეჯგუფიდან გავა თუ არა ჩვენი ნაკრები, ეს ერთმა ღმერთმა იცის. აი, ნაკრების ერთპიროვნულ მესაჭეობაზე კი გვილირს ორიოდე სიტყვის თქმა.

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ამჟამად სიტუაცია უმართავია. ნაკრების შემადგენლობა შედგება მოთამაშეთა ცალკეული ჯგუფებისგან, რომლებსაც სრულიად სხვადასხვაგვარი, შეხედულებები გააჩნიათ ნებისმიერ საკითხზე. ამინდს ქმნის ხუთი-ექვსი ფეხბურთელი და ცუდ ამინდსაც. ამან კი გავლენა იქონია ნაკრების საშემოდგომო გამოსვლაზე. აქედან გამომდინარე, გუცაევის ერთპიროვნულ მესაჭეობაზე საუბარიც კი სასაცილოა. იგი ვერ იღებს იმ გადაწყვეტილებებს, რომელიც სწორად მიაჩნია, ხშირად უშვებს კომპრომისებს და არ ამხელს რატომ, თუმცა კი ნახევარმა საფეხბურთო საქართველომ იცის, ვინ ან რა უშლის ხელს მას. ჰოდა, ამ მიზეზებზეც პირველმა გუცაევმა უნდა ამოიღოს ხმა, თუ არა და, რამე რომ მოხდეს (ღმერთმა დაგვიფაროს და არც არავის ვუკიჟინებთ), დამნაშავის მანტიასაც მხოლოდ მას მოასხამენ.

საბერძნეთის ნაკრებთან მარცხის შემდეგ საფეხბურთო საქართველოში რევაზ ძოძუაშვილის ჩამოყვანაზე დაიწყეს ლაპარაკი. მიხიჩამ თავისი სიძლიერე და განსწავლულობა დაამტკიცა და არაერთხელაც, მაგრამ ამჟამინდელი საქართველოს ნაკრები (შემადგენლობით) ის ლოდია, რომელიც არა ერთ, არამედ ას მიხიჩას ერთად გაჭყლეტს. დარწმუნებული ვართ, ძოძუაშვილსაც ისევე ადვილად მოინელებს ჩვენი პირველი გუნდი, როგორც ვთქვათ, ლიპის ანაც ტრაპატონის. დანაშაულის სათავე მწვრთნელზე მეტად ფეხბურთელებშია საძიებელი და იმიტომ.

ფეხბურთელთა თავგასულობა ყველაზე მტკივნეული საკითხია ჩვენთვის. აქამდეც არაერთხელ გვითქვამს ამის შესახებ, მაგრამ ფაქტებს დაკონკრეტება თითქმის ყოველთვის აკლდა. ამადაცაა, დღემდე რომ ვერ მოგვარდა საკითხი. ფეხბურთელი-ავტორიტეტი ფეხბურთში იშვიათი ხილია. ფეხბურთმა გუნდში ერთი ავტორიტეტი იცის — მწვრთნელი და თუკი მწვრთნელს რომელიმე მობურთალი ხელს უშლის თავისი გეგმის ან მოვალეობის ხორცშესხმაში, იგი უნდა დაითხოვოს. ამაზე ბრძნული ჯერაც არაფერი გამოუგონიათ საგუნდო სტრუქტურაში. სხვანაირად, დამრიგებელს მუდამ ექნება თავის გასამართლებელი — მინდოდა, ჩემებურად გამეკეთებინა, მაგრამ საშუალება არ მომცესო და სხვა ამგვარი. მწვრთნელს რახან ნიშნავ, მას მაქსიმალურადაც უნდა შეუწყო ხელი, რათა თუ მოხდა და საჭიროებამ მისი გაშვება მოითხოვა, საპრეტენზიოც აღარაფერი ჰქონდეს.

ახლანდელ ქართულ სანაკრებო სიტუაციას, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად ბულგარული ნაკრების თარგი უდგება, სადაც პირველ რიგში სტოიჩკოვს, პენევებს (მწვრთნელს, ბიძას და ლუბოს — ძმისშვილს), კირიაკოვს, სირაკოვს და ივანოვს „მიჰყავდათ აღლუმი“. ამ ხალხს ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად, თავის ნებაზე სჭრიდნენ და კერავდნენ. მერე კი, როცა საქმემ და შედეგმა დიმიტარ პენევის გადაყენება მოითხოვა, სტოიჩკოვი და კომპანია „აჯანყდა“, ნაკრებიც ფეხებზე დაიკიდა და პატრიოტიზმიც, აქაოდა, ვის ან როგორ გაუბედეთო. ეს მეტად მახინჯი მაგალითია და, სამწუხაროდ, გადამდებიც. აჰა, ჩვენც გადაგვედო. რა შედეგზეა საუბარი, როცა მოედანზე ცალკეული პასი, დარტყმა ან ჩაწოდებაც კი „გუნდის მაყურებლებთან“ უნდა „შეთანხმდეს“ (არაერთხელ მოგვისმენია ეს სარბენ ბილიკებზე მდგომთ და ფაქტების მოყვანაც შეგვიძლია). ამიტომაც, როცა ვაგებთ მოლდოვასთან, ლატვიასთან და მსგავსი დონის გუნდებთან, მარტო მწვრთნელებზე ნუ გვექნება გართულება, მიზეზი „დედოვშჩინაში“ ვეძებოთ. ქართული ფეხბურთის უბედურება არ მდგომარეობს იმაში, რომ ვინმე „სოფლელია“ ან „გოიმი“. ქართული ფეხბურთის უბედურება იმაშია, რომ ათიოდე კაცი მთელს საფეხბურთო საქართველოს აზის თავზე.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ საქართველოს ნაკრების თითქმის ყველა ფეხბურთელი ამჟამად ვერ ითვლის თავისი კარიერის საუკეთესო დღეებს. ჯამარაული, ნემსაძე, გახოკიძე, შელია თითქმის არ თამაშობდნენ აქამდე (ახლაც), ქეცბაია, ყაველაშვილი, ქინქლაძე, შოთა არველაძე ხამუშ-ხამუშ ხვდებიან ძირითადში მიზეზთა გამო, კობიაშვილი, უბრალოდ, ცუდ ფორმაშია, შეყილაძეც ასევე, გვარამაძეს და ტოგონიძესაც ისეთი დონის ჩემპიონატში და იმგვარი გუნდების წინააღმდეგ უხდებათ კარის დაცვა, ბევრს რომ ვერაფერს ისწავლის მეკარე (ვერც კი გახურდება) და მკითხველმა განსაჯოს, რას მოიმკის ასეთი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი. უკრაინული მარცხის შემდეგ, ალბანეთთან თამაშის წინ თემურ ქეცბაიამ ერთი რამ განაცხადა — კი გეგონათ, საქართველოში ყველას მოეძებნებოდა შემცვლელი, მაგრამ ხომ ხედავთ, არ ყოფილა ასეო. საკამათოა თემურის განცხადება — ჩვენი ნაკრების დღევანდელი შემადგენლობა ექვსი წელია მოდის, შედეგი ვერაფერი მოიმკო, ნაკრებს ბალანსიც უარყოფითი აქვს და ამ დროს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება გუნდის გადახალისებაა. თუ ნიჭიერებაზე მიდგა საქმე, ვერავინ დაიჩემებს, რომ თვრამეტცხრამეტი წლის შოთა არველაძე უფრო ნიჭიერი იყო, ვიდრე იაშვილი, ანაც თვრამეტი წლის შელია ან ცხადაძე უფრო დიდ იმედებს იძლეოდნენ, ვიდრე წერეთელი. ეს ავტორიტეტებზე და ხელშეუხებლობაზე. ახლა ცალკეულ რგოლებზეც ვთქვათ.

საქართველოს პირველ ნაკრებში ყველაზე სუსტი რგოლი დაცვაა. ჩვენი გუნდის რედუტების გარღვევა ერთნაირად უადვილდებათ კლინსმანს თუ შირერს, ფერდინანდს თუ შერინგემს, მახლასს თუ კოსტადინოვს, შტოლცერსს, ოპრიას და ვის გინდათ, რომ არა.

ჩვენი აზრით, ეს იმიტომაც ხდება, რომ ეროვნულ ნაკრებს არა ჰყავს და არც აქამდე ჰყოლია ლიბერო. ცხადაძეს, შელიას, ნემსაძეს ვერანაირად ვერ უწოდებს კაცი კლასიკურ „გამწმენდს“, პირველი ორი თავისი ნატურით წინა ცენტრალური მცველია, ნემსაძეს კი რა საერთო უნდა ჰქონდეს დაცვასთან, დღემდე არ გვესმის.

თუკი წინა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში გაშვებულ გოლებს ახლახან საბერძნეთში მიღებულ სამ ბურთს დავუმატებთ, ცხადად გამოჩნდება, როგორ გვიჭირს დაცვაში. არეცოდან მოყოლებული (რავანელის გოლი) ფერდინანდის, შერინგემის (ორჯერ), შირერის, ოთხი პოლონური, სამიც ბერძნული გოლი ჩვენი ნაკრების კარში სწორედ დაცვის შეცდომების შედეგად გავიდა.

ლიბეროს დაცვის დალაგება ევალება. არ გვყავს ლიბერო და დაცვაც ანგრეული გაგვაჩნია. ათში ერთხელ ნებისმიერი მეკარე ცდება (მით უმეტეს, ყველა შეტევას ხომ სახიფათო მომენტი მოსდევს ჩვენი ნაკრების კართან), მაგრამ ქართული დაცვის გაუმართაობის ფონზე დევაძის, ზოიძის, გვარამაძის, ტოგონიძის გარჯა ანგელოზურად გვეჩვენება.

რაც შეეხებათ „კულუარის ფეხბურთელებს“, ვერც ამით დაიკვეხნის ეროვნული ნაკრები. მარცხნივ კობიაშვილს, მარჯვნივ კალაძეს ამწესებენ ხოლმე უმეტესად ამ ამპლუაში, მაგრამ კალაძეს, როგორც შემტევს, ბევრი ნაკლი შეიძლება მოვუძებნოთ, ისევე, როგორც ბევრი ხარვეზი გააჩნია კობიაშვილ — მცველს. ასე რომ, „კულუარის ფეხბურთელების“ პრობლემას კალაძე და კობიაშვილი ვერ მოგვიხსნიან, ამათი ასაკისთვის (გამოცდილებისთვისაც) ფლანგის გაკონტროლება ცოტა ძნელი საქმეა.

უკანა საყრდენად, ეს ბოლო ხანია, გელა შეყილაძე ირჯება. უკანა საყრდენს შეტევის ჩაშლა და ბურთის ამოტანა ევალება. შეყილაძე-ფეხბურთელმა შეიძლება ჯერაც ბევრი რამე ისწავლოს, მას ამის სურვილიც გააჩნია და უნარიც, მაგრამ მისი უმთავრესი ნაკლი ფსიქოლოგიური სისუსტეა (ხშირად იბნევა) და ამაზე უფრო მართებს ყურადღების გამახვილება.

წინა საყრდენის პოზიციაზე ამჟამად გიორგი კიკნაძეს წინ ვერავინ დაუდგება. ამ ფეხბურთელს ტექნიკაც ნორმალური აქვს და ტაქტიკურადაც მშვენივრად აზროვნებს, ბურთის ამოტანაც ეხერხება და რაც მთავარი, იბრძვის, არ უშინდება ძალისმიერ ორთაბრძოლებს. ფეხბურთელთა მიგრაცია რა ლხინიცაა, ყველამ ვიცით, მაგრამ თუკი ვინმეს არ ეკადრება ეროვნული ჩემპიონატის დონე, ეს, პირველ ყოვლისა გიორგი კიკნაძეა. მისი ევროპულ დონეზე თამაში ნაკრებსაც ძალიან ბევრს შემატებს.

არა მარტო ჩვენი ეროვნული ნაკრების, ნებისმიერი გუნდისთვის ფუფუნებაა ჯამარაულის და ქინქლაძის ერთად თამაში. რაოდენ სამწუხარო და უხერხულიც უნდა იყოს ვინმესთვის, ქინქლაძეც და ჯამარაულიც ერთი ხელწერისა და ყაიდის ფეხბურთელები არიან, თამაშიც ერთსა და იმავე ადგილზე უხდებოდათ აქამდე. მწვრთნელიც ადრე თუ გვიან იძულებული გახდება, მათ შორის არჩევანი გააკეთოს, ანაც ამპლუა შეუცვალოს რომელიმეს. თუკი ქინქლაძეს ზურგს ვუნდერკინდის აურა და კარგა მოზრდილი სარეკლამო კამპანია უმაგრებს, ჯამარა უფრო მეტადაა ლიდერი და მათგან გამთამაშებლის ამორჩევა ცოტა საძნელო (სარისკოც) რამეა. ასეა თუ ისე, თანამედროვე ფეხბურთს ორ ზიდანს ერთი ურჩევნია და თუ გვინდა დროს და მოდას არ ჩამოვრჩეთ, ერთი დირიჟორით უნდა ვითამაშოთ.

ნაკრების განაპირა ნახევარმცველების მთავარი ნაკლი ის არის, რომ მათ ჩაწოდებულ ბურთებს სიმწვავე და სიზუსტე აკლია. თუკი იმასაც ვიგულისხმებთ, რომ თავით ქართველი ფორვარდები ცუდად, ან საერთოდ ვერ თამაშობენ, გინდ ჩაუწოდებიათ მაღალი ბურთი საჯარიმოში და გინდ არა. ამდენი შესარჩევი თამაშიდან (რომლის ხილვაც შევძელით) ერთადერთი ცხადაძის პოლონეთთან თავურით გატანილი გვახსენდება. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მეორე სართულზე გვიჭირს. ქართველი განაპირა ნახევარმცველები იშვიათად ურტყამენ ხოლმე კარში (საერთოდ, დარტყმით მხოლოდ ქეცბაია ურტყამს), ვერ ეხმარებიან დაცვას, რადგან, უბრალოდ, ვერ ასწრებენ უკან ჩასვლას და ესეც, რა თქმა უნდა, ნაკლია. ჩვენს ფორვარდებს რომ კარისკენ ზურგით დგომა დასჩემდათ, ამაზე ადრეც გვითქვამს. ახლა ბერძნებთან ისიც ვნახეთ, როგორ დარდიმანდულად გააცუდებს ხოლმე მავანი თავდამსხმელი ასპროცენტიან საგოლეს (რის ვაი-ვაგლახით რომ იქმნება), ქართველი თავდამსხმელები, სამწუხაროდ, არც აგრესიულნი არიან და უჭირთ უმალ, ელვისებურად გადაწყვეტილების მიღება. არადა, თანამედროვე საფეხბურთო სტილი ფორვარდს ერთი-ორი შეხებით ბურთის კარისკენ გადაგზავნას უქადაგებს.

რაც შეეხება ტაქტიკას, ჩვენი ნაკრების მანერის გადამკიდეს ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს რგოლებს „მიზომილი“ ჰქონდეთ თავ-თავიანთი წილი მოედანი. დაცვა მხოლოდ თავს იცავს, ნახევარდაცვა ცენტრს სერავს განდაგან (ესეც თქვენი, „საფეხბურთო განდაგანა“), თავდასხმა კი დარბაისლური, აუჩქარებელი სირბილისა და ხელების შლის მეტს არაფერს აკეთებს. არადა, ხომ სწორია, რომ გუნდმა თავი მეტოქის მოედანზევე უნდა დაიცვას, ცენტრშივე ეცადოს მოწინააღმდეგის შეტევის ჩაშლას, თორემ თუ მეტოქე საჯარიმომდე მიუშვი, მერე დარწმუნებული უნდა იყო, რომ გაგიტანს.

თითქმის არ გააჩნიათ ჩვენს ფეხბურთელებს სტანდარტული სიტუაციების გათამაშების მეტ-ნაკლებად რეალური კომბინაცია. არადა, კლუბებში რამდენიმე ფეხბურთელი ახერხებს ამას და მშვენივრადაც — გახოკიძეს, დემეტრაძეს, ჯამარაულს, ქინქლაძეს კედელზე ბურთის გადატარებაც შეუძლიათ და კუთხურის ნორმალურად (არა სასაცილოდ) ჩაწოდებაც. სტანდარტული სიტუაციის სწორად გამოყენება დაყენებული დარტყმის, ანაც მოჭრილი დარტყმის ხელოვნების ფლობაზეა დაფუძნებული და ხსენებულმა ფეხბურთელებმა ამ მხრივ როგორმე უნდა იმუშაონ. სხვა მხრივ კი შეუძლებელი არაფერია — საჯარიმოდან დელ-პიეროსაც გააქვს და მოსტოვოისაც.

და ერთიც (ალბათ, უმთავრესიც). საქართველოს ეროვნულ ნაკრებს არ გააჩნია ეგრეთ წოდებული „გამძლეობის სინდრომი“, რომლითაც ასე გვხიბლავენ გერმანული გუნდები (ნაკრებიც და კლუბებიც). აქედან გამომდინარეობს ავადსახსენებელი პირველი გოლის შიში და საერთოდ, შიში საფეხბურთო ავტორიტეტების წინაშე. მებრძოლი სული ფეხბურთელის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და დადებითი ფაქტორია, იბრძოლო და შეგეძლოს ბრძოლა აშკარად წაგებულ მატჩშიც კი — ამ ფსიქიკით ბევრი რამის მიღწევა შეიძლება. „გამძლეობის სინდრომს“, როგორც წესი, ფსიქოლოგის დამოძლვრა გამოუმუშავებთ ხოლმე სპორტსმენებს. და დროა, ნაკრებსაც მივუჩინოთ ერთი-ორი ფსიქოლოგი. გამმარჯვებლის ფსიქოლოგია, სწორი ტაქტიკა და ხისტი, დინამიური თამაში — თანამედროვე ფეხბურთის დასაწყისიც ესაა და დასასრულიც. მწვანე მინდორზე კიბორგები და ტერმინატორები არ დარბიან (არც ძველი ბიჭები), ფეხბურთს ყველგან მოკვდავი ფეხბურთელები თამაშობენ (ზოგი დიდი, ზოგიც პატარა) და ყველას შეიძლება მოუგოს მონდომებულმა და ნიჭიერმა კაცმა, ყოველ შემთხვევაში, ღირსეულად ყველას შეიძლება ეთამაშო. ხდება ხოლმე, ვინმე გაჯობებს და დაგამარცხებს, მაგრამ შიშის გამო წაგება ფეხბურთთან, აბა რა, მოსატანია.

ადრეც ვწერდით, რომ საკონტროლო თამაშების ჩაშლილი ციკლი თავისას იზამდა. არ შეიძლება, ამბიციები ჰქონდეს გუნდს და ლიბანთან ან აზერბაიჯანთან სპარინგობით სურდეს ფონს გასვლა. ასჯერ ნაცადი სიბრძნეა: ფეხბურთელი გამოცდილებას იძენს საკონტროლო თამაშებში და მას იყენებს ოფიციალურ დონეზე. სფფ-მ კი ვერ შეძლო ნაკრებისთვის ნორმალური საკონტროლო ციკლის თავმობმა. ასე რომ, 170-ათასდოლარიანი ვოიაჟების გამართვას და ქართველი საფეხბურთო სუპერმენების ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში გამწესებას სჯობს, ბიჭებმა ოთხვარსკვლავიან ოტელებში იცხოვრონ და დაზოგილი ფულით ერთი-ორი ნორმალური სპარინგ-პარტნიორი ვეძიოთ.

ერთი სიტყვით, მრავლად დაგვიგროვდა პრობლემები ნაკრებშიც და მის გარეთაც. ისე ხდება, ჯგუფიდან გასვლის შანსიც დაგვრჩა და მორიგ შესარჩევ თამაშამდეც ხუთი თვეა. იქამდე კი ბევრი რამის გამოსწორება შეიძლება. ჰოდა, აქედანვე უნდა ითქვას სათქმელი და საკეთებელსაც აქედანვე უნდა მიეხედოს.

**კონსტანტინე გოგიჩაშვილი**



გაჭრი კვითელაძის ფოტო

საქართველოს ნაკრებმა თუ ასე გააგრძელა, ეს ფოტო შეიძლება ბევრს სამახსოვროდ დარჩეს

# რუსებს უჭირთ, გერმანელებსაც

## უეფას თასის 1/16 ფინალის პირველი მატჩების მიმოხილვა

„ვალენსიას“ თავკაცი კლაუდიო რანიერი 20 ოქტომბერს 47 წლის გახდა და თავისი შეგირდებისგან მშვენიერი საჩუქარი მიიღო — ესპანელები ინგლისის ყველაზე ტიტულოვან კლუბ „ლივერპულს“ სტუმრად დაუზავდნენ. „ვალენსია“ „ბითლზის“ მშობლიურ ქალაქში ნამდვილად არ ჰგავდა გუნდს, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო სამ ტურში სამჯერვე დამარცხდა. მეტიც, უფრო სამართლიანი იქნებოდა, ვალენსიელებს რომ მოეგოთ.

— ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ბიჭებმა ასე კარგად ითამაშეს, ბოლომდე იბრძოლეს და ჩემი დავალებები ზუსტად შეასრულეს. ჩვენ გამარჯვებაც შეგვეძლო, მაგრამ ფეხბურთში ყოველთვის ის არ ხდება, როგორც უნდა მოხდეს. მიუხედავად ამისა, გავიმეორებ, რომ შედეგით მაინც კმაყოფილი ვარ — ესპანელთა იტალიელი მწვრთნელი, იუბილარი რანიერი მშვენიერ ხასიათზე იყო. უხასიათობას არც სტუმართა მცველი მიგელ ანხელ ანგულო უჩიოდა — ჩვენ ძალიან ძლიერად ვითამაშეთ და შედეგით, უნდა მოგვეგო, თუმცა არ გაგვიმართლა. მართალია, გასვლაზე „ლივერპულთან“ ფრე მშვენიერი შედეგია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, შინ გაცილებით რთული მატჩი გველის და ყველაფერი სწორედ ორ კვირაში გაირკვევა — აღნიშნა მან.

სამშაბათს „ენფილდ როუდზე“ შეკრებილმა ფანებმა საყვარელი გუნდის სასტარტო შემადგენლობაში მაიკლ ოუენი ვერ იხილეს, მისი ადგილი გამოცდილმა გერმანელმა კარლ ჰაინც რიდლემ დაიკავა. მატჩის შემდეგ ეს ცვლილება მასპინძელთა მწვრთნელმა როი ევანსმა ასე ახსნა — მაიკლი ჯერ სულ ბავშვია, შეხვედრის წინ, ვარჯიშზე გადაღლა შევატყე და ძირითადშიც ამიტომ არ დავაყენე. თუმცა მატჩის მიწურულს ახალგაზრდა ფორვარდი მაინც ჩაერთო თამაშში.

პირველი სახიფათო მომენტი კანისარესის კართან შეიქმნა — სტივ სტაუნტონის ჩაწოდებულ კუთხურს პირველი რიდლე გამოეხმაურა თავით, მაგრამ ბურთს კარში შევარდნა რუმინელმა პოპესკუმ არ აცალა. ცოტა ხანში „ლივერპულის“ კაპიტანმა პოლ ინსმა შეასრულა სახიფათო თავური — ამჯერად ბურთი კარს საერთოდ ასცდა. ამის შემდეგ ინიციატივას მთლიანად ესპანელები დაეუფლნენ და მეტად სახიფათოდაც შეუტიეს — გოლის გატანის რეალური შანსი ჰქონდათ არგენტინელ კლაუდიო ლოპესს, ანგულოს და რუმინელ ადრიან ილიეს, მაგრამ მსაჯის საფინალო სასტვენმა ტაბლოზე ორი ნულიანი დააფიქსირა.

ესპანური და ინგლისური კლუბები ვიგოშიც შეხვდნენ ერთმანეთს — „სელტამ“ პრემიერლიგის მოულოდნელ ლიდერს ბირმინგემის „ასტონ ვილას“ უმასპინძლა.

პრინციპში, სტუმრებს გოლის გატანის ერთადერთი შანსი ჰქონდათ და, მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს შანსი მშვენივრად გამოიყენეს — მატჩის მე-15 წუთზე, ბირმინგემელებმა მეტოქის შეტევა ჩაშალეს, ბურთი სტენ კოლიმორთან აღმოჩნდა, რომელმაც ძალიან ზუსტი, დროული და ჭკვიანური პასით მეკარესთან ერთი ერთზე დატოვა ჯულიან ჯოაკიმი, ჩია თავდამსხმელს კი გოლის გატანა აღარ გასჭირვებია.

იმ მომენტიდან მოყოლებული, „სელტა“ უკანმოუხედავად ეკვეთა დაწინაურებულ სტუმარს. მთელი 75 წუთი უტევდნენ ესპანელები, რომლებიც გრძნობდნენ, თუ რა რთული გადასალახავი ბარიერია „ასტონ ვილას“ დაცვა, მაგრამ...

ვის აღარ შეეძლო ინგლისელთა კარის აღება — ლუბო პენევს, ალექსანდრ მოსტოვოის რამდენჯერმე, ტომას ჰერვასს და სულ ბოლო წუთზე ფრანგ კლოდ მაკელელეს, თუმცა არაფერი გამოუვიდათ, რადგან იმ დღეს სტუმართა კარს მაიკლ ოუქსი იცავდა, იცავდა მხოლოდ იმიტომ, რომ ბირმინგემელთა ძირითადი გოლკიპერი მარკ ბოსნიჩი დაშავებული იყო. ოუქსი მართლაც შეუდარებელი იყო. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ზუსტად ამაზეა ნათქვამი.

მოკლედ, „სელტა“ შინ დამარცხდა და საპასუხო მატჩში წარმატების მიღწევა ძლიერ გაუჭირდება — შინ გრეგორის ბიჭები დაცვას იშვიათად მიმართავენ ხოლმე.

მესამე ესპანური გუნდი „ბეტისი“, ჰოლანდიაში ქართველთა ძველ და ავადმოსაგონარ ნაცნობს „ტილბურგს“ ეწვია და, „ვალენსიას“ მსგავსად, ფრეს დასჯერდა — 1:1. სტუმრებს მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელი, ბრაზილიელი გარემარბი დენილსონი აკლდათ, რომელსაც კუნთი აქვს დაზიანებული და, ალბათ, ამიტომაც შეიფერეს ასეთი მოკრძალებული შედეგი.

უეფას თასის გათამაშებაში მონაწილე კიდევ ორ ესპანურ კლუბს, „სოსიედადსა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“, შეიძლება ითქვას, თავი ქუდში აქვთ. დავიწყოთ პირველით.

რუსეთის დედაქალაქში ჩასულმა „სოსიედადმა“ მოსკოვის „დინამოს“ სალმის მიცემა არ აცალა — 34-ე წუთზე 3:0-ს იგებდა (გუშინდელ „სარბიელში“ საინფორმაციო სააგენტო „როიტერის“ მიერ მოწოდებული ცრუ ინფორმაციის გამო შეცდომა გაიპარა. ორი გოლი გაიტანა დარკო კოვაჩევიჩმა და არა ფრანსისკო დე პედრომ). ამას სტუმართა მოდუნება (ბუნებრივიცაა), თამაშის ტემპის დაცემა და შედეგად „დინამოს“ წისქვილზე წყლის დასხმა მოჰყვა. მოსკოველებს მხსნელად სერგეი ნეკრასოვი მოევლინათ, ვინც ორ წუთში ორჯერ გაიტანა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, თუმცა მეტის გაკეთება რუსებმა ველარ მოახერხეს, რაზეც მათი მცველის სერგეი შტანიუკის გაძევებამაც იმოქმედა.

— მოსკოვში მხოლოდ გამარჯვებისთვის ჩამოვედით და ძალიან მიხარია, რომ ასეც მოხდა. თუმცა მატჩის მიწურულს ბიჭების თამაშის ყურება საშინელება იყო — აღნიშნა „სოსიედადის“ თავკაცმა ბერნდ კრაუსმა.

— მეკარის ორი შეცდომა, თანაც პირველ წუთებზე, ძალიან ძვირად დაგვიჯდა. მეორე ტაიმში ნაწილობრივ კი გამოვასწორეთ მდგომარეობა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ესპანეთში მხოლოდ მოგებისთვის ჩავალთ — ეს სიტყვები მოსკოველთა მწვრთნელ გიორგი იარცევს ეკუთვნის.

რაც შეეხება მადრიდის „ატლეტიკოს“, იგი 99 პროცენტით მერვედფინალშია. სოფიაში მადრიდელებმა მშვენივრად იბურთავეს და დამსახურებულადაც იმარჯვეს. ცსკა კი ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ კლასში განსხვავება მაინც თვალშისაცემი იყო. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი უდავოდ კიკო ნარვაესი იყო, რომელმაც ჯერ პირველი ტაიმის მიწურულს, ხოლო შემდეგ შეხვედრის ბოლო წუთზე ბულგარელებს ორჯერ გაუტანა.

ციურიხში, მიხეილ ყაველაშვილის და გიორგი ნემსაძის „გრასჰოპერი“ ფლორენციულმა „ფიორენტინამ“ ზედმეტი ოფლისღვრის გარეშე დაამარცხა. პირველად ედმუნდოს მშვენიერი პასის შემდეგ გაბრიელ ბატისტუტამ იხეირა, ეს მე-20 წუთზე მოხდა. მეორე ნახევრის დაწყებიდან სამ წუთში კი მასპინძელთა მეკარე პასკალ ცუბერბიულერი ანსელმო რობიატიმ დაამწუხრა. გოლის გატანა შვეიცარიელებსაც შეეძლოთ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მათ ზედმეტი ნერვიულობა უშლიდათ ხელს.

— „გრასჰოპერს“ უეჭველი უნდა გაეტანა. თუმცა ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, ჩვენ მოვიგეთ, თანაც სტუმრად — მოკლედ და კონკრეტულად გამოხატა თავისი აზრი იტალიელთა გამოცდილმა თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ.

მასპინძელთა მწვრთნელი როლფ ფრინგერი კი მეტად დამწუხრებული ჩანდა — ამდენი ხელსაყრელი მომენტის გაცუდება ბავშვებსაც არ ეკადრებათ. „ფიორენტინამ“ თავისი საქმე მშვენივრად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე შეასრულა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უმაღლესი დონის გუნდია.

გასული წლის ოქტომბრის შემდეგ, როდესაც რომის ოლიმპიურ სტადიონზე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში იტალიისა და ინგლისის ნაკრებები შეხვდნენ, ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლები იტალიის დედაქალაქში პირველად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ამჯერად საკლუბო დონეზე — „რომამ“ „ლიდს იუნაიტედს“ უმასპინძლა. მიუხედავად უდიდესი უპირატესობისა, მასპინძლებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს გოლის გატანა — მე-17 წუთზე მეტად აქტიურმა დელვეკიომ ივარგა. ალბათ, ამიტომაც იყო, მატჩის შემდეგ სტუმართა დროებითი დამრიგებელი დევიდ ო'ლირი სიხარულს რომ ვერ მალავდა. მართალია, იგი პრესკონფერენციაზე არ გამოჩენილა, მაგრამ სახალხოდ გამოსვლა მაინც მოუწია — მან სტადიონის ახლომახლო დამონტაჟებული დიდი ეკრანების საშუალებით აპენინებზე ჩასულ „ლიდსის“ ათასამდე გიჟმაჟ ფანს სიწყნარისკენ მოუწოდა, თანაც მეტად დიპლომატიურად.

— დღეს რომ დავმარცხდით, რა თქმა უნდა, სირცხვილია, თუმცა, ვფიქრობ, ურიგოდ არ გვითამაშია, მე ვამაყობ ჩემი გუნდით. მერწმუნეთ, ინგლისში ყველაფერი სხვაგვარად იქნება და შემდეგ ეტაპზე ჩვენ გავალთ — განუცხადა არეულობების მოსაწყობად გამზადებულ ქომაგებს ირლანდიელმა სპეციალისტმა.



სელტა — ასტონ ვილა. მასპინძელთა ლიდერმა ალექსანდრ მოსტოვოიმ ბევრი კი იბრძოლა, მაგრამ „სელტას“ მაინც ვერ უშველა

კვლავ ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი ვარსკვლავებით გადატენილმა „პარმამ“, მით უმეტეს თავდასხმაში. არადა, კრაკოვში, „ვისლას“, იტალიელები მე-3 წუთზე უგებდნენ — თავი ენრიკო კიეზამ გამოიჩინა. ამის შემდეგ ყველას ეგონა, რომ 1995 წლის უეფას თასის მფლობელები პოლონელებს მიწასთან გაასწორებდნენ, მაგრამ სრულიად საპირისპირო მოხდა — დაცვაზე აქცენტგადატანილი „პარმა“ 68-ე წუთზე ტომაშ კულავიკმა დასაჯა. საერთოდ, შეხვედრა საკმაოდ უინტერესო და დუნე გამოდგა.

პოსტსოციალისტური სივრცის წარმომადგენლებს სამშაბათს „ბოლონიაც“ წაებურთავა, რომელიც რობერტო ბაჯოს „ინტერში“ გადასვლის შემდეგ ღირებულს ველარაფერს ქმნის. ბოლონიელები პრაღის „სლავიას“ მასპინძლობდნენ და ძლივს მოუგეს. 84-ე წუთამდე ტაბლოზე 1:1 ეწერა და ეწერებოდა კიდეც საფინალო სასტვენამდე, რომ არა შვედი კლას ინგესონის მიერ შესრულებული მხოლოდ სკანდინაველთათვის დამახასიათებელი თავური.

— ძალიან მძიმე მატჩი გამოდგა, რომ არ ველოდი, ისეთი. ამის მთავარი მიზეზი კი ჩეხების მშვენიერი გუნდია. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღეს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლდა, რომლებიც ორი კვირის შემდეგ პრაღაში ჩვენთან ერთად იქნებიან — „ბოლონიას“ თავკაცი კარლო მაცონე ოპტიმიზმის ნაკლებობას ნამდვილად არ უჩიოდა.

მოულოდნელად დამარცხდა შინ ფოთის „კოლხეთის“ სახალხოდ შემარცხვენელი „ცრვენა ზვეზდა“. თუმცა „შინ“ ამ შემთხვევაში ცოტა გადაჭარბებული ნათქვამია, რადგან ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო „წითელ ვარსკვლავებს“ მეზობელ რუმინეთში მოუწიათ თამაში — ასე ინება უეფამ.

არადა, იუგოსლაველთათვის თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა — 65-ე წუთზე მილინკო აჩიმოვიჩის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი დალიბორ სკარიჩმა უნაკლოდ შეასრულა. „მასპინძელთა“ გულშემატკივრები ჯერ კიდევ ხარობდნენ და ერთმანეთს ულოცავდნენ, ფრანგებმა ანგარიში რომ გაქვითეს — კრისტოფ დელმოტის კარგი პასი შვეიცარიელმა მარკო გრასიმ კარგადვე გამოიყენა — 1:1. ამან ახალგაზრდა იუგოსლაველები (მათი უმეტესობა 19-20 წლის ბიჭები არიან დ.კ.) დააბნია, რითაც შეცვლაზე შესულმა ფრედერიკ კანუტემ მშვენივრად ისარგებლა და „ლიონს“ გაამარჯვებინა კიდეც.

— ჩვენ პირველ ტაიმში უამრავი შესაძლებლობა გავუშვით ხელიდან, მაშინ რომ გვევარგა, მოვიგებდით კიდეც — „ცრვენა ზვეზდას“ მწვრთნელი მილორად კოსანოვიჩი დაღონებული ჩანდა.

არანაკლებ წუხდა კლუბის გენერალური დირექტორი დრაგან ჯაიჩი, ძირითადად ფინანსურ პრობლემებზე — მატჩის რუმინეთში გადატანით ჩვენ 500 ათასი დოლარი დავკარგეთ, რომელიც, წესით, ბილეთების გაყიდვით და ტელეტრანსლაციებით უნდა მიგვეღო.

რადიკალურად განსხვავებულ ხასიათზე იმყოფებოდა საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად „ლიონის“ თავკაცი ბერნარ ლაკომბი, რომელმაც განაცხადა, ბედნიერი ვარ, მატჩი იუგოსლავიაში რომ არ ჩატარდა, იქ რა მოხდებოდა, არავინ იცისო.

წარმატებით იასპარეზა მეორე ფრანგულმა კლუბმა „მონაკომ“. მართალია, ჟან ტიგანას შეგირდებს ავსტრიაში „გრაცერი“ არ დაუმარცხებიათ, მაგრამ არც თავად წააგეს — ფრედ 3:3 ითამაშეს. მატჩში მოვლენები რეაქტიული სისწრაფით იცვლებოდა, ხან მასპინძლები იგებდნენ, ხან — სტუმრები, ხანაც ფრე იყო. მთლიანობაში სამშაბათს გამართული შეხვედრებიდან ყველაზე თვალსასიერო სწორედ „გრაცერი“ — „მონაკო“ გამოდგა. ფრანგებს მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ დროში დასანანი გოლი გაუშვეს.

გერმანიის ნაკრებში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა გერმანულ კლუბებსაც გადაედოთ — „შტუტგარტიც“ და „ვერდერიც“ შინ ფრეს დასჯერდნენ.

გასული სეზონის თასთა თასის ფინალისტები ბელგიურ „ბრიუგეს“ მასპინძლობდნენ, მე-8 წუთზე დაწინაურდნენ კიდეც (აკპობორიმ გაიტანა), მაგრამ ამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს — სვენ ვერმანტმა გაქვითა.

— იმით, რაც დღეს ვიხილე, საშინლად იმედგაცრუებული ვარ. გატანილი გოლის შემდეგ ანტიფეხბურთის თამაშს მივყავით ხელი. ამას რომ არავინ გაპატიებს, ეს ფეხბურთელებს დაავიწყდათ და დაისაჯნენ კიდეც — აღშფოთებას ვერ მალავდა „შტუტგარტის“ თავკაცი ვინფრიდ შეფერი. მისგან განსხვავებით, ბელგიელთა მთავარი მწვრთნელი ერიკ გერეტსი კმაყოფილი ჩანდა — ეს არ იყო ადვილი მატჩი, ბიჭებმა ყველაფერი გაიღეს და ოფლიც ბლომად დაღვარეს, კარგ შედეგსაც ამიტომ მიაღწიეს. რაც შეეხება განმეორებით შეხვედრას, „შტუტგარტს“ ყოველთვის ისე ვერ გაუმართლებს, როგორც როტერდამში „ფეიენოორდთან“ — აღნიშნა მან.

„შტუტგარტისგან“ განსხვავებით, ბუნდესლიგაში ბოლო, მე-18 ადგილზე მყოფი „ვერდერი“ საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ, შესანიშნავ ფორმაში მყოფ „მარსელთან“ ფრედ დასრულებული შეხვედრით კმაყოფილი უნდა იყოს. ამაზე ბრემენელთა მწვრთნელ ვოლფგანგ სიდკას მატჩისშემდგომი სიტყვებიც მეტყველებს — ვერ ვიტყვი, რომ გუნდის თამაშით აღფრთოვანებული ვარ, მაგრამ შედეგი სავსებით მისაღებია. დღეს დავამტკიცეთ, რომ ჩვენზე ძლიერ გუნდებთანაც შეგვიძლია ლამაზი, შემტევი ფეხბურთის თამაში.

დარჩენილ შეხვედრებში, შოტლანდიის ჩემპიონი გლაზგოს „სელტიკი“, რომელიც აშკარად კრიზისშია, შინ „ციურიხს“ დაუზავდა და თავისი მერვედფინალში გასვლა ეჭვქვეშ დააყენა, ხოლო საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერი „ბორდო“ ჰოლანდიაში „ვიტესთან“ გამარჯვების შემდეგ საშინაო მატჩს მშვენიერ ხასიათზე დაელოდება.

**დავით ძოგზირიძე**



შტუტგარტი — ბრიუგე. კრასიმირ ბალაკოვის ჯარიმები, როგორც ყოველთვის, სამშაბათსაც მეტად სახიფათო იყო

### უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი

პირველი მატჩები. 20 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| ვისლა (პოლონეთი) — პარმა (იტალია) | 1:1 |
| ლივერპული (ინგლისი) — ვალენსია (ესპანეთი) | 0:0 |
| დინამო (რუსეთი) — სოსიედადი (ესპანეთი) | 2:3 |
| ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ლიონი (საფრანგეთი) | 1:2 |
| გრაცერი (ავსტრია) — მონაკო (საფრანგეთი) | 3:3 |
| შტუტგარტი (გერმანია) — ბრიუგე (ბელგია) | 1:1 |
| ტილბურგი (ჰოლანდია) — ბეტისი (ესპანეთი) | 1:1 |
| გრასჰოპერი (შვეიცარია) — ფიორენტინა (იტალია) | 0:2 |
| სელტა (ესპანეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი) | 0:1 |
| სელტიკი (შოტლანდია) — ციურიხი (შვეიცარია) | 1:1 |
| ვერდერი (გერმანია) — მარსელი (საფრანგეთი) | 1:1 |
| ბოლონია (იტალია) — სლავია (ჩეხეთი) | 2:1 |
| ვიტესი (ჰოლანდია) — ბორდო (საფრანგეთი) | 0:1 |
| ცსკა (ბულგარეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი) | 2:4 |
| რომა (იტალია) — ლიდსი (ინგლისი) | 1:0 |

*გი რუ სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. მოხუცმა ბურგუნდიელმა მთელი ცხოვრება ფეხბურთს, მშობლიურ ოსერს შესწირა — 40-ათასიანი ქალაქის კლუბი საფრანგეთის ჩემპიონად და თასის ფლობელად აქცია! მწვრთნელს დღესაც დიდ პატივს სცემენ. განუზომელია მისი დამსახურება „ოსერის", გნებავთ, საერთოდ, ფრანგული ფეხბურთის წინაშე.*

*ფრანგებს ერთი კარგი გამოთქმა აქვთ — არ შეიძლება კაცი კლუბზე დიდი იყოს. მართალიცაა — მოთამაშე, რაც უნდა გამორჩენილი და პოპულარული იყოს, კლუბს მაინც ვერ გაუტოლდება, რადგან სწორედ კლუბია მისი პოპულარობის სათავე, თუმცა, როგორც ყველაფერს ამქვეყნად, ზემოთქმულ სიბრძნესაც აქვს გამონაკლისი — დაუშვებელია, „ოსერის" სიძლიერეზე, სიდიადეზე ისაუბრო და გი რუ გუნდის ჩრდილში მოაქციო. გი რუ, ისევე როგორც „ოსერი", ერთი და იგივე ცნებაა. ჭაღარათმიანი მოხუცი რომ არა, ბურგუნდიული კლუბი შესაძლოა ვერც ვერასდროს გამხდარიყო ძლიერი.*

*ახლახან, კვირას, მხცოვანი ოსერელი 60 წლის შესრულდა, თუმცა, ასაკის მიუხედავად, იგი ძველ საქმეს არ ღალატობს — დღესაც, ისევე როგორც ათი, გნებავთ, ოცი, სულაც ოცდაათი წლის წინ, „ოსერს" წვრთნის.*

*60 წლისას უკვე თავისუფლად შეგიძლია წარსული გაიხსენო. მით უმეტეს, გი რუს მოსაგონებელი ძალიან, ძალიან ბევრი აქვს.*

# ძია გი — ძირძველი ბურგუნდიელი



გი რუ და ემე ჟაკე — ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფრანგი მწვრთნელები

...იმ ხანებში, „ოსერში" ბევრისთვის უცნობი გი რუ რომ გამოჩნდა, გუნდი, უმეტესი პერიფერიული კლუბების დარად, საფრანგეთის ჩემპიონატის უსუსტეს ლიგაში თამაშობდა. საუკუნის დასაწყისში დაარსებულ „ოსერს" ამბიციები არ ჰქონდა, მოყვარულთა შორის ბურთაობით კმაყოფილდებოდა და არც ალზევებისკენ ისწრაფვოდა მაინცდამაინც. ეს მანამდე იყო, სანამ გი რუ მივიდოდა. აი, 1961 წლიდან კი ცვლილებები შესამჩნევი გახდა.

— მაშინ გუნდი არარაობა გახლდათ. ამას თავის გამორჩენისთვის არ ვამბობ. არ მსურს ჩემი ნათქვამი ისე გაიგოთ, თითქოს ყველა სასიკეთო საქმე ჩემი წამოწყებულია. არა, სრულადაც არა, უბრალოდ, სანამ გუნდში მოვიდოდი, ხალხს პრეტენზია, ამ სიტყვის კარგი გაგებით, არ ჰქონდა. მერე კი სიტუაცია შეიცვალა.

...გუნდი, რომელიც მოყვარულებით გახლდათ დაკომპლექტებული და ნათელ მომავალზე არ ფიქრობდა, პროფესიონალიზმისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა, შარაგზა კი მალე ავტოსტრადამ შეცვალა. გი რუ „ოსერის" მწვრთნელი 1961 წლის ზაფხულში გახდა, როცა გუნდი მოყვარულთა შორის ასპარეზობდა. რამდენიმე წელიწადში კი პირველი წარმატებებიც მოვიდა — „ოსერი" საფრანგეთის ჩემპიონატს მესამე დივიზიონში ამაღლდა!

— მაშინ სხვა დრო გახლდათ. გუნდში საქმისადმი სერიოზული მიდგომა არ იყო. ფეხბურთელები კლუბის მფლობელების მეგობრები, ანაც ნაცნობები იყვნენ. მწვრთნელობა რომ ვიკისრე, „ოსერის" ორ დირექტორს ცოტა ხანში ჩემს საქმეში ცხვირის ჩაყოფა მოუნდათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მეც იმნაირი ვეგონე, გუნდს ჩემამდე რომ ხელმძღვანელობდნენ. ისინი შეცდომას მიხვდნენ და მეტად აღარც მაწუხებდნენ. ჩვენს შორის შესაძლოა ვითარება დაძაბა, მაგრამ მომხდარმა კლუბისთვის სასიკეთოდ იმოქმედა — ფეხბურთელები საქმეს შედარებით სერიოზულად მოუდგნენ, მათთვის ფეხბურთი მხოლოდ გართობა აღარ იყო — თამაში მათი ცხოვრების განუყრელი ნაწილი, შემოსავლის წყარო გახდა.

...იმ წლებში ოსერელები პატარა, კოხტა, „აბატ დეშანის" სახელობის სტადიონზე თამაშობდნენ. გუნდის ერთადერთ კუთვნილ სარბიელს ოსერელების სულიერი მამის სახელი შემთხვევით არ ერქვა — ოსერში ღრმად სწამთ ღმერთის და პატივსაცემ ადგილებს, სწორედ რელიგიურ სახელწოდებებს ურჩევენ. გი რუც მორწმუნე გახლავთ. გუნდში მისვლისთანავე რელიგიისადმი ყურადღება გააათმაგა, ამ ნაბიჯით კი კლუბში მეტად კარგი სიტუაცია დაამკვიდრა. ფეხბურთელების და მწვრთნელების ურთიერთობაც უფრო გაღვივდა.

— ღმერთის ღრმად მწამს. ბაბუა და მამა რომ დამატარებდნენ შაბათობით ეკლესიაში, მიხაროდა. მთელი კვირის მანძილზე შაბათს ველოდი, რადგან ვგრძნობდი, რომ ეკლესიაში გატარებული რამდენიმე საათი სიკეთესა და კეთილგანწყობას მინერგავდა. ახლაც, ყოველ შაბათ-კვირას, შვილიშვილთან ერთად მონასტერში ვლოცულობ. გუნდში მისვლისთანავე ბიბლიის შეძენა მოვითხოვე და მოთამაშეებს ვურჩიე, გაჭირვების ჟამს წამლებისთვის და სხვა დამაწყნარებელი საშუალებებისთვის კი არ მიემართათ, არამედ ლოცვები აღევლინათ. ჩემს რჩევას ყველამ ყური უგდო და შვებაც იგრძნეს. რელიგიისადმი ყურადღებამ გუნდი კიდევ უფრო გააძლიერა. სარწმუნოებას „ოსერში" ახლაც დიდ პატივს სცემენ და სანამ მე კლუბში ვიქნები, მუდამ ასე იქნება.

...მერე მეორე დივიზიონი იყო. მესამე ლიგაში გატარებული რამდენიმე წლის შემდეგ გამოცდილებაშეძენილმა ოსერელებმა გაიხარეს — „ოსერი" კიდევ ამაღლდა. ქალაქიც იზრდებოდა, ფეხბურთელთა არჩევანიც ფართოვდებოდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა რამდენიმე ნიჭიერი მოთამაშე კლუბის გარეთ დარჩენილიყო, ასეთი რამ არ მომხდარა — 60-70 წლებში თუ სადმე, რომელიმე ეროვნულ კლუბში ოსერელი ფეხბურთელი გამოჩნდებოდა, იგი მანამდე უეჭველად „ოსერში" იქნებოდა გამოწრთობილი.

— ისეთ კლუბს, როგორიც „ოსერი" იყო, იმ ხანებში არ ჰქონდა შესაძლებლობა მილიონები გაეღო ვარსკვლავების შესაძენად. ჩვენ ადგილობრივ კადრებზე გვიწევდა დაყრდნობა. ძალიან სერიოზულად ვმუშაობდით. რამდენიმე სელექციონერი გვყავდა, მაგრამ ბოლომდე არც მათ ვენდობოდი. ჩემი ნებართვის გარეშე არც ერთ ბიჭს არ ისტუმრებდნენ უარით. თუ რომელიმე ოსერელს ფეხბურთელობის რაიმე ეცხო, მას უცილობლად ჩვენს სკოლაში ვრიცხავდით. მწამდა, ჩვენი გარჯა ნაყოფს გამოიღებდა. ასეც მოხდა — მალე დათესილი მოვიმკეთ. სხვებთან შედარებით ფინანსურად ღარიბი „ოსერი" გაცილებით შეძლებულ კლუბებზე ძლიერი იყო და ეს ყველაფერი რამდენიმეწლიანი შრომის ფასად!

...1966 წლიდან მოყოლებული გი რუს მსოფლიოს ჩემპიონატი არ გაუცდენია, ტურნირებს მუდამ ესწრება და ყოველთვის რაღაცას სწავლობს. ნამთქვამია, სწავლა სიბერემდეო. ახლაც, 60 წლის ასაკში, მოხუცი ძველ საფეხბურთო ჩანაწერებს ეცნობა, აანალიზებს მათ და საჭიროს ინიშნავს. თითქმის 40 წლის მანძილზე, რაც გი ფეხბურთში მოღვაწეობს, მან უდიდესი გამოცდილება შეიძინა, რაც, ცხადია, ბოლოს და ბოლოს, შედეგზეც აისახა.

— ადამიანმა რაიმე თუ არ ისწავლე, თავს ვერ გაიტან, მორევში ჩაიკარგები. მე მსურდა მესწავლა და წინამორბედების ნამუშევრებსაც ამიტომ ვეცნობი, არც ჩემზე უმცროსი მწვრთნელების აზრებს უარვყოფდი. პირად არქივში „ბოტაფოგოში" მარიო ზაგალოს მოღვაწეობა მაქვს შემონახული. იქვეა უდიდესი ტაქტიკოსის, რინუს მიხელსის მიგნებებზე დაწერილი წიგნი, რომლის ავტორიც იგი გახლავთ. ვეცნობოდი სტეფან კოვაჩის, ჰელმუტ შონის, ელინიო ერერას, მატ ბასბის და სხვათა შეხედულებებს. ამის წყალობით კი გამოცდილებას ვიძენდი. 1966 წლიდან ყველა მსოფლიოს ჩემპიონატს ვესწრები — ფეხბურთი საუკეთესო კუთხით ხომ მსოფლიოს პირველობებზე წარმოჩნდება.

...მას შემდეგ, რაც გუნდი მეორე დივიზიონში ამაღლდა, კლუბში სერიოზულად დაიწყეს ფიქრი ქვეყნის საფეხბურთო ლიდერთა შორის ალზევებაზე, მაგრამ სწორედ ამ ხანებში „ოსერში" ტრაგედია დატრიალდა. კლუბის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე ჟოსელინ ლერუ ავტოავარიამ შეიწირა. მიუხედავად იმისა, რომ „ოსერი" საფრანგეთის მეორე დივიზიონში თამაშობდა, ფეხბურთელებს რაიმე განსაკუთრებული შემოსავალი არ გააჩნდათ. ლერუ ნაღდად კარგი მოთამაშე იყო, თან ახალგაზრდა. მისმა გარდაცვალებამ მთელი ოსერი დაამწუხრა. იმ დღეებში გი რუს თხოვნით კლუბმა დაღუპულის ოჯახს ჟოსელინის მთელი წლის ჯამაგირი გადაუხადა, რაც, ცხადია, ძალიან მცირე, მაგრამ მაინც ნუგეში იყო.

— ჟოსელინი ძალიან კარგი ბიჭი იყო. 12 წლისა მოვიდა ჩვენთან, „ოსერში" დავაჟკაცდა, გაიზარდა, მაგრამ იმ უბედურმა შემთხვევამ მისი თავი წაგვართვა. კარგად მახსოვს, მისი დაღუპვის შემდეგ „ოსერს" ორი კვირა არ უთამაშია — ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას მატჩების გადადება ვთხოვეთ. იმ დღეებში არავის შეეძლო თამაში. ჟოსელინი ძალიან, ძალიან გვიყვარდა. კლუბში ჩემი მოღვაწეობის მანძილზე ეს ყველაზე ტრაგიკული შემთხვევა გახლავთ. ღმერთის შეწევნით მსგავსი რამ არ განმეორებულა.

...მეორე დივიზიონიდან პირველამდე (უმაღლესამდე) ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა, მაგრამ მისი გადადგმა ყველაზე რთული გახლდათ. გი რუ ცდილობდა, ძალიან ცდილობდა. ბოლოს კი მოსახდენი მოხდა — „ოსერი" საფრანგეთის საფეხბურთო ელიტაში გაერია. 1990 წელი დაუვიწყარია კლუბის ისტორიაში. გი რუ ბედნიერი იყო, ქალაქელები ხარობდნენ, ხალხი ზეიმობდა, ჩემპიონატის დაწყებას მოუთმენლად ელოდნენ.

— შესაძლოა, „ოსერმა" რომელიმე ევროთასი აიღოს კიდეც, მაგრამ მერწმუნეთ — ის სიხარული, რომელიც ქალაქმა კლუბის პირველ დივიზიონში ალზევებისას განიცადა, არასდროს განმეორდება. ის ზაფხული ოსერმა ეიფორიაში გაატარა. იცით? ერთხელ ქალაქის პოლიციის შეფმა ლორან უირბოტმა მითხრა, იმ ზაფხულს მხოლოდ სამი ქურდობა მოხდაო. ეს რაზე მიანიშნებს? საყვარელი გუნდის წარმატებამ ხალხი გაახარა. იმ დღეებში ბოროტებაზე აღარავინ ფიქრობდა, რაც შემეხება მე, ასეთი ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ. ვამაყობდი, რომ ყველა პატივს მცემდა. მივხვდი: იმას, რასაც წლების მანძილზე ვაკეთებდი, უკვალოდ არ ჩაუვლია.

...1994 წელს, ფრანგული ფეხბურთის უძლიერესთა შორის მყარად დამკვიდრებულმა „ოსერმა" ქვეყნის თასი მოიგო. მორიგი სიხარული, ორი წლის შემდგომ კი სულაც ტრიუმფი — თასიც და ჩემპიონობაც გი რუს გუნდს დარჩა! წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავდა ეს 50 ათასიანი ქალაქისთვის? შეუძლებელია აღწერო ის, რაც იმ გაზაფხულზე ოსერში ხდებოდა. მოხუცი კი რუ კი ნამდვილი გმირი გახდა. ყოველი ოსერელი, ქალი თუ კაცი, თავს მოვალედ თვლიდა გი რუ გაეცნო.

— ის ორი წელიწადი თავი სიზმარში მეგონა. თასიც მოვიგეთ, მერე ჩემპიონობა და თასი, დუბლი შევასრულეთ და ეს ყველაფერი „ოსერმა" შეძლო. ძალიან გთხოვთ, ცუდად ნუ გამიგებთ, მაგრამ როცა პატარა ქალაქის კლუბი სჯობნის ისეთ გუნდებს, როგორიცაა „მარსელი", პსჟ, „მონაკო", „ნანტი", „ბორდო", ეს ენითაუწერელი განცდაა, გრძნობა, რომელიც უნდა განიცადო. წარმატებებმა უპოპულარულეს ადამიანად მაქცია, რაც ძალიან მახარებდა. სიხარულს ის მიათკეცებდა, რომ აღიარებას მუხლჩაუხრელი შრომით მივაღწიე. ქალაქში მცნობენ, უცხოები მესალმებიან, ეს კი ჩემთვის ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია.

* * *

შარშან გაზაფხულზე, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, „ოსერი" თასის მომავალ მფლობელ „ბორუსიას" მასპინძლობდა. თამაშის ბოლო წუთები მიმდინარეობდა და ფრანგთა ნახევარფინალში გასვლის შანსი, მატჩისთვის განკუთვნილ დარჩენილ დროსთან ერთად მცირდებოდა. ერთ მომენტში დორტმუნდელთა დარტყმული ბურთი იმ ტრიბუნაზე გადავარდა, სადაც გერმანელი ქომაგები ისხდნენ. სტუმართა გულშემატკივრები ბურთს არ აბრუნებდნენ. ამ დროს, მოხუცს გულმა ველარ მოუთმინა და წამოხტა, სტადიონს შემოურბინა, დორტმუნდელ ფანებს მიუახლოვდა და ბურთის დაბრუნება სთხოვა.

„ოსერი" ნახევარფინალში ვერ გავიდა, მაგრამ მთავარი სხვა იყო — გი რუს საქციელით ხალხმა, და არა მარტო ოსერელებმა, ნათლად დაინახეს, რომ ამ კაცისთვის კლუბი წმიდათაწმიდაა.

საოცარია გი რუს ამ მოქმედებით გამოწვეული განცდა. ალბათ, არ მოიძებნება სიტყვები, რომლებიც ამას აღწერს. უნდა ნახო და თავად განიცადო ის, რასაც მეოთხედფინალური შეხვედრის ბოლო წუთებში თავად გი რუ გრძნობდა. მაშინ მწვრთნელის მოქმედებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. „ოსერი", მარცხის მიუხედავად, არავის გაუკრიტიკებია. და განა იმიტომ, რომ დაინდეს. არამც და არამც — „ოსერმა" ის თამაში კარგად ჩაატარა, მწვრთნელსაც სტრატეგიას ვერ დაუწუნებდი, უბრალოდ, მეტოქე ძლიერი იყო.

* * *

...შაბათს „ოსერი" ლანსს სტუმრობდა. გი რუ და მისი შვილობილი კი პირველ დივიზიონში 689-ე მატჩს ატარებდნენ. მწვრთნელის იუბილემდე ერთი დღე რჩებოდა. ოსერელებს ძალიან სურდათ, მოხუცისთვის დაბადების დღე მიელოცათ, იგებდნენ კიდეც შეხვედრას, მაგრამ საბოლოოდ თავად მოუხდათ მარცხისგან თავის დახსნა — 2:2.

გი რუ გახარებული გახლდათ.

მეორე დღეს, კვირას, მთელი ოსერი ხარობდა — ძირძველი ბურგუნდიელი 60 წლის გახდა. ბრწყინვალე იუბილე იყო, შესანიშნავი. კლუბმა ღირსეული პატივი სცა მწვრთნელს, მაგრამ ყველაზე ნიშანდობლივი ის გახლდათ, რომ აღმზრდელს ერიკ კანტონა ეწვია, ის პატარა ანცი ბიჭი, რომელმაც თამაში სწორედ „ოსერში" დაიწო, სწორედ გი რუს მეთვალყურეობით.

— ამბობენ, პიროვნება გუნდთან არ უნდა გააიგივოო, მაგრამ ჩემთვის თქვენ და „ოსერი" ერთნაირად მნიშვნელოვანი და საყვარელი ხართ. ღრმად მწამს, ყველა ოსერელი ასე თვლის — თქვა კანტონამ და აღმზრდელის სადღეგრძელო შესვა.

ალბათ, არ ღირს რაიმეს დამატება. კანტონას სიტყვებით ყველაფერი ნათქვამია.

**ლაშა გოდუაძე**

ფეხბურთის [illegible]

ამერიკის შეერთებული შტ ტების ნაკრების ნახევარმცველ კლაუდიო რეინამ ოფიციალურ განაცხადა თავისი ამჟამინდელი კლ ბის, ბუნდესლიგის გათამაშებაში ბ ლო ადგილზე მყოფი „ვოლფსბ რგის" დატოვების თაობაზე — „ვტოვებ კლუბს. არ მაინტერესებ რა ხდება აქ დღეს და რა მოხდ ბა მომავალში" — აღნიშნა რე ნამ. 25 წლის ფეხბურთელი „ვ ლფსბურგში" შარშან გადავიდა ლ ვერკუზენის „ბაიერიდან" და მ სთან 1999 წლის ივნისამდე აქ კონტრაქტი გაფორმებული.

პოლონეთის ჩემპიონატი. მე ტური: რუხი (რადიონკოვი) — პოლ ნია 0:0; ლეგია — გურნიკი 0:1; ვიძ — სტომილი 5:0; ლეხი — გაზლებ 4:0; ამიცა — ოდრა 3:1; კატოვიცე — პოგონი 1:0; ბელხატოვი — ლოძი 2: ვისლა — რუხი (ხოჟუვი) 4:1. გათამ შებას 31 ქულით ლიდერობს „ვისლა მას 4 ქულით ჩამორჩება „ლეხი".

ლიტვის ჩემპიონატი. მე-10 ტურ კაუნასი — ლოკომოტივასი 2: გელეჟნისი — კარედა 0:4; მასტ სი — ჟალგირისი 0:6; ნევეცის — ეკრანასი 1:0; ატლანტასი — ეკრანასი 1:0. გათამაშებას 29 ქ ლით ლიდერობს „კაუნასი". მას ქულით ჩამორჩება „კარედა".

## ინგლისი

პირველი დივიზიონი
XV ტური

**ბირმინგემი 1:1 სვინდონი**
1:0 მერსდენი (58), 1:1 გუდენი (74)

**ბოლტონი 1:2 უოტფორდი**
1:0 გუნლაუგსონი (25), 1:1 ნოელ-უილიამ (42), 1:2 კენედი (87)

**ბერი 1:0 ოქსფორდი**
1:0 სუეილსი (69)

**კრ. პალასი 3:2 ვულვერჰემპტონ**
1:0 მური (40), 2:0 ბარტონი (52), 2:1 სედგლ (63), 3:1 ჩურჩიჩი (84), 3:2 სედგლი (86

**გრიმსბი 2:1 ბრისტოლი**
0:1 ანდერსენი (33), 1:1, 2:1 გროვესი (50, 60

**იფსვიჩი 0:1 ნორვიჩი**
0:1 ბელამი (53)

**პორტ ვეილი 1:0 ქრიუ**
1:0 ბისლი (68)

**პორტსმუთი 2:4 ბრედფორდ**
0:1 ვოლეი (22), 0:2 რენკინი (32), 0:3 მილ (33), 1:3, 2:3 ალოიზი (59, 68), 2:4 ბიგ (80)

**შეფილდ იუნ. 1:1 სტოკპორტი**
0:1 მური (18), 1:1 მარსელო (71)

**ტრანმერი 3:0 ბარნსლი**
1:0 მაჰონი (5), 2:0 გ. ჯონსი (39), 3: ტეილორი (79)

**ჰადერსფილდი 1:1 სანდერლენდ**

**ვესტ ბრომვიჩი 2:0 ქუინზ პარკ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰადერსფილდი | 15 | 8 | 3 | 4 | 21:18 | [illegible] |
| სანდერლენდი | 13 | 6 | 7 | 0 | 29:10 | [illegible] |
| ბირმინგემი | 15 | 7 | 4 | 4 | 20:14 | [illegible] |
| უოტფორდი | 14 | 7 | 2 | 5 | 22:22 | [illegible] |
| გრიმსბი | 14 | 6 | 4 | 4 | 19:15 | [illegible] |
| იფსვიჩი | 13 | 6 | 4 | 3 | 18:8 | [illegible] |
| ბოლტონი | 12 | 5 | 6 | 1 | 27:19 | [illegible] |
| ბრედფორდი | 14 | 6 | 3 | 5 | 23:18 | [illegible] |
| ვესტ ბრომვიჩი | 13 | 6 | 2 | 5 | 27:23 | [illegible] |
| კრ. პალასი | 12 | 6 | 2 | 4 | 20:19 | [illegible] |
| შეფილდ იუნ. | 14 | 5 | 5 | 4 | 20:21 | [illegible] |
| ნორვიჩი | 12 | 6 | 2 | 4 | 18:16 | [illegible] |
| პორტ ვეილი | 14 | 6 | 2 | 6 | 14:22 | [illegible] |
| ბერი | 15 | 5 | 5 | 5 | 11:12 | [illegible] |
| ვულვზი | 13 | 5 | 3 | 5 | 16:13 | [illegible] |
| პორტსმუთი | 15 | 4 | 5 | 6 | 23:23 | [illegible] |
| სტოკპორტი | 14 | 3 | 8 | 3 | 17:19 | [illegible] |
| ბარნსლი | 14 | 3 | 6 | 5 | 17:21 | [illegible] |
| ტრანმერი | 13 | 3 | 6 | 4 | 14:19 | [illegible] |
| სვინდონი | 15 | 3 | 4 | 8 | 20:27 | [illegible] |
| ოქსფორდი | 15 | 3 | 4 | 8 | 18:28 | [illegible] |
| ბრისტოლი | 15 | 2 | 6 | 7 | 23:30 | [illegible] |
| ქრიუ | 13 | 2 | 4 | 7 | 16:24 | [illegible] |
| ქუინზ პარკი | 13 | 2 | 3 | 8 | 10:22 | [illegible] |

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
გამოტოვებული მატჩი
**ურდინგენი 0:2 ფიურტი**

UEFA Cup Winners' Cup

# მოვიდნენ! დავხვდებით!

## თასების თასის მერვედფინალის პირველი მატჩების მიმოხილვა

სეზონის დაწყებამდე „ლაციოს" თავკაცობამ მილიონობით დოლარი დახარჯა გუნდის გასაძლიერებლად. ერთი შეხედვით სასურველ შედეგს მიაღწიეს კიდეც — კლუბი ძლიერად თამაშობს და ქვეყნის ჩემპიონობის რეალურ კანდიდატადაც ითვლება, მაგრამ საკითხავი ისაა, გაუძლებენ თუ არა შეჯიბრებებით გადატვირთულ სეზონს ფეხბურთელები.

ახლა თასების მფლობელთა თასის მერვედფინალია. სწორედ ახლა და საპასუხო შეხვედრებში უნდა გაირკვეს იმ გუნდთა ვინაობა, თასისთვის ბრძოლას გაზაფხულზეც რომ გააგრძელებენ. ლაციოელთა მეტოქე მათთან შედარებით შეიძლება სუსტადაც კი ჩათვალო — ბელგრადის „პარტიზანი" ახლანდელი შესაძლებლობებით ახლოსაც ვერ მივა „ლაციოსთან", მაგრამ ბურთი ხომ მრგვალია და არც არავინ უწყის, საით გაგორდება იგი.

კრისტიან ვიერი ტრავმირებულია, ხორვატი ალენ ბოქშიჩი კარგა ხანია, ავადმყოფობს, ჩილელი მარსელო სალასი ახლახან დაშავდა, იუგოსლაველმა ნახევარმცველმა დეიან სტანკოვიჩმა მუხლი რამდენიმე დღეა, დაიზიანა, ესპანელმა გამთამაშებელმა ივან დე ლა პე-

რომელთა შვედი მწვრთნელი, განწყობას არ უჩივის. მანვე განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მოთამაშეები გვაკლდებიან, მჯერა, გამარჯვებული „ლაციო" დარჩება, ჩვენთან ხომ ყველას შესწევს უნარი, თანაგუნდელი შეცვალოსო.

ამ ბოლო დროს ხშირად გვხვდება ფეხბურთში მოღვაწე ჯადოქრები. ახლაც, მავანმა იტალიელმა კუდიანმა ქალმა, ფეხბურთზე უზომოდ შეუდარებელი ალქაჯმა განაცხადა, „ლაციო" „პარტიზანს" დიდი ანგარიშით დაამარცხებს და საერთოდ, წლევანდელ თასების თასის ფინალში რომაელები „ჩელსის" დაუპირისპირდებიანო. მართლაც ასე იქნება თუ არა, ძნელი სათქმელია, მაგრამ თუ ასე მოხდა, ალბათ, საუკეთესო ფინალი იქნება.

სიტყვამ მოიტანა და „ჩელსიზე" ვთქვათ. ლონდონელები ახლაც, ისევე, როგორც გასულ სეზონში, თასების თასის მოპოვების რეალურ პრეტენდენტებად ითვლებიან. ინგლისურ პრესაში იმასაც ამბობენ, თუ ვინმე „ჩელსის" წარმატების გამეორებაში ხელს შეუშლის, ეს სწორედ „ლაციო" იქნებაო. ეტყობა, ინგლისელი ჟურნალისტებიც იტალიელი ჯადოქრის დარად ფიქრობენ.

ლონდონელთა მეტოქე მერვედფინალში



არა, მარსელო სალასი ფეხბურთიდან არ წასულა, უბრალოდ დროებით მაყურებელთა შორის მოუწევს ყოფნა — ტრავმირებულია

ნიამ ვერ იქნა და ვერ დაიამა ტკივილები, ალესანდრო ნესტაც ვერ ითამაშებს. წარმოგიდგენიათ, რამხელა ძალა დააკლდება „ლაციოს"? ესეთი დანაკლისის შემდეგ არაფერია გამორიცხული. ლიდერთა გამოკლებამ, ცხადია, „პარტიზანის" შანსებიც გაზარდა.

— ჩვენ ვიბრძოლებთ, რათა სახელიანი მეტოქე დავამარცხოთ. ფავორიტებად ყველა „ლაციოს" თვლის. იქნებ ასეცაა, მაგრამ „პარტიზანსაც" ჩვევია ბრძოლა. ჩვენი წარმატება წარმოუდგენლად სულაც არ მესახება — იულიან კუკიჩი, ბელგრადელთა წარმომადგენელი, იმედიანადაა.

— „ინტერთან" შესანიშნავი გამარჯვების შემდეგ ბიჭები საბრძოლველად არიან განწყობილნი. არა მგონია, გამორიცხული იყოს ჩვენი გამარჯვება. მილანში მოგებამ ფრთები შეგვასხა. „პარტიზანის" ძლევა „ინტერის" მერე ერთობ კარგი რამ იქნება — სვენ გორან ერიქსონი,

„კოპენჰაგენია", ერთობ სუსტი გუნდი. თუ ვის უწინასწარმეტყველებს ხალხი გამარჯვებას, ძნელი მისახვედრი არაა, მაგრამ „ჩელსის" დანიელმა ლეგიონერმა ბრაიან ლაუდრუპმა განაცხადა, თავს ნუ დავიბრმავებთ, მეტოქესთან ხიფათი ყოველთვის მოსალოდნელიაო.

— დარწმუნებული ვარ, „კოპენჰაგენი" მთელი გუნდით დაცვაში ითამაშებს და კონტრშეტევებზეც შეეცდება ჩვენს გამოჭერას. ვფიქრობ, მათი განლაგება 4-5-1 იქნება. დანიელების შესახებ ჩვენს კლუბში ყველაზე უკეთ მე მომეხსენება და ამიტომ მინდა ვთქვა, რომ „ჩელსი" მეტოქესთან სათამაშოდ უდიდესი სერიოზულობით ემზადება. ჩვენ არ დავუშვებთ შემთხვევითობას! — განაცხადა ლაუდრუპმა.

„სტემფორდ ბრიჯი" დანიელებთან სათამაშოდ ემზადება. სტუმართა დასახვედრად მზად არიან ფანებიც!

**ირაკლი ილაშვილი**




ეს გაზაფხულზე იყო — თასების თასის ფინალში ძოლამ გადამწყვეტი გოლი გაიტანა. ჯანფრანკო იგივეს ამ გაზაფხულზეც აპირებს

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

### უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი

22 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი (გერმანია) — რეინჯერსი (შოტლანდია) | (1,2-3,5) | 1,4 | 3,5 | 7,0 |

### თასების თასი. მერვედფინალი

22 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლაციო (იტალია) — პარტიზანი (იუგოსლავია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ვალერენგა (ნორვეგია) — ბეშიქთაში (თურქეთი) | (4,0-1,15) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ჰერენვენი (ჰოლანდია) — ვარტექსი (ხორვატია) | (1,2-3,5) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| გენკი (ბელგია) — მალიორკა (ესპანეთი) | (2,0-1,5) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| პანიონისი (საბერძნეთი) — აპოლონი (კვიპროსი) | (1,15-4,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| რიდი (ავსტრია) — მაკაბი (ისრაელი) | (1,7-1,7) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლოკომოტივი (რუსეთი) — ბრაგა (პორტუგალია) | (1,25-3,1) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ჩელსი (ინგლისი) — კოპენჰაგენი (დანია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. მე-9 ტური

23 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰამბურგი — ვერდერი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| ფრაიბურგი — დორტმუნდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოხუმი — მიონხენგლადბახი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ნიურნბერგი — შტუტგარტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვოლფსბურგი — აინტრახტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| ჰანზა — შალკე | 2,0 | 2,9 | 3,4 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლევერკუზენი — მიუნხენ 1860 | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| დუისბურგი — ჰერტა | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. მე-11 ტური

23 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფორტუნა — ჰანოვერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კოტბუსი — მაინცი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კიკერსი — არმინია | 2,9 | 2,8 | 2,3 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ობერჰაუზენი — ულმი | 4,0 | 3,3 | 1,7 |
| ბერლინი — კარლსრუე | 2,5 | 2,8 | 2,9 |
| გიუტერსლო — ზანქტ პაული | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ფიურტი — ვატენშაიდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ურდინგენი — კიოლნი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| დიუსელდორფი — უნტერჰახინგი | 2,6 | 2,8 | 2,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. მე-10 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ლესტერი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ჩარლტონი — ვესტ ჰემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| დერბი — მანჩესტერი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| ლივერპული — ნოტინგემი | 1,25 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| შეფილდ უენსდეი — ევერტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| საუთჰემპტონი — ქოვენთრი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ტოტენჰემი — ნიუკასლი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| უიმბლდონი — მიდლსბრო | 2,0 | 2,9 | 3,4 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბლექბერნი — არსენალი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ლიდსი — ჩელსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. მე-16 ტური

23 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრისტოლი — ბოლტონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — პორტსმუთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბრედფორდი — კრისტალ პალასი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ქრიუ — ტრანმერი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ნორვიჩი — ჰადერსფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ოქსფორდი — შეფილდ იუნაიტედი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სტოკპორტი — იფსვიჩი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სანდერლენდი — ბერი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| სვინდონი — ვესტ ბრომვიჩი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| უოტფორდი — პორტ ვეილი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ვულვერჰემპტონი — გრიმსბი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქუინზ პარკი — ბირმინგემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. მე-10 ტური

24-25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლე ავრი — ტულუზი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| რენი — ლორიანი | 1,5 | 2,9 | 8,0 |
| მარსელი — სოშო | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| ბასტია — სტრასბური | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ბორდო — ნანსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ნანტი — პარი სენ ჟერმენი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ოსერი — ლიონი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მონპელიე — ლანსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| მეცი — მონაკო | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. მე-6 ტური

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — პიაჩენცა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| კალიარი — ბარი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ფიორენტინა — სალერნიტანა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| იუვენტუსი — ინტერი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ლაციო — ვიჩენცა | 1,25 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| მილანი — რომა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| პერუჯა — პარმა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| სამპდორია — ემპოლი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| უდინეზე — ვენეცია | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 0:1 | 2,1 | 2,8 | 2,3 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. მე-7 ტური

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მალიორკა — ატლეტიკო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ტენერიფე — დეპორტივო | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ოვიედო — ვილიარეალი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| სოსიედადი — ვალიადოლიდი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ესპანიოლი — ბარსელონა | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| სალამანკა — ბილბაო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვალენსია — ბეტისი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| სელტა — სარაგოსა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| რეალი — რასინგი | 1,25 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| ალავესი — ესტრემადურა | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. მე-9 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეგანესი — ბადახოსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| მერიდა — ოსასუნა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| რეკრეატივო — ერკულესი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ორენსე — ბარსელონა B | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სევილია — ალბასეტე | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| კომპოსტელა — ტოლედო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ნუმანსია — ეიბარი | 1,25 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| ლეიდა — სპორტინგი | 1,25 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| ლოგრონიესი — ლას პალმასი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| რაიო ვალეკანო — მალიორკა B | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მალაგა — ატლეტიკო B | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. მე-8 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფარენსე — სპორტინგი | 4,4 | 3,1 | 1,7 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რიუ ავე — კამპომაიორენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბეირა მარი — ამადორა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| მარიტიმუ — აკადემიკა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბოავიშტა — ბენფიკა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| გიმარაეში — შავეში | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ალვერკა — სეტუბალი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სალგეირუში — ბრაგა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ლეირია — პორტუ | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### რუსეთის ჩემპიონატი. 29-ე ტური

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ცსკა — როტორი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სპარტაკი — შინიკი | 1,3 | 3,0 | 10,0 |
| ტიუმენი — ჩერნომორეცი | 8,0 | 4,0 | 1,2 |
| ბალტიკა — ზენიტი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| კრილია სოვეტოვი — ლოკომოტივი | 2,3 | 2,8 | 2,4 |
| ურალანი — დინამო | 1,8 | 2,8 | 3,8 |
| ალანია — ჟემჩუჟინა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ტორპედო — როსტსელმაში | 1,6 | 3,1 | 4,2 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. მე-10 ტური

23 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| როდა — სიტარდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ნაიმეგენი — ალკმაარი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაასტრიხტი — ვალვაიკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ტვენტე — გრააფსხაპი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბრედა — ვიტესი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აიაქსი — კამბური | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,3 | 5,0 | 4,0 |
| ტილბურგი — ეინდჰოვენი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| უტრეხტი — ფეიენოორდი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| სპარტა — ჰერენვენი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### ბელგიის ჩემპიონატი. მე-11 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ოსტენდე — სენტ ტრიუდენი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| სტანდარდი — ეკერენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| გენტი — ბრიუგე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| გენკი — ვესტერლო | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| შარლერუა — ბევერენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ლოკერენი — ანდერლეხტი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ლიერსი — ლომელი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კორტრაიკი — მუსკრონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| აალსტი — ჰარელბეკი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. მე-13 ტური

24-25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რუხი — ვიძევი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლკს — ვისლა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| პოგონი — ლეგია | 2,3 | 2,2 | 2,3 |
| გურნიკი — ბელხატოვი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,1 |
| ოდრა — კატოვიცე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| პოლონია — ამიცა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ზაგლებიე — რაძიონკოვი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სტომილი — ლეხი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### თურქეთის ჩემპიონატი. მე-9 ტური

23 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტრაბზონი — ადანა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანთალია — ისთანბული | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| გალათასარაი — სამსუნი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,45 | 3,8 | 3,5 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| საქარია — გენჩლერბირლიგი | 4,0 | 3,3 | 1,7 |
| ალთაი — ბურსა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ანკარაგიუჯუ — ერზურუმი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| გაზიანთეფი — კოჯაელი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| დარდანელი — ქარაბუქი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბეშიქთაში — ფენერბაჩე | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. მე-11 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — აბერდინი | 1,25 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| დანდი — დანფერმლაინი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ჰართსი — დანდი იუნაიტედი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| კილმარნოკი — სენტ ჯონსტონი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| მოზერველი — რეინჯერსი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. მე-13 ტური

23 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| გრაცერი — ლინცერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუშტენაუ — შტურმი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| რაპიდი — შტაირი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რიდი — აუსტრია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ზალცბურგი — ტიროლი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. მე-15 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქსამაქსი — ციურიხი | 1,9 | 2,9 | 3,8 |
| ბაზელი — სერვეტი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| იანგ ბოიზი — ლუცერნი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლოზანა — ლუგანო | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| გრასჰოპერი — სიონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| სენტ გალენი — არაუ | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში

# ვიცოდი, რომ გაიტანდა




8

ᲙᲐᲪᲛᲐ ყველაფერი უნდა ჩაიწეროს. ყოველი დღე ერთი სიტყვით მაინც უნდა შევიდეს ბლოკნოტში, რადგან მერე გავა წლები, დაგჭირდება ოდესღაც ნანახის, გაგონილის თუ თავს გადახდენილის ზუსტად გახსენება. დაგჭირდება, მაგრამ...

ვერაფრით ვიგონებ რომელი წელი იყო, ან ვის ხვდებოდა იმ დღეს „დინამო“. იქნებოდა ასე 1979, 1980 ან 1981. მეტოქეც რაღაც ისეთი იყო, არც ძალიან ძლიერი და არც ძალიან სუსტი, მოკლედ არც „სპარტაკი“ და არც კიევის „დინამო“. რაღაც მოშახტიორო, მოლოკომოტივო გუნდს ვეთამაშებოდით. აღმოსავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსზე ვიჯექი.

„უძალლო ქვეყანაში კატებს აყეფებენ, რა! ნაღდად ასეა. აფსუს მიშკა. ამას მაშინ ვინმე ათამაშებდა“-აღრიალდა ზედა რიგში, ზუსტად ჩემს ზურგს უკან მჯდომი კაცი.

ნერვები დამაწყდა, მამისტოლა კაცს, თანაც აღელვებულს რა ვუთხრა, ხომ არ ავუყვირდები. მეხსიერებაში ჩამრჩა მისი შავი ტყავის პლაშჩი. მზიანი დღე იყო და ყველა ღილი გახსნილი ჰქონდა. გრძელ ცხვირა იყო. მელოტ თავს გვერდიდან ნასესხები თმა უფარავდა და ყვიროდა.

რა შუაშია მიშკა. მიშკა გარემარბი იყო. მათ ერთდროულად რომც ეთამაშათ მაინც არ იქნებოდნენ შესადარებლები. ამდენი აღარ ესმის?! - ავდუღდი ჩემთვის.

მერე ვინ არის კატა! არა, ვინ არის მეთქი კატა! ბრმა ხომ არ ხარ დალოცვილო, წლების განმავლობაში ფეხბურთზე გივლია, კარგის და ცუდის გარჩევა ვერ უნდა ისწავლო?

ვზივარ და შინაგანად ვთუხთუხებ. არადა, ხომ ვიცი, რომ გაიტანს, ნაღდად გაიტანს და მერე მე ავღრიალდი. ავღრიალდები კიდეც 15 წუთში, ავღრიალდი და მერე როგორ.

გოლ! ესე! მაგარი ხარ! ძალიან მაგარია ეს კაცი! გოლ!... და ვინ იცის კიდევ რა, აკი ვთქვი არ ჩამიწერია-მეთქი. ისე ვღრიალებდი ის კაცი დავაყრუე.

მართლა ძალიან მაგარი იყო, ოღონდ მის გამო ხშირად ავდუღებულვარ. რაც მოვყევი ყველაზე მკაფიოდ დამამახსოვრდა, თორემ რაღაც ამდაგვარ მდგომარეობაში სხვა დროსაც აღმოვჩენილვარ. ორს ისეთს გაიტანდა, რომ... ერთსაც ისეთს ააცილებდა, რომ...

მაგრამ ერთი უდავო იყო, ის რომ ააცილებდა იმ პოზიციიდან, ბევრი დარტყმასაც ვერ მოახერხებდა. არა, გენიოსი არ ყოფილა, მაგრამ საუცხოო თავდამსხმელი იყო. ჰქონდა საგანგებო ალღო და სხარტი დარტყმა. რა მახსენდება რამაზ შენგელიას რომ ახსენებენ? რა და ბურთთან ორწამიანი და ან სულაც ერთი შეხება და უეცარი გოლი.

ცხონებული გიგა ნორაკიძე იგონებდა, როგორღ დააწყებინა დიდ სარბიელზე თამაში. ეს ქუთაისის „ტორპედოში“ მოხდა, სანამ რამაზს „დინამოში“ წამოიყვანდნენ.

დაიწყო სეზონი და ნორაკიძე ყოველ ტურში ჯიუტად ათამაშებს უცნობ ახალგაზრდას, რომელსაც გოლი ვერ გააქვს. გავიდა ერთი შეხვედრა, ორი, სამი, ხუთი...

— მას არავინ აგინებდა. შენი გამომყვანიო, ჩემზე იძახდნენ — ხუმრობდა ბატონი გიგა.

რიცხვს ვერ დავასახელებ, არ მინდა შემეშალოს, მაგრამ დაახლოებით მერვე ტურიდან შენგელიას ფეხი ტყვიამფრქვევივით ამოქმედდა. გოლი, გოლი, გოლი, ზედიზედ, ზედიზედ...

და რამაზი თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს.

— ბრძენი ახალკაცი თავიდანვე ატყობდა ყველაფერს — მრავალმნიშვნელოვანი ჟესტი გააკეთა ნორაკიძემ, ახალკაცის სიდიდეს გაუსვა ხაზი.

...თუ დამიჯერებთ, ცხოვრებაში ერთადერთხელ ვუქომაგე საბჭოთა კავშირის ნაკრებს. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოგახსენებთ, უფრო სწორედ მის ერთ მატჩზე, საბჭოთა გუნდისთვის პირველზე. იმ დღეს „ჩვენები“ ბრაზილიას შეხვდნენ.

ნუ დაგვავიწყდება, რა გუნდი იყო მაშინ ბრაზილია.ეს იყო ტელე სანტანას ნაკრები, შემტევი, ბურთის ხავერდოვანი გათამაშებით და ისეთი ვარსკვლავებით, როგორებიც გახლდნენ ზიკო, სოკრატესი, ფალკაო... მათი დარტყმული ბურთი უჩვეულო ტრაექტორიით მიფრინავდა კარისკენ. ისინი ამხტარნიც ათვინიერებდნენ მას და წამის დაუკარგავად პირდაპირ შემდეგ მოძრაობაზე გადადიოდნენ. ის გუნდი ჩემპიონი რატომ ვერ გახდა, სხვა თემაა.

და აი, ასეთ მოწინააღმდეგესთან ქართველი ფეხბურთელებით სავსე საბჭოთა ნაკრები პირველ ტაიმს დიდებულად თამაშობს. რამაზ შენგელია კი ერთ ეპიზოდში, მარცხენა კუთხურთან მისთვის არცთუ ჩვეული ფინტებით ჯობნის რამდენიმე მოწინააღმდეგეს.

იმ შეხვედრაში შენგელიას ნაღდი გოლიც არ ჩაუთვალეს.

რამაზმა მეორე თამაშში შოტლანდიას გაუტანა. ის საერთოდ ქართველთათვის დაუვიწყარი შეხვედრა გამოდგა, მაგრამ მე საბჭოთა გუნდს აღარ ვქომაგობდი. მე ქართველებს ვუჭერდი მხარს. შოტლანდიელებს 10:9 რომ მოეგოთ და ცხრავე გოლი ჩვენს ბიჭებს გაეტანათ, გამიხარდებოდა.

დაახლოებით ასეც მოხდა, თამაში 2:2 დამთავრდა და ორივე გოლი ქართველებმა, ალექსანდრე ჩივაძემ და რამაზ შენგელიამ გაიტანეს. თან, საგანგებოდ გასახარი ის იყო, რომ მართალია მეტოქემ ანგარიში ჩივაძის ფეხის დაცდენის გამო გახსნა, მაგრამ ჩივაძემ თავად გაქვითა და მერე, როგორც ვთქვით, რამაზმა შეაგდო.

ახლაც არ გამნელებია გრძნობა, რომელიც მაშინ დამეუფლა. ისეთ ფორვარდს, როგორიც რამაზ შენგელია იყო, ესპანეთის სტადიონებზე გაცილებით შესამჩნევი კვალის დატოვება შეეძლო.

მწვრთნელთა ტიუმვირატიო, ბესკოვი, ლობანოვსკი და ახალკაცი ერთადო. ჯანდაბასაც წაულია საბჭოთა ნაკრები, მე რამაზზე და ბიჭებზე დამწყდა გული.

კაცი, რომელიც ორჯერ გახდა იმ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი, რომელშიც მჯობნის მჯობნად უმალ კარობოჩკას ან კაზაჩონოკს დაასახელებდნენ, ოღონდ ქართველი არ დაესახელებინათ, ადვილი მისახვედრია, რა კლასის ფეხბურთელი უნდა ყოფილიყო.



„საფეხბურთო ბალეტი“ რამაზ შენგელიასა და მოსკოვის ცსკა-ს მცველების შესრულებით

მაშინ ხშირად გაიგონებდით ყიფიანი და მისი პასი რომ არ იყოს, შენგელია ვერაფერს გახდებოდაო. ყიფიანი რომ არ ყოფილიყო, დარასელია რომ არ ყოფილიყო, ჩივაძე რომ არ ყოფილიყო, გუცაევი რომ არ ყოფილიყო...

აბა იმავე ყიფიანს კითხეთ, რა სამუშაოს ასრულებდა შენგელია უბურთოდ?! გულშემატკივრის ამბავი ხომ იცით, თვალი ბურთიანი კაცისკენ გაურბის (მითუმეტეს, როდესაც ეს ბურთიანი კაცი ყიფიანი, გუცაევი, დარასელია ან ჩივაძეა), ხოლო ამ დროს სხვა რას აკეთებს შეუმჩნეველი რჩება.

ვიცი, ხალხს ნიძლავი მოუგია. ერთს უთქვამს შენგელიას ყიფიანი ბურთს ფეხზე დაასკუპებს და მერე გატანას რაღა უნდაო, მეორე შეპასუხებია, ეგრე არ არისო. დანიძლავებულან და სტადიონზე მისულები საგანგებოდ შენგელიას დაკვირვებიან.

ნიძლავი იმას მოუგია, მეორეს.

ბურიაკის და შენგელიას დუეტი გახსოვთ? ლეონიდ ბურიაკი კიევის „დინამოს“ ფეხბურთელი და რამაზ შენგელია თბილისის „დინამოდან“. ისინი სხვადასხვა ფეხბურთს თამაშობდნენ. კიევში ძალისმიერ ფეხბურთს განუზომლად დიდ პატივს სცემდნენ ვიდრე თბილისში, ჩვენთან კი მოთამაშეთა ფანტაზიას ეყრდნობოდნენ მეტად.

მიუხედავად სრულიად განსხვავებული სკოლებისა, ბურიაკმა და შენგელიამ საბჭოთა კავშირის ნაკრებში საუცხოოდ აუღეს ერთმანეთის სტილს ალღო. ბურიაკი პასების დამრიგებელი კაცი იყო, შენგელია გოლების გამტანი. ჩააწოდებდა ბურიაკი, გამოხტებოდა შენგელია და ბურთი მეტოქის კარის ბადეს ზღვის ტალღასავით აღელვებდა.

მაგრამ დათოს პასით რამაზის გატანილი სხვა იყო.

ეხლა, არ იფიქროთ, რომ რაღაც ამერია... 1981 წელს, თასების თასის ნახევარფინალში, თბილისში „ფეიენორდთან“ ძალიან მკაფიოდ გამოჩნდა როგორ ესმოდა რამაზს დათოსი და დათოს რამაზის. შენგელიას ყიფიანისკენ არც გაუხედავს, ისე გაეშურა იქითკენ, სადაც ალღომ უკარნახა და ყიფიანმაც, მართლაც მილიმეტრების სიზუსტით დასვა ბურთი იმ ადგილას, სადაც მის მეგობარს სჭირდებოდა.

„ფეინოორდთან“ რამაზს გოლი არ გაუტანია, მაგრამ ეპიზოდი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომბევრი გოლიც კი ამოაგდო გონებიდან.

გულშემატკივარ კაცს რა ვუთხარი, რომ უნდა იკამათოს, თორემ რა სათქმელია ყიფიანი რომ არ ყოფილიყო შენგელია რას იზამდა და შენგელია რომ არ ყოფილიყო ყიფიანი ვის მიაწვდიდა პასს. ყიფიანი და შენგელია ერთმანეთს ავსებდნენ და ერთად ქმნიდნენ იმ საოცრებას სამოცდაათიანი წლების ბოლოსა და ოთხმოციანების დასაწყისის „დინამო“ რომ ერქვა.

რამაზ შენგელიას პოპულარობა საქართველოს ფარგლებს ცდებოდა — ასეთი ფრაზა სადმე რომ წამეკითხა, ჩავთვლიდი, რომ ავტორმა დაწერა ის, რაც უნდა დაეწერა. ასე წერენ ხოლმე საერთოდ კაცზე, რომელიც უნდათ, რომ შეაქონ, მაგრამ ახლა თავად ამას ვამბობ, რადგან...

1991 წლის ზაფხულზე საქართველო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკა აღარ იყო, თუმცა ფიფა ჩვენი ფედერაციის წევრად მიღებას არ ჩქარობდა, არადა ჩვენში უკვე არსებობდა ნაკრები, რომელსაც ამხანაგური შეხვედრები, წვრთნა და შეთამაშება ჭირდებოდა. ამ ნაკრებს სათავეში გიგა ნორაკიძე ედგა, რამაზ შენგელია კი გუნდის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა. მაშინ მოლდოვამ მიიპატიჟა ქართველები. ნაკრების პირველ სტუმრობას (მანამდე თბილისში საქართველო ლიტვას შეხვდა) ჟურნალისტთა კარგა მოზრდილი ჯგუფიც ვესწრებოდით და სწორედ მაშინ შევესწარი იმას, რამაც ახლა შენგელიას პოპულარობის შესახებ ერთი შეხედვით ძალიან გატკეპნილი ფრაზა მათქმევინა.

მაშ ასე, 2 ივლისი, კიშინიოვი, მოლდოვასა და საქართველოს ეროვნული გუნდების ფეხბურთელები თამაშის წინ ხურდებიან. სტადიონის გამომცხადებელი შემადგენლობებს ასახელებს. ქართველი ფეხბურთელების დასახელების შემდეგ იგი გუნდის ხელმძღვანელებს აცნობს გულშემატკივრებს და რატომღაც შენგელიას არ ახსენებს.

მართალი გითხრათ, არც მივაქცევდი ამ ამბავს ყურადღებას, ჩემს გვერდით მჯდომი ერთი კიშინოველი გულშემატკივარი რომ არა.

— კი მაგრამ, იქ შენგელია არ არის? — მეკითხება.

წარმოიდგინეთ, ჩვენ სათადარიგოთა სკამების გადაღმა, მოპირდაპირე ტრიბუნაზე, თითქმის ბოლოში ვსხედვართ. იქიდან კაცმა შესაძლოა ბიძაშვილი ვერ იცნოს, მითუმეტეს ძნელია იმ კაცის ცნობა, რომელიც შენიანი კი არ არის, არამედ ისაა, ვინც შენს ქალაქში ერთიორჯერ გინახავს (მე შენ გეტყვი „ნისტრუ“ სულ უმაღლეს ლიგაში იყო, რომ შენგელიას ყოველ წელიწადს იქ ევლო) და ძირითადად ტელევიზორით იცნობ. თან წლებია გასული. ის მოსუქებულა და ცოტა შეცვლილია.

— ჰო, შენგელიაა — ვპასუხობ.

— ის შენგელიაა, რამაზი, არა?.

სწორედ, ის შენგელიაა, რამაზი, საბჭოთა კავშირის პირველობებზე ასზე მეტი გოლის ავტორი. მსოფლიოს ჩემპიონატზე ნათამაშევი და გოლის შემგდები, თასების მფლობელთა თასის მფლობელი, სსრკ-ს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი.

ის შენგელიაა, რომელიც საჯარიმო მოედანზე უეცარ ნახევარბრუნს გააკეთებდა და შეუჩერებელი დარტყმით ბურთს კარისკენ უმოკლეს გზას აპოვნინებდა.

ის შენგელიაა, რომელიც მისკენ ტყვიასავით მომავალ ბურთს თავს ოსტატურად დაახვედრებდა და თვალის დახამხამებაში სტადიონს უშველებელ ემოციას ამოაფრქვევინებდა.

ის შენგელიაა, რომელსაც ბავშვობის მწვრთნელმა კარლო ხუციძემ აუხსნა, რას ნიშნავს ნამდვილი თავდამსხმელი. რომ ნამდვილ თავდამსხმელს გოლი უნდა სწყუროდეს და ნიადაგ კარში დარტყმაზე ფიქრობდეს. რომ მთავარია გოლი და სულერთია რითი გაიტან მას, თავით, ჭვინტით, ქუსლით თუ ტერფით.

**ილია ბაბუნაშვილი**



სსრკ — უნგრეთი. რამაზ შენგელია ჩვეულად მოულოდნელი და მოუხელთებელი მეტოქის საჯარიმოში

**ზურაბ თეიმურაზიშვილი.** თელავი. ინჟინერ-გეოლოგი. 37 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
ნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, ავთა-
ლ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**რაულ კაჭარავა.** თბილისი. ეკონომისტი. 58 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. გავრილ კაჩალინი, 3. მიხეილ იაკუშინი
ბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
ნდი: ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, ავთანდილ ღოღობერიძე,
რგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**ომარ ფილიპია.** თბილისი. ინჟინერი. 63 წლის. მწვრთნელი: 1. მიხეილ იაკუშინი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ავთანდილ ჭკუასელი
ნდი: ვლადიმერ მარღანია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით
იანი, ავთანდილ ჭკუასელი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

**ვასილ სამსონაძე.** თბილისი. ინჟინერი. 37 წლის. მწვრთნელი: 1. მიხეილ იაკუშინი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ნოდარ ახალკაცი
ბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ალექსანდრე ჩივაძე
ნდი: ვლადიმერ მარღანია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით
იანი, ავთანდილ ჭკუასელი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

**სოსონა გიგაური.** თბილისი. იურისტი. 31 წლის. მწვრთნელი: 1. თემურ მახარაძე, 2. შალვა კაკაბაძე, 3. ალიოშა კოტრიკაძე
ბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ილია დათუნაშვილი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
ნდი: სერგო კოტრიკაძე, გიორგი ბალაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, ვიტალი დარა-
ია, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ილია დათუნაშვილი, მიხეილ მესხი

**ვასილ ფოცხვერია.** თბილისი. იურისტი. 70 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. მურთაზ ხურცილავა
ნდი: ოთარ გაბელია, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, ვლა-
ერ გუცაევი, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**ღურმიშხან ცინცაძე.** თბილისი. ისტორიკოსი. 66 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ვ. რამიშვილი
ბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
ნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, დავით ყიფია-
ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**ომარ მხეიძე.** ქუთაისი. ჰიდროლოგი. 49 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. დავით ყიფიანი
ნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, შო-
იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**ზაზა ხელაძე.** ქუთაისი. სამთოელი. 56 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. სალდაძე
ბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. რამაზ შენგელია
ნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გურამ ცხოვრებოვი, გიორგი სიჭინავა, ვიტალი
რასელია, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**ზაქრო ჟორჟოლიანი.** ქუთაისი. ინჟინერი. 41 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ვიტალი დარასელია
ნდი: ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით
იანი, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ზაურ კალოევი, მიხეილ მესხი

**თენგიზ კინწურია.** ქუთაისი. —. 41 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. მიხეილ მესხი, 5. სლავა მეტრეველი
ნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ
აიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე

**გურამ ნიქაბაძე.** ქუთაისი. —. 42 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. ვიტალი დარასელია, 5. დავით ყიფიანი
ნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია,
უჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**გია მენთეშაშვილი.** თბილისი. მშენებელ-ინჟინერი. 51 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ბორის პაიჭაძე
ნდი: ანზორ კავაზაშვილი, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, შოთა იამანიძე, სლავა მეტ-
ველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**რ. გოგლიძე.** თბილისი. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. სერგო კოტრიკაძე
ბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 48 ავთანდილ ღოღობერიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
ნდი: ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა იამანიძე, ავთა-
ლ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**თენგიზ გოგუა.** თბილისი. ინჟინერი. 64 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
ნდი: ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, დავით ყიფიანი, ავთა-
ლ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**ზურაბ ლაშქარავა.** თბილისი. ინჟინერი. 47 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ნოდარ ახალკაცი
ბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
ნდი: ვლადიმერ მარღანია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა
ანიძე, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**ლერი ღურწკაია.** თბილისი. იურისტი. 56 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გავრილ კაჩალინი
ბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
ნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ
ღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**ნიკა ჯღარკავა.** თბილისი. მოსწავლე. 15 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. დავით ყიფიანი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. სლავა მეტრეველი
ნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფი-
, ვლადიმერ გუცაევი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**ლევან ლაბაძე.** ქობულეთი. ბუღალტერი. 21 წლის. მწვრთნელი: 1. თემურ მახარაძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ბურთელი: 1. გიორგი ქინქლაძე, 2. ილია დათუნაშვილი, 3. რევაზ ჩელებაძე, 4. ბორის პაიჭაძე, 5. მიხეილ მესხი
ნდი: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, ბორის პაიჭაძე, ვლადიმერ ბარქაია, არჩილ
ველაძე, გიორგი ქინქლაძე, ილია დათუნაშვილი, რევაზ ჩელებაძე, მიხეილ მესხი

**გიორგი ბეჭუაია.** თბილისი. მოსწავლე. 14 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. მანუჩარ მაჩაიძე
ნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუ-
რ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე

**გიორგი სიხაშვილი.** თბილისი. მოსწავლე. 15 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
ნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ
ღობერიძე, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი

**ილია ჭიჭინაძე.** თბილისი. სტუდენტი. 19 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ვიტალი დარასელია
ნდი: ოთარ გაბელია, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია,
უჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**ალეკო ბახურაული.** თბილისი. სტუდენტი. 26 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. ვიტალი დარასელია, 5. რევაზ ძოძუაშვილი
ნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია,
თა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**დათო ბახურაული.** თბილისი. მოსწავლე. 18 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ვიტალი დარასელია, 4. ბორის პაიჭაძე, 5. სლავა მეტრეველი
ნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა იამანიძე, მანუჩარ
ჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ გუცაევი, მიხეილ მესხი

**ომარ იმნაძე.** თბილისი. მენეჯერი. 40 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. კაკაბაძე
ბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მანუჩარ მაჩაიძე, 3. ვიტალი დარასელია, 4. გიორგი ქინქლაძე, 5. შოთა არველაძე
ნდი: სერგო კოტრიკაძე, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუ-
რ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია

**იური მათურელი.** თბილისი. ინჟინერი. 44 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. ვლადიმერ გუცაევი
ნდი: თემურ სტეფანია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია,
ვით ყიფიანი, გიორგი ქინქლაძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**ირმა გოგიშვილი.** თბილისი. ექიმი. 26 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ვიტალი დარასელია, 3. ვლადიმერ გუცაევი, 4. მიხეილ მესხი, 5. მურთაზ ხურცილავა
ნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, თენგიზ სუ-
აქველიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია

**ჯუბა გურგენიძე.** თბილისი. ინჟინერი. 52 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. თენგიზ სულაქველიძე, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
ნდი: ოთარ გაბელია, ნოდარ ხიზანიშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, თამაზ კოსტავა, ავთანდილ ღოღობერიძე, თენგრიზ სულაქველიძე,
თა იამანიძე, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია

**ზვიად ჯოჯუა.** მარტვილი. 26 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ალექსანდრე ჩივაძე
ნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, კახი ასათია-
, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**გელა ბეჟიტაშვილი.** თბილისი. სტუდენტი. 25 ლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. შოთა იამანიძე
ნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა იამანი-
, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო
## ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები
# სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂------------------------------------------------

### საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი

1 ________________
2 ________________
3 ________________
4 ________________
5 ________________

### საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი

1 ________________
2 ________________
3 ________________

### საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები

1 ________________
2 ________________
3 ________________
4 ________________
5 ________________
6 ________________
7 ________________
8 ________________
9 ________________
10 ________________
11 ________________

სახელი ________________
გვარი ________________
ასაკი ________________
პროფესია ________________
მისამართი ________________

## საქართველოს ჩემპიონატი. 4 ტური. ანონსი

22 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 15 საათი

### შევარდენი — სტუ

ოთხი ტურის შემდეგ გათამაშებას ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს. რამდენადაც მოულოდნელი უნდა იყოს, სატურნირო ცხრილის სათავეში სტუ მოკალათდა, რომელიც აქამდე უდანაკარგოდ მოვიდა და არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მადაგახსნილი სტუდენტები „შევარდენის" ბარიერსაც წარმატებით გადალახავენ, მით უფრო, რომ ამ გუნდს ნაღდად შესწევს საამისო ძალა. თუ მათი შედარებით ნაკლებამბიციური მეტოქის შემადგენლობასაც გადავხედავთ, ადვილად მივხვდებით, რომ სტუ კვლავაც გააგრძელებს გამარჯვებათა სერიას.

მათი მწვრთნელი თამაზ ოქრუაშვილი კი იძახის, ლიდერის მანტიას ჯერ ვერ წამოვისხამთ, იქამდე ბევრი გვაკლიაო, მაგრამ შედეგი საწინააღმდეგოს ღაღადებს. სტუდენტთა დამმარცხებელი ჯერ არ გამოჩენილა, თანაც ამ გუნდმა თავისი უპირატესობა უშუალო კონკურენტებთან ჭიდილშიც დაამტკიცა. თუმცა ყველაფერი მაინც წინაა და სტუდენტებს კვლავაც მოუწევთ უძლიერესი გამოცდების ჩაბარება. ამაში ჩემპიონთან და ვიცე-ჩემპიონთან, „ვითასთან" და „აზოტთან" მათი შეხვედრებს ვგულისხმობთ, სწორედ მაშინ გამოჩნდება ოქრუაშვილის ბიჭების ჭეშმარიტი ძალა, თორემ ხვალინდელ შეხვედრაში გამარჯვებულის ვინაობა წინდაწინვე ცნობილია.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კალათბურთი წინააღმდეგობებით აღსავსე თამაშია და ლოგიკას ნაკლებად ექვემდებარება. შევარდნელებმა ყველაზე უკეთ იციან საკუთარი შესაძლებლობები და სავარაუდოა, რომ კოზირების, ზუსტი სამიანების ამოქმედებას შეეცდებიან. ამის უნარი რომ შესწევთ, ეს მათ „მაკაბთან" შეხვედრაშიც დაამტკიცეს და პირველ ტურში „დინამოსთან" შერცხვენილებმა, ჩვენი კრიტიკაც რომ გაითავისეს, გაცილებით საზრიანად და მონდომებულად ამოქმედდნენ. თუმცა აქ ესქსარმიელები გაგნიძე-აკოლაშვილიც უნდა ვახსენოთ. ამ ბიჭებმა, რომ იტყვიან, „შევარდენს" სულზე მოუსწრეს და წარმატებული დებიუტი გუნდის ქულათა მარაგშიც ასახეს.

სტუ-ს ჩერქეზიშვილი ჰყავს. გამოცდილი გამთამაშებელი, რომელსაც გუნდის ლიდერობაც ხელეწიფება და ახალგაზრდა მიქაძესთან და ტულუშთან ერთად ამ უკანახაზელთა სამეული ერთ-ერთ ყველაზე მობილურად უნდა ჩაითვალოს მერვე ეროვნულში. გარდა ამისა, სტუდენტთა ღირსებას ვასილ ოთიურიძეც იცავს. იგი მეტისმეტად სახიფათოა და სწორედ ამ მოთამაშისგან უნდა ელოდეს „შევარდენი" ყველაზე დიდ საფრთხეს. საეჭვოა, ნუცუბიძე-ცაგარეიშვილის ტანდემმა ვასიკოს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს, მით უფრო, რომ თუ საჭიროა, სტუ-ს ნორჩი ცენტრებიც — ნოზაძე, მინაშვილი, სუხიშვილი, საკმაოდ ნაყოფიერად ირჯებიან და აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სტუ მინიმუმ მეექვსე ტურამდე დაიბევებს საპატიო ადგილს.

22 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 17 საათი

### თსუ — ვითა

მერვე ეროვნულში დაგვიანებით ჩართულ ექვსგზის ჩემპიონს გუნება-განწყობილება ნელ-ნელა გამოუკეთდა. აკი ვამბობდით, „ვითას" ნებისმიერი მეტოქე ძველებურად უნდა უფრთხოდესო და ეს დამტკიცდა კიდეც. უმძიმეს შეხვედრაში სდასუ-ს დამარცხების შემდეგ „ვითამ" მოსეშვილის არწივები „დაიფრინა". დღეს კი თსუ-ს შეეჭიდება და გამარჯვების დაბევებასაც შეეცდება.

შარშანდელი ჩემპიონის შემადგენლობა ჩვეულ სახეს იბრუნებს და თანდათან მრისხანე ხდება. თანაბარი ძალით დაკომპლექტებული ყველა რგოლის მებრძოლი სული და მტკიცე ხასიათი ნამდვილად ქების ღირსია. თუმცა ამ თვისებების არქონას ვერც სტუდენტებს დავწამებთ. მხოლოდ ესაა — „ვითასთან" მატჩი ნათლად წარმოჩნდება თსუ-ს სატკივარი — გამკვეთილი პირველი ნომრის არყოლა. მართალია, სტუდენტების რიგებში ვეფხვაძე-მგალობლიშვილის დაუფასებლობა დიდი უმადურობაა, მაგრამ მათ თავკაცებს ჟღენტისა რომ უფრო ეიმედებოდათ, თქმა არ უნდა. მისი დაკარგვით სტუდენტთა სიძლიერე დაკნინდა. არც ბაბიაშვილის დავიწყება ეგების, რომლის გარჯაც გუნდს დიდად წაადგებოდა. რას იზამ, ახლა ველარაფერს შეცვლი და სისხლის გადასხმის შემდეგ (210-სანტიმეტრიანი ნიკა ცქიტიშვილის შემომატებას ვგულისხმობთ) თსუ მაინც ძლიერ გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. შედეგიც ხომ სახეზეა — 4 მატჩი და ოდენ ერთი დამარცხება. თსუ-მ ექვსგზის ჩემპიონთან შეხვედრის წინ რეპეტიციაც უნაკლოდ შეასრულა. ქორქიას აღსაზრდელებმა მწვრთნელის დარიგებისამებრ იმოქმედეს და მეტოქეს თითიც არ გაანძრევინეს. თუმცა სად ახალგაზრდა, გამოუცდელ „კოლხასთან" პაექრობა და სად პატივს ჩვეულ „ვითასთან" ჭიდილი. დიახ, პატივს ჩვეული „ვითასთან", რომელიც აწყობილ მექანიზმს მოგვაგონებს.

და მაინც, თსუ არაფერს დათმობს, თუმცა კი გამარჯვების მოპოვება მის მხრივ ძალების დიდ მობილიზებას მოითხოვს — მატჩის ბედის შემოსაბრუნებლად თითქმის ყველა მოთამაშეს ერთი ორად დაუმძიმდება თავისი ტვირთი. სტუდენტთა ცენტრის — ხელაშვილის გაუვნებელყოფას „ვითა" ახალკაცით, მუშკუდიანითა და მასებრ ნაცადი კორძაძით შეეცდება. სამ მეტოქესთან ჭიდილში „ჭარმაგ" ცენტრს დიდი ჯაფა მოელის. არც 17 წლის ცქიტიშვილს დაადგება კარგი დღე. ორივე ფარზე მისი ბატონობის ალაგმვას მორიგეობით კოკოლიშვილი, ჩუბინიძე ოა ორმოცაძე ითავებენ. სნაპიერებს — წოწელიასა და მგალობლიშვილს კი აბრამიშვილი, დავითულიანი და ტურაშვილი დაუპირისპირდებიან. ასე რომ, მეტოქეთა სიმრავლით გამოწვეულ უთანასწორო ბრძოლაში თსუ ტაქტიკური განსწავლულობისა და თავგანწირვის იმედად რჩება. სტუდენტებმა შეუძლებელი უნდა შეძლონ, თორემ მოედანზე „ვითა" მართლაც პატივს ჩვეული მრისხანე ბატონივით გაილაღებს.

23 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 15 საათი

### დინამო — აზოტი

ცოტა დააკლდა „დინამოს" წინა ტურში „ვითასთან", თორემ პატარა სენსაციასაც მოახდენდა. გუნდმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მრისხანე მეტოქეს და ოდენ გამოუცდელობით დათმო შეხვედრა, რომელიც სანახაობრივადაც გამოირჩა. მოსეშვილის შეგირდებს ახლაც უძნელესი მატჩი ელით ვიცე-ჩემპიონებთან. რუსთავის „აზოტი" კვლავაც ძველებური რიხით ასპარეზობს და უეჭველია, შარშანდელი ხელის მოცარვის გაქარწყლებას წლეულს შეეცდება. მართალია, ვოვა ბოისასთან და ლევან წიკლაურთან ერთად გუნდი ვეტერანმა კალათბურთელებმაც დატოვეს, მაგრამ ვერ იტყვი, რომ ამით „აზოტი" მეტისმეტად დაზარალდა. ეს დანაკლისი რუსთაველებმა ჟღენტი — ბაბიაშვილის გადაბირებით აინაზღაურეს და საკმაოდ სოლიდურად მოთამაშენი კვლავაც ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტებად ითვლებიან.

ამით თქმის საფუძველს თავად „აზოტის" კარგი თამაში იძლევა, თუმცა რუსთაველთა ყველაზე დიდი პრობლემაც მთლიანად მათი „დამსახურებაა". ისინი ზედმეტი ემოციურობით კარგს რომ ვერაფერს შეიმთხვევენ, გასულ პირველობაზე ფინალურ სერიაშიც გახდა ნათელი და თუ ჩემპიონობა გულში სერიოზულად ამოუჭრიათ, უჯობთ, ეს ენერგია თავად თამაშებს მოახმარონ.

სხვა მხრივ ხმელიძის გუნდს ნაკლები საწუხარი აქვს. წინა სეზონის საუკეთესო კალათბურთელი ირაკლი ჯაფარიძე ჩვეული მონდომებით მუსრავს მოწინააღმდეგეთა ცენტრებს. გუნდის „მოაზროვნე" რამაზ გოგობერიშვილი ასევე ჩინებულად განაგრძობს მეტოქეთა დაწიოკებას და კრიტიკულ მომენტებში გააზრებული ქმედებით უდიდესი სარგებელი მოაქვს თავისიანებისთვის. ჟღენტი-გაბისონიას დუეტი ბურთის გათამაშებასთან ერთად დაცვით ჯებირებსაც საიმედოდ ამაგრებს და ამით „აზოტის" შეტევებსაც მეტად ეფექტურს ხდის. დანაკლისიც არის — მიხეილ ბერუაშვილი ორი თამაშით დისკვალიფიცირებულია.

არც „დინამოა" ჯაბანი. მისთვის ლევან მოსეშვილს აშკარად დაუტყვია მტკიცე ხელი. სამაგალითოდ დისციპლინებულნი სწრაფი თამაშის მიმდევრები არიან და სავარაუდოდ, ამ შეხვედრაშიც ამით შეეცდებიან რუსთაველთა დამარცხებას. ტრავმამოშუშებული მაისურაძე ნელ-ნელა იბრუნებს ჩვეულ ფორმას და ნიკოლაძესთან ერთად გუნდის ლიდერადაც გვევლინება. წიკლაური კი სულაც პირველად წარდგება ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ და უეჭველია, უფრო მეტად მოინდომებს თავისი ძლიერი მხარეების წარმოჩენას. აი, ცენტრზე კი „დინამოს" ძალიან უჭირს. მანველიშვილი და მეჭურჭლიშვილი მეტისმეტად ახალგაზრდები არიან და გაუჭირდებათ ნაცადი ჯაფარიძის გაუვნებელყოფა. ამიტომაცაა, რომ ამ მატჩში გამარჯვებულად „აზოტი" გვესახება. თუმცა, „დინამოს" ბრძოლა ნებისმიერთან ძალუძს. ეს მან უკვე დაამტკიცა და ვფიქრობთ, ეს შეხვედრაც არანაკლებ საინტერესო და დაძაბული იქნება.

23 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 17 საათი

### მაკაბი — კოლხა

ისევე, როგორც „კოლხას", „მაკაბისაც" ოთხი მატჩიდან ოთხი წაგება აქვს და სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე მყოფთა „კეთილი მეზობლობაც" ამის შედეგია. გუნდების შესაშური „სიამტკბილობა" დღევანდელ მატჩში დაირღვევა, როცა ერთმანეთს გაავფთრებით შეეტოქებიან. ძნელია, ივარაუდო, ვინ იმარჯვებს, რადგან დამარცხებით გაწამებულ ორივე მხარეს მოგების თანაბარი შანსი აქვს. ერთის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება — მეტოქეები ძალლონეს არ დაიშურებენ და მოედანზე უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდება.

„მაკაბი" — „კოლხას" პაექრობა მწვრთნელთა დუელშიც გადაიზრდება, რადგან ოთხი წაგებით დაღდასმული გუნდები ფსიქოლოგიურად დათრგუნულნი არიან . სეხნია მთავარი მწვრთნელების საფიქრალიც ერთნაირია — გუნდების აგონიიდან გამოყვანა და მათთვის საბრძოლო სულის შთაბერვა. ვნახოთ, ამას რომელი ვაჟა უფრო შეძლებს, მხეიძე თუ კვარაცხელია, ვისი ღვაწლი უფრო დაფასდება, ვისი დარიგებულნი უფრო გამოავლენენ ბრძოლის ჟინსა და თავდადებას.

ზემოთნახსენები პრობლემა სოხუმელთა დამრიგებელს ნაკლებად აწუხებდა, რადგან პირველ სამ შეხვედრაში კოლხელები შესაშურ ბრძოლისუნარიანობას ავლენდნენ. მხოლოდ თსუ-სთან ბოლო მატჩში იჩინა თავი ამ სენმა, სადაც „კოლხას" უდრეკი ხასიათი, შემართება და მიზნისკენ სწრაფვა თითქოს სადღაც გაქრა. უილაჯობამ სოხუმელ კალათბურთელებს მხოლოდ ახლაღა დარია ხელი და მისი აღმოფხვრა მწვრთნელისთვის უფრო ადვილია.

თავის მხრივ გულხელდაკრეფილი არც ვაჟა მხეიძე იქნება. იგი ერთობ გამოცდილია და მაკაბელთა შემობრუნებას „კოლხასთან" მატჩში შეეცდება. „მაკაბის" სულის მოთქმას გამოცდილმა სამეულმაც (ანდღულაძე, ფერიაშვილი, ტალაბაძე) უნდა შეუწყოს ხელი, თორემ „შევარდენთან" განცდილი გამეორდება. მაშინაც, ხომ დიდი შანსი ჰქონდა „მაკაბის", ნავსი გაეტეხა, მაგრამ ეს ქარს გაატანა და სატურნირო ცხრილში ქვემოთ დაეშვა. ახლა კი ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ ფსკერზე მყარად არ მოიკიდოს ფეხი, თორემ, თუ ეს მოხდა, იქიდან თავის დაღწევა ძალიან გაჭირდება...

ასეა თუ ისე, დაველოდოთ მატჩს და მხეიძე-კვარაცხელიას დუელს. ვნახოთ, ვინ ვის გადასწონის. ჩვენის მხრივ კი იმას დავამატებთ, რომ მოგებას დანატრებულთა შერკინება მეტად მძაფრი იქნება. შეხვედრა უეჭველად ნერვულ ატმოსფეროში ჩაივლის და ვნებათაღელვა არ მოაკლდება. მართალია, მეტოქეებს „მოჩხუბარ გუნდებად" არ იცნობენ, მაგრამ გამორიცხული არაფერია. ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ გუნდები სპორტულ პაექრობაში ერთმანეთს ტოლს არ დაუდებენ და ახლა მხოლოდ მსაჯთა სწორ და მტკიცე გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული მატჩის მშვიდად წარმართვის ბედი. ამ უკანასკნელთა შეუპოვრობა და თამაშის სადავების ბოლომდე ფლობა კი შეხვედრის მშვიდობიანად დასრულების საწინდარია.

საპორტას თასი. ულმი — [illegible]

## ულმში ფარი ჩამოიქცა

20 ოქტომბერს საპორტას თასის G ჯგუფის მატჩში გერმანული „ულმი" კვიპროსის „აპოელს" მასპინძლობდა და მეორე ტაიმის შუაწელში გვარიანად, 57:35 უგებდა. ულმელებს მოგების ოფიციალური გაფორმება არ ეწერათ, რადგან ხსენებულ დროს ერთ-ერთი ფარი ჩამოილეწა და თამაში შეწყდა. ორგანიზატორებმა სათადარიგო ფარი დააყენეს, მაგრამ თამაშის განახლება ველარ გარისკეს, ემანდ ისევ არ ჩამოიქცესო.

მოკლედ, მატჩი გადაიდო და გუნდებმა გუშინ დაასრულეს წინა საღამოს დაწყებული პაექრობა. „ულმმა" 65:49 მოიგო.

საპორტას თასი. სპლიტი — სლოვაკოფარმა

## ბერძენიშვილი ნაკრებზე ფიქრობს

დავით ბერძენიშვილი ხორვატიაში, „სპლიტის" წინააღმდეგ რომ არ ითამაშებდა, თავიდანვე ვიცოდით, მაგრამ გუშინ მაინც შევეხმიანეთ:

— „საპორტას თასზე ჩემი გამოსვლის ამბავი კვლავ ძველებურადაა. საეჭვოა, რომ ამ წელიწადს ვითამაშო. თუ ჯგუფიდან გავედით, მერე შეიძლება გაჩნდეს შანსი. ისიც, თუ ჩვენი ხორვატი ცენტრი ლოვრიჩი სხვა გუნდში გადავა.

სლოვაკეთის ჩემპიონატში კი კვლავინდებურად რეგულარულად ვთამაშობ. ახლაც, შაბათს პრინციპული მატჩი გვაქვს და ვემზადები. ოქტომბრის ბოლოს ქვეყნის ჩემპიონატი შეწყდება, რადგან სლოვაკეთის ნაკრები უნდა მოემზადოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისთვის.

გუშინ მეც შემეხმიანა საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა და მითხრეს, 12 ნოემბერს გელოდებითო. თავის მხრივ, მე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ გამოძახებას ველოდები. როგორც კი ფაქსი მოვა, მაშინვე თბილისისკენ გამოვემგზავრები".

საპორტას თასი. სპარტაკი — ვენტსპილსი

## ვაშაკიძის გუნდს ფული შემოაკლდა

ირაკლი ვაშაკიძის თამაშს ლატვიური „ვენტსპილსის" წინააღმდეგ ურიგო არ ეთქმოდა — 21 წუთში 6 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი და 4 ჩაჭრა. ურიგო თავად „სპარტაკის" თამაში იყო, რადგან 119 ქულა ჩაგდებინა მეტოქეს. თავად ვაშაკიძის აზრი ასეთია:

— „წაგება გუნდში შინააშლილობის ბრალია. წინა მატჩზე რუსმა მოთამაშეებმა და მწვრთნელმა იჩხუბეს, ახლა კი ისიც დაერთო, რომ მოთამაშეთა უმეტეს ნაწილს ხელფასს არ უხდიან. ეს კალათბურთელებიც უგულოდ თამაშობენ და ასეთ დროს წაგება არცაა გასაკვირი.

დღეს საღამოს გუნდის კრებაა, სადაც ბევრი რამ უნდა გადაწყდეს. ფინანსური საკითხებიც უნდა მოაგვარონ და ახალი მოთამაშეებიც დაიმატონ.

ჯგუფიდან გასვლის შანსებს ვინარჩუნებთ, რადგან მეორე წრეში ოთხი თამაში შინ გვაქვს."

საპორტას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. 20-21 ოქტომბერი

### A ჯგუფი

პოლზელა (სლოვენია) — ჩერნო მორე (ბულგარეთი) 67:65; ატლეტასი (ლიტვა) — ეშტრელა (პორტუგალია) 68:62; კალევი (ესტონეთი) — სონი (იტალია) 69:51

VI ტურის მატჩი: კალევი (ესტონეთი) — ეშტრელა (პორტუგალია) 72:61 (გაიმართა 17 ოქტომბერს)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კალევი | 6 | 5 | 1 | 469:399 | 11 |
| ეშტრელა | 6 | 3 | 3 | 432:448 | 9 |
| პოლზელა | 5 | 3 | 2 | 349:366 | 8 |
| სონი | 5 | 2 | 3 | 357:339 | 7 |
| ატლეტასი | 5 | 2 | 3 | 351:370 | 7 |
| ჩერნო მორე | 5 | 1 | 4 | 360:396 | 6 |

VI ტური. 3.11: პოლზელა — სონი, ჩერნო მორე — ატლეტასი

VII ტური. 27.10: ატლეტასი — კალევი

### B ჯგუფი

შოლე (საფრანგეთი) — მლეკარნა (ჩეხეთი) 96:68; ტელეკომი (თურქეთი) — მზტ (მაკედონია) 75:57

სპლიტი (ხორვატია) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 92:83

სლოვაკოფარმა: კუზნეცოვი (17), ლოვრიჩი (4), ლუკიანეცი (2), მიხალიკი (6), მიჩუდა (10), რისტანოვიჩი (18), სირტაუტასი (4), საბო (12), ზადრავეცი (10)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შოლე | 5 | 4 | 1 | 428:344 | 9 |
| ტელეკომი | 5 | 4 | 1 | 380:345 | 9 |
| სპლიტი | 5 | 3 | 2 | 415:389 | 8 |
| სლოვაკოფარმა | 5 | 2 | 3 | 370:382 | 7 |
| მზტ | 5 | 1 | 4 | 362:395 | 6 |
| მლეკარნა | 5 | 1 | 4 | 358:458 | 6 |

VI ტური. 3.11: სპლიტი — შოლე, სლოვაკოფარმა — ტელეკომი, მლეკარნა — მზტ

### C ჯგუფი

პამესა (ესპანეთი) — ცეპტერი (პოლონეთი) 71:59; ჰაპოელი (ეილატი, ისრაელი) — ბროცენი (ლატვია) 97:109, სენტ პიოლტენი (ავსტრია) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) 66:69

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 5 | 5 | 0 | 407:338 | 10 |
| ბუდუჩნოსტი | 5 | 3 | 2 | 369:376 | 8 |
| ცეპტერი | 5 | 2 | 3 | 352:350 | 7 |
| ჰაპოელი | 5 | 2 | 3 | 424:430 | 7 |
| ბროცენი | 5 | 2 | 3 | 404:420 | 7 |
| სენტ პიოლტენი | 5 | 1 | 4 | 323:365 | 6 |

VI ტური 3.11: ჰაპოელი — ბუდუჩნოსტი, ბროცენი — პამესა, ცეპტერი — სენტ პიოლტენი

### D ჯგუფი

აეკ (საბერძნეთი) — პივოვარნა (სლოვენია) 87:72; პარტიზანი (იუგოსლავია) — ტოპო (ფინეთი) 95:81; ზაგრები (ხორვატია) — ატომერომუ (უნგრეთი) 93:85

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 5 | 5 | 0 | 379:326 | 10 |
| პარტიზანი | 5 | 4 | 1 | 411:372 | 9 |
| პივოვარნა | 5 | 3 | 2 | 399:403 | 8 |
| ზაგრები | 5 | 2 | 3 | 360:378 | 7 |
| ტოპო | 5 | 1 | 4 | 379:398 | 6 |
| ატომერომუ | 5 | 0 | 5 | 374:425 | 5 |

VI ტური. 3.11: ზაგრები — პარტიზანი, ტოპო — პივოვარნა, ატომერომუ — აეკ

### E ჯგუფი

ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — კიორმენდი (უნგრეთი) 89:61; სტატიბა (ლიტვა) — ბოსნა (ბოსნია) 85:84; თოფაში (თურქეთი) — შარლერუა (ბელგია) 83:45

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჰაპოელი | 5 | 5 | 0 | 386:327 | 10 |
| თოფაში | 5 | 3 | 2 | 384:326 | 8 |
| სტატიბა | 5 | 3 | 2 | 385:396 | 8 |
| კიორმენდი | 5 | 2 | 3 | 376:401 | 7 |
| შარლერუა | 5 | 2 | 3 | 304:352 | 7 |
| ბოსნა | 5 | 0 | 5 | 325:358 | 5 |

VI ტური. 3.11: სტატიბა — ჰაპოელი, ბოსნა — შარლერუა, თოფაში — კიორმენდი

### F ჯგუფი

არისი (საბერძნეთი) — ანტვერპენი (ბელგია) 82:62; ტრირი (გერმანია) — პლანია (შვედეთი) 83:80; ლიმოჟი (საფრანგეთი) — შიროკი (ბოსნია) 86:60

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არისი | 5 | 4 | 1 | 403:297 | 9 |
| ლიმოჟი | 5 | 4 | 1 | 362:312 | 9 |
| ანტვერპენი | 5 | 4 | 1 | 373:371 | 9 |
| ტრირი | 5 | 2 | 3 | 355:391 | 7 |
| პლანია | 5 | 1 | 4 | 350:378 | 6 |
| შიროკი | 5 | 0 | 5 | 322:416 | 5 |

VI ტური. 3.11: ტრირი — ლიმოჟი, პლანია — არისი, შიროკი — შარლერუა

### G ჯგუფი

ხუვენტუდი (ესპანეთი) — მაზოვშანკა (პოლონეთი) 96:70; ულმი (გერმანია) — აპოელი (კვიპროსი) 65:49 (დასრულდა გუშინ)

სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) — ვენტსპილსი (ლატვია) 85:119

სპარტაკი: ასტახოვი (21), ასტანინი (14), ჩაპლიგინი, დიომინი, ფილიპოვი (11), კონდრატოვი (8), იუსანოვი, პოტაპოვი (9), ვაშაკიძე (6), ვედიშევი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ულმი | 5 | 5 | 0 | 402:350 | 10 |
| ხუვენტუდი | 5 | 4 | 1 | 431:369 | 9 |
| ვენტსპილსი | 5 | 2 | 3 | 426:414 | 7 |
| მაზოვშანკა | 5 | 2 | 3 | 388:405 | 7 |
| სპარტაკი | 5 | 1 | 4 | 389:451 | 6 |
| აპოელი | 5 | 1 | 4 | 323:370 | 6 |

VI ტური. 3.11: აპოელი — ხუვენტუდი, სპარტაკი — ულმი. 4.11: ვენტსპილსი — მაზოვშანკა

### H ჯგუფი

ბენეტონი (იტალია) — ბიპა მოდა (უკრაინა) 96:70; ოვარენშე (პორტუგალია) — შტალბაუ (ავსტრია) 72:50; უნიქსი (რუსეთი) — ჰანს ფერკერკი (ჰოლანდია) 72:74

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 5 | 5 | 0 | 414:315 | 10 |
| უნიქსი | 5 | 3 | 2 | 371:346 | 8 |
| ოვარენშე | 5 | 3 | 2 | 347:327 | 8 |
| ბიპა მოდა | 5 | 2 | 3 | 366:392 | 7 |
| შტალბაუ | 5 | 1 | 4 | 323:381 | 6 |
| ჰანს ფერკერკი | 5 | 1 | 4 | 292:352 | 6 |

VI ტური. 3.11: ბენეტონი — შტალბაუ, ოვარენშე — უნიქსი, ჰანს ფერკერკი — ბიპა მოდა

## რაგბი

...რთველ მორაგბეთა ნაკრებმა გუშინწინ ფრანგული ტურნეს ...სამე მატჩი გამართა ევროპის ელიტაში დამკვიდრებულ, თუმც ... შესუსტებულ „ტულუზთან" და მოიგო. ნაკრების მთავარ ...წვრთნელ გურამ მოდებაძისგან ამ ტურნირის განვლილი ...ლეების კომენტარი გვსურდა, მაგრამ იგი ვერ მოვიხელთეთ, ...უმცა სანაცვლოდ დელეგაციის ხელმძღვანელი ...ა კუბლაშვილი გაგვესაუბრა

# „ფორჯღალოსნები" იმედიანად არიან



ლევან ცაბაძე

— გუშინდელი თამაში „ტულუზთან" ...ლიან მძიმედ წარიმართა. თავიდან ჩვენ ...0-ს ვაგებდით, მაგრამ ბიჭები არ გა...ტყდნენ, საკუთარ თავში გამონახეს გამა...ჯვებისთვის საჭირო ძალები და ეს ურ...ულესი თამაში საბოლოოდ მოიგეს. ყვე...აზე უფრო სასიხარულო ისაა, რომ გუ...ი მებრძოლი გახდა. ნაკრებში ნორმა...ური ატმოსფეროა და ბიჭებიც ოპტი...მისტურად არიან ნაგწყობილნი. ისინი მზად ...რიან საბრძოლველად და საბოლოო წა...მატებისაც სჯერათ. ტრავმებიც მინიმა...ურია და რაიმე სერიოზული ხელისშე...შლელი მიზეზი არ გვაქვს. ამ ეტაპზე ...თადერთი სიახლე კალენდარში ცვლი...ებაა. დაგეგმილი ორი თამაში შედარე...თ სუსტ გუნდებთან არ ჩავატარეთ, რაც ...გიონერთა გადატვირთვის გამო მოხდა. ...თ კვირაში ორი თამაში უწევდათ — ...თი ნაკრებში და ერთიც კლუბში, ამი...ომ ასეთ დატვირთვებს თამაშების შემ...ირება ვამჯობინეთ, რაც დასვენების სა...ალებასაც მოგვცემს. მთავარი მატჩები ...ენვილის ბატალიონთან და საფრანგე...ს ბასკეთის ნაკრებთან წინაა. მთავარი ...ტომ, რომ სწორედ ამ თამაშებში გა...კვეთება გუნდის სათამაშო ტაქტიკა ... შემადგენლობაც.

**— შევიტყვეთ, რომ იმ სამი შე...ვედრის გარდა კიდევ გქონიათ ...ამაშები პატარ-პატარა კლუბე...თან.**

— ფრანგებს ჩემპიონატის კალენდარში ...ქვთ „ფანჯრები" მინი-ტურნირებისთვის. ...ენც ერთ ასეთ სამგუნდიან ტურნირში ...თამაშეთ და მეორე ადგილი დავიკა...ეთ, მაგრამ ამ თამაშებს ძირითადად სა...ლექციო და საკონტროლო ფუნქცია ...ონდათ, ძირითად აქცენტს კი ხსენე...ულ ორ თამაშზე ვაკეთებთ. უახლესი ...ატჩი 28-ში სწორედ ჟუენვილის ბატა...ლიონთან გვაქვს.

**— ჩატარებული შეხვედრები, ...ხადია, გარკვეული დასკვნების ...მოტანის საშუალებას მოგცემდათ.**

— ამ თამაშებმა გვაჩვენა სათამაშო პრა...ტიკის ნაკლებობა. ფიზიკურად გუნდი ...რგადაა მომზადებული, მაგრამ ტექნი...კურად მოიკოჭლებს. ეს სწორედ ზემოა...ნიშნული მიზეზითაა გამოწვეული და, ...ლბათ, ამას ჩვენთან სათანადო ყურადღე...ა უნდა მოვაქციოთ.

**— ნაკრების რამდენიმე გამო...ჩენილ წევრს წინა მატჩებში არ ...ითამაშია. თან, ზემოთ ტრავმე...ბიც ახსენეთ.**

— დაშავებულები გვყავნან რაფავა, ურ...ჯუკაშვილი და მევლუდ მთიულიშვილი, ...უმცა, სერიოზული არაფერია. მთიული...შვილმა წინა მატჩში კიდეც ითამაშა. რა...ფავამ ტრავმა პირველ შეხვედრაში მიი...ღო და მომდევნო თამაშები ამიტომ გამო...ტოვა, უახლოეს ხანებში ისიც შემოგ...ვიერთდება. ურჯუკაშვილს მხარი თითქმის ...ოურჩა. თუ დავიყოლიეთ, მომდევნო მა...ტჩშიც გვინდა დავასვენოთ, მაგრამ თვი...თონ მას ძალიან უნდა თამაში და გვეეჭ...ვება დაგვეთანხმდეს.

**— ნუგზარ ძაგნიძემაც ითამაშა ...და „ტულუზს" ლელოც გაუტანა.**

— ნუგზარი ნელ-ნელა იბრუნებს ფო...რმას, თუმცა სრულყოფამდე ლაპარაკი ჯერ ...ადრეა. ამაზე საუბარი მაშინ იქნება შესა...ფერებელი, როცა იგი ორივე ტაიმის თა...მაშს შეძლებს. ამდენწლიანი უთამაშებ...ლობის შემდეგ ფიზიკურად მოუმზადებლობა გასაკვირი არცაა, ტექნიკური თვალსაზრისით კი მას ბევრი არაფერი დაუკარგავს. ისე კი იგი ვარჯიშებზე თავს არ ზოგავს.

**— ირლანდიას — რუმინეთზე რაიმე ახალი ხომ არ შეგიტყვიათ?**

— ირლანდია კლასიკური სარაგბო ქვეყანაა. მათ ნაკრებში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. რაც შეეხებათ რუმინელებს, საფრანგეთში მოთამაშე მათი ლეგიონერები ერთი პირობა უარს ამბობდნენ ნაკრებში ასპარეზობაზე ფინანსური პრობლემების გამო, მაგრამ აწლა ეს საკითხი მოგვარებულა და ისინიც ნაკრებს დაუბრუნდნენ.

გუშინვე „ნარბონაში" მოთამაშე **ლევან ცაბაძესაც** შევეხმიანეთ. „ლეონსიო" ევროსარბიელზე მოასპარეზე ერთადერთი ქართველია და არცთუ ურიგოდ ირჯება. ჩვენი საუბარიც ამით დავიწყეთ.

— „ნარბონა" საფრანგეთის უმაღლეს, ელიტა-ლიგაში თამაშობს. აქაური უმაღლესი დივიზიონის 24 გუნდი სიმრავლის გამო ქვეჯგუფებადაა დაყოფილი. ჩვენი გუნდი შარშან ქვეჯგუფში მეხუთე ადგილზე გავიდა, წლეულს კი ხუთი ტურის შემდეგ ჯერჯერობით მეორე ადგილზე ვართ — ორი ქულით ჩამოვრჩებით „სტად ფრანსეს". ქვეჯგუფიდან 5-5 მოწინავე გუნდი გადის ფინალში, სადაც პლეი ოფის სისტემით გაგრძელდება ბრძოლა ჩემპიონობისათვის.

რაც შეეხება ევროსარბიელს, „ნარბონა" ევროპის კონფედერაციათა თასის გათამაშებაში გამოდის. აქ შექმნილია ექვსი შვიდგუნდიანი ქვეჯგუფი. 4 ტურის შემდეგ პირველობა დაბევებული გვაქვს, ისე კი მერვედფინალში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები თამაშობენ. თუმცა „ნარბონა" იმ ოთხ კლუბს შორის აღმოჩნდა, რომლებიც პირდაპირ დაუშვეს მეოთხედფინალში.

**— გუშინწინ ნაკრებშიც ითამაშე „ტულუზის" წინააღმდეგ...**

— ძალიან კარგი თამაში იყო. ქართული რაგბის დონე საგრძნობლად ამაღლებულა, ხოლო თავად ნაკრები ერთი ორად გაძლიერებულა და ირლანდიაში მისი საბოლოო წარმატებისა ახლ უფრო მჯერა. მეტიც, ამაში დარწმუნებული ვარ.

**— საფრანგეთში მოთამაშე სხვა ქართველ ლეგიონერებზე რა გესმით?**

— მხოლოდ კარგი. განსაკუთრებით ვანო ნადირაძეს, ზაზა ლეჟავასა და გია რაფავას აქებენ. სამივე მათგანი ელიტა-ლიგის გუნდებში თამაშობს, თუმც ჯერჯერობით ძირითადში არ არიან. საერთოდ, ეს აქ ასე იოლად არ ხდება. ძალიან ძნელია, ფრანგები საკუთარ სიძლიერეში ან სხვის სისუსტეში დაარწმუნო. ამიტომ ძირითადში მოხვედრას გარკვეული დრო უნდა. ამას ლეგიონერთა ლიმიტის პრობლემაც ემატება, რაც მეც მიქმნის გარკვეულ სირთულეებს. გუნდებს საფრანგეთის ჩემპიონატში მხოლოდ ერთი არაევროკავშირელის გამოყვანის უფლება აქვთ, ხოლო ევროპულ თასებზე — სამის. ჩვენს გუნდში ერთი ავსტრალიელიცაა. იგი ჩემი ამპლუისა არ არის, მაგრამ ლიმიტის გამო საფრანგეთის ჩემპიონატში საჭიროებისამებრ მორიგეობით გვათამაშებენ, ევროპულ თასზე კი თითქმის ყოველთვის ვასპარეზობ. იგივე პრობლემა აწუხებთ სხვებსაც. ნადირაძის, ლეჟავასა და რაფავას გარდა სხვები შედარებით დაბალი დონის გუნდებში გამოდიან, მაგრამ ეს იმითაა გამოწვეული, რომ ისინი აქ შედარებით გვიან ჩამოვიდნენ. თუმცა დარწმუნებული ვარ, გაისად ბევრ მათგანს გაცილებით ძლიერ კლუბებში ვიხილავთ.

**— პირობებით კმაყოფილი ხართ? როდემდე აპირებთ „ნარბონაში" დარჩენას?**

— საყოფაცხოვრებო, სავარჯიშო თუ საცხოვრებელი პირობები ნამდვილად იდეალურია. რაც შეეხება დარჩენა-არდარჩენას, ეს ჩემს თამაშზეა დამოკიდებული. თუ თავს გამოვიჩენ, შეიძლება ჩემი მყიდველი სხვა უფრო ძლიერი კლუბიც გამოჩნდეს. ჯერჯერობით ჩემთვის ასეთი წინადადებით არავის მოუმართავს, ისე კი შევიტყვე, რომ საამისო სურვილი უელსურ „კარდიფს" გამოუთქვამს.

**ირაკლი თავაძე**

## ჰოკეი

# ვარსკვლავებმა კბენა ისწავლეს



REUTERS დალასიდან

დალასელი ბრეტ ჰალი კალგარელთა კარს ემუქრება

20 ოქტომბერი

**დალასი — კალგარი 3:1 (1:1 2:0 0:0)**

0:1 სენტ ლუისი 14'06 (1); 1:1 ლანგებრუნერი 19'18 (1); 2:1 საიდორი 23'31 (3); 3:1 საიდორი 34'48 (4)

სამი სეზონია, დალასი ლიგის ელიტიდან ფეხს არ იცვლის, მაგრამ წლეულს, როგორც ჩანს, „ვარსკვლავები" განსაკუთრებით მოწადინებულნი არიან. ამის დასტური ისიც გახლავთ, რომ კლუბმა სრულიად იცვალა სახე. თუ შარშან დალასელთა მთავარი პრინციპი მეკარეთათვის საქმის გაიოლება იყო (ედ ბელფორსა და რომან ტურეკს ხშირად სულ რაღაც 13-15 დარტყმის მოგერიება უხდებოდათ), ახლა ტეხასელებმა საგრძნობლად გააძლიერეს შემტევი პოტენციალი. ცხადია, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ახალწვეულ ბრეტ ჰალს, მაგრამ, როგორც გუნდის მიერ ჩატარებულმა მატჩებმა ცხადყო, დალასის გარდაქმნა დერილ საიდორის დამსახურებაცაა. „ვარსკვლავთა" მცველმა ორი წლის განმავლობაში მკვეთრად აიმაღლა კლასი, თანაც წლეულს თავისი უპირველესი ფუნქციის მარჯვედ შესრულებას ისიც დაამატა, რომ ხშირად ეფექტურად ერთვება შეტევაში. რაც შეეხება დალასის რიცხვმრავლობის ბრიგადებს, ისინი საიდორის გარეშე უკვე წარმოუდგენელია. მან კალგარისთან შეხვედრაშიც ყველა საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა (2+1) და ქულიანი სერია, ისევე როგორც ჰალმა, 5 მატჩამდე გაზარდა. დერილმა ორივე გოლი ახლო მანძილიდან გაიტანა, როცა მეტოქისთვის მოულოდნელად გაჩნდა კენ რეგეტის კართან.

**ფილადელფია — სან ხოსე 3:1**

0:0 1:1 2:0

0:1 ფრიზენი 32'59(1); 1:1 ბრინდამორი 39'43 (2); 2:1 ფორბსი 43'20 (2); 3:1 ლინდროსი 55'48 (5)

ის, რომ მატჩმა ინტრიგა ბოლო წუთამდე შეინარჩუნა, სანხოსელთა მეკარის მაიკ ვერნონის (34 მოგერიება) დამსახურებაა. ერიკ ლინდროსმა (1+1) და როდ ბრინდამორმა (1+1) 2-2 ქულა შემატეს, თანაც „მფრინავთა" კაპიტანი ზედიზედ მეოთხე თამაშში გამოირჩა.

**რეინჯერსი — ედმონტონი 3:2**

1:1 0:1 2:0

0:1 გერენი 1'51 (4); 1:1 მალჰოტრა 15'10 (1); 1:2 ბერანეკი 29'23 (1); 2:2 ლიჩი 40'30 (2); 3:2 შნეიდერი 48'38 (1)

ახალი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ დუგ უეიტის დაბრუნება სტუმრებისთვის დიდი ვერაფერი ნუგეში გამოდგა. 18 წლის „რეინჯერმა" მალჰოტრამ, რომელზეც ნიუიორკელები დიდ იმედს ამყარებენ, ნჰლ-ში პირველი გოლი გაიტანა.

**კაროლინა — ვანკუვერი 3:1**

1:0 2:0 0:1

1:0 შეპარდი 10'29 (1); 2:0 პრიმო 21'56 (3); 3:0 კაპანენი 31'41 (2); 3:1 მუკალტი 43'02 (1)

არტურ ირბეს ნჰლ-ში საკადრისად არ აფასებენ. თავის დროზე მან რის ვაივაგლახით მოიპოვა სან ხოსეში პირველი მეკარის წოდება, არც მერე, დალასსა და ვანკუვერში უწევდა კარში ჩადგომა და ვერც ახლა, კაროლინაში დაიმკვიდრა ძირითადი გოლკიპერის ადგილი. მწვრთნელებს მაშინღა გაახსენდათ ირბე, როცა სასტარტო მატჩებში ტრევორ კიდმა უხეიროდ ითამაშა. ლატვიელმაც არ გაუშვა შანსი ხელიდან. თავის ზედიზედ მესამე შეხვედრაში მას მხოლოდ ახალბედა ბილ მუკალტიმ გაუტანა, თუმცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

## სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 5 | 3 | 1 | 1 | 15:12 | 7 |
| ბოსტონი | 6 | 3 | 1 | 2 | 14:8 | 7 |
| ოტავა | 3 | 3 | 0 | 0 | 11:5 | 6 |
| ბუფალო | 4 | 2 | 1 | 1 | 10:9 | 5 |
| მონრეალი | 5 | 2 | 1 | 2 | 14:9 | 5 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ვანკუვერი | 4 | 2 | 0 | 2 | 10:10 | 4 |
| ედმონტონი | 5 | 2 | 0 | 3 | 13:11 | 4 |
| კალგარი | 5 | 1 | 1 | 3 | 12:18 | 3 |
| კოლორადო | 5 | 0 | 1 | 4 | 10:20 | 1 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 5 | 4 | 1 | 0 | 14:5 | 9 |
| პიტსბურგი | 3 | 2 | 1 | 0 | 10:7 | 5 |
| აილენდერსი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 4 |
| რეინჯერსი | 6 | 1 | 1 | 4 | 10:19 | 3 |
| ნიუ ჯერსი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:10 | 2 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ფლორიდა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 5 |
| ვაშინგტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 5 |
| კაროლინა | 5 | 1 | 3 | 1 | 12:11 | 5 |
| ტამპა | 5 | 0 | 1 | 4 | 8:19 | 1 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 5 | 3 | 1 | 1 | 15:9 | 7 |
| ლოს ანჯელესი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:11 | 5 |
| ფინიქსი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:7 | 4 |
| ანაჰაიმი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:9 | 2 |
| სან ხოსე | 4 | 0 | 1 | 3 | 7:14 | 1 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 6 |
| ჩიკაგო | 5 | 3 | 0 | 2 | 12:13 | 6 |
| ნეშვილი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 3 |
| სენტ ლუისი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:10 | 3 |

ბომბარდირები: საიდორი (დალასი) 10 (4+6); ლინდროსი 8 (5+3); ლეკლერი (ორივე ფილადელფია) 8 (4+4); საკიკი (კოლორადო) და დამფუსი (მონრეალი) 7 (4+3); იაგრი (პიტსბურგი) და ჰალი (დალასი) 7 (1+6); რექი (მონრეალი) 7 (0+7); პერო (ლოს ანჯელესი) 6 (4+2)

# შენაჰანი პირველი საუკეთესოა



ნჰლ-ის ჩემპიონატის პირველი კვირის საუკეთესო მოთამაშე დეტროიტელი ბრენდან შენაჰანი გახდა. ფორვარდმა 4 მატჩში 5 გოლი გაიტანა (მათ შორის სენტ ლუისთან შესრულებული ჰეთ-თრიქიცაა) და კვირის სხვა ყოჩებს — დალასელ დერილ საიდორსა და ფილადელფიელებს, ერიკ ლინდროსსა და ჯონ ლეკლერს გაუსწრო. შენაჰანის ჩინებული თამაში მით უფრო გასახარია, რომ შარშან თავდამსხმელი ზურგის ტკივილის გამო ცუდ ფორმაში იყო და დეტროიტისთვის ტრიუმფალურ სეზონში ჩვეულად ვერ გამოირჩა.

სტარტის საუკეთესო ექვსეული (9-18 ოქტომბერი) კი ასე გამოიყურება:

*ბაირონ დაფო* (ბოსტონი); *დერილ საიდორი* (დალასი) — *უეიდ რედენი* (ოტავა)

*ჯონ ლეკლერი* (ფილადელფია) — *ერიკ ლინდროსი* (ფილადელფია) — *ბრენდან შენაჰანი* (დეტროიტი)

* * *

„2002 წლის ზამთრის ოლიმპიადაში ნჰლ-ელთა მონაწილეობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რაოდენ წარმატებული იქნება სატელევიზიო ჩვენების უფლების მქონე კომპანია NBC-თან მოლაპარაკება" — განაცხადა ლიგის კომისიონერმა გერი ბეტმენმა. მოგეხსენებათ, ნჰლ ერთობ დაინტერესებულია იმით, რომ მომავალ ოლიმპიადაზე ნაგანოს მიღწევა განმეორდეს, მით უმეტეს, ეს შეჯიბრი აშშ-ის ქალაქ სოლტ ლეიკ სიტიში გაიმართება. მატჩების ტრანსლაციისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ისა და კანადის გუნდების მონაწილეობით ჩატარებული შეხვედრების ჩვენებისთვის, უნდა გამოიყოს ყველაზე ხელსაყრელი დრო, რადგან დროში განსხვავების გამო მეორე ტელეკომპანია CBS იაპონიიდან შუაღამისას გადმოსცემდა რეპორტაჟებს.

* * *

ერთ-ერთი საგამოფენო მატჩის დროს პიტსბურგის წამყვანმა მცველმა დარიუს კასპარაიტისმა მუხლი ისე სერიოზულად დაიზიანა, რომ საკითხიც კი დადგა, მთელი სეზონი გამოეტოვებინა. ამნაირ ტრავმას მხოლოდ ოპერაციით თუ უშველი, მაგრამ ჰოკეისტმა ამაზე უარი თქვა და სარეაბილიტაციო კურსის გავლის შემდეგ ყინულზე დაბრუნება გადაწყვიტა. ორშაბათს მცველმა პირველი ვარჯიში ჩაატარა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალი კვირიდან თამაშსაც დაიწყებს.

* * *

კვირას, კოლორადოსა და ლოს ანჯელესის მატჩის დროს, უჩვეულო ამბავი მოხდა. მესამე პერიოდში „მეფეთა" ორივე მეკარემ ერთნაირი, კერძოდ, საზარდულის ტრავმა მიიღო. ჯერ ძირითადი გოლკიპერი სტეფან ფისე დაშავდა, მის ნაცვლად ყინულზე გასულმა ჯემი სტორმა კი სულ რაღაც ცხრა წუთი ითამაშა და მანაც საზარდული იტკინა, თუმცა მატჩი დაასრულა. როგორც გაირკვა, მისი საქმე უფრო რთულად ყოფილა — ფისესგან განსხვავებით, რომელიც შესაძლოა, უკვე მომდევნო მატჩისთვის იყოს მწყობრში, სტორს ერთკვირიანი მკურნალობა მოუწევს. ლოსანჯელესელთა შეშფოთებულმა მესვეურებმა სასწრაფოდ გამოიძახეს ფარმ-კლუბიდან მენი ლეგაჩე და 18 წლის ალექსეი ვოლკოვი. თუ ოთხშაბათამდე, ფლორიდასთან შეხვედრამდე, ფისე არ გამოჯანმრთელდება, ერთ-ერთი მათგანი კარში ჩადგება.

* * *

როგორც ჩანს, სულ მალე მონრეალს საკადრო პრობლემები აღარ შეაწუხებს. სამშაბათს კანადელებმა ერთ-ერთ უკანასკნელ ხელმოუწერელ აგენტთან, ბრაიან სავაჟთან მიაღწიეს შეთანხმებას. კლუბის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ფორვარდი ორი წლის განმავლობაში 3,5 მილიონ დოლარს მიიღებს და შესაძლოა, მომდევნო მატჩშივე გავიდეს ყინულზე. შარშან 27 წლის თავდამსხმელმა 64 მატჩში 26 გოლი და 17 პასი მიითვალა.

**სამველ ლარიბიანი**

## ხელბურთი

**გაის ზაფხულს ყატარი ხელბურთელ ვაჟთა ახალგაზრდული გუნდების მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამასწინათ ვენაში, ხელბურთის ევროპული ფედერაციის შტაბ-ბინაში გამართულ წილისყრას ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელი, ამავდროულად ხელბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი თამაზ თევზაძეც ესწრებოდა**

# ახალგაზრდების წილი

ბატონმა თამაზმა გვაცნობა, რომ ჩვენი ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრები მე-6 შესარჩევ ჯგუფში მოხვდა რუსეთის, პოლონეთისა და ბულგარეთის გუნდებთან ერთად. სულ კი ასეთი 6 ჯგუფია, საიდანაც მხოლოდ გამარჯვებულები მოიპოვებენ ფინალურ ეტაპზე გასვლის უფლებას. მათ კიდევ 5 ევროპული გუნდი დაემატება — დანია, იუგოსლავია, უნგრეთი, ესპანეთი და შვედეთი — წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის პირველი ხუთეული. სულ კი ევროპელთათვის 10 ადგილი იყო განკუთვნილი, მაგრამ იმის გამო, რომ დანია მსოფლიოს ჩემპიონია, მე-11 საგზურიც ევროპას ერგო.

სულ ყატარის დედაქალაქში 24 გუნდი იასპარეზებს. შესარჩევი მატჩები 2-4 აპრილს გაიმართება. ჩვენს ქვეჯგუფში მასპინძლობა ბულგარელებს დაეკისრათ. თუ ისინი უარს იტყვიან, მაშინ მათ რუსები შეცვლიან. თუმცა დღევანდელ რუსეთში არსებულ სიტუაციას თუ გავითვალისწინებთ, არ არის გამორიცხული, მასპინძლობა პოლონელებს მოუხდეთ.

აქვს თუ არა ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს ქვეჯგუფიდან გასვლის შანსი? ასეთი შეკითხვით მივმართეთ გუნდის მთავარ მწვრთნელს ჯემალ ბარამიძეს.

— ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავთ რუსებს და ფავორიტებადაც ისინი უნდა მივიჩნიოთ. იგივე ითქმის პოლონელებზეც. ბულგარელებთან მოგება შეიძლება. ურიგო ბიჭები არც ჩვენ გვყავს, მაგრამ გვექნება კი საშუალება რამდენიმე ამხანაგური მატჩი მაინც ვითამაშოთ? ჩემპიონატისწინა შეკრებაზე ალარაფერს ვამბობ.

**— გუნდის ლიდერად ალბათ სერგო დათუკიშვილი მოგვევლინება.**

— დათუკიშვილის გარდა ასაკით ასპარეზობის უფლება აქვთ გიორგი გვაზავას, გიორგი ქობელაშვილს, კახაბერ ჩაჩანიძეს, შოთა აბჟანდაძეს და მეკარე შოთა თევზაძეს. ვფიქრობ, სწორედ ესენი შექმნიან ნაკრების ბირთვს, თითოეული მათგანი ხომ ან ეროვნული ნაკრების წევრია, ანაც კანდიდატი. სულ კი განაცხადში 14 მოთამაშის შეყვანის უფლება გვაქვს. ჩემპიონატისთვის კარგა ხანია ვემზადებით, ყოველდღიურად ვვარჯიშობთ სტუ-შევარდენის დარბაზში. რაც შეეხება დათუკიშვილს, მას ერთი თვით სტაჟირებაზე ვაპირებთ გაგზავნას გერმანულ კლუბში.

**— წლის ბოლოს იუგოსლავიაში სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. ალბათ, თქვენს ბიჭებსაც მოუწევთ იქ თამაში.**

— რასაკვირველია, ახალგაზრდული ნაკრების რამდენიმე წევრი ითამაშებს იუგოსლავიაში. ისე კი ძირითადი ნაკრებიდან ასაკობრივი ცენზი მხოლოდ ვახტანგ მეიფარიანს შეეხო. ალბათ, მაკედონიაში მოთამაშე კალანდაძეს, ბოყოჩაძეს და თურქიას დავიმატებთ.

**ზურაბ ტაბატაძე**

## კრივი

# ბრძოლვინება სამხრეთ აფრიკაში?



ევანდერ ჰოლიფილდი და ნელსონ მანდელა

1974 წელს ზაირმა კრივის ისტორიაში ბევრის მიერ საუკეთესო ბრძოლად შერაცხულ „Rumble in the Jungle"-ს (ჩვენებურად „ბრძლვინვას ჯუნგლებში") უმასპინძლა, რომელშიც ლეგენდარულმა მუჰამედ ალიმ დაუმარცხებლად მიჩნეული ჯორჯ ფორმენი გვემა. და აი, ისტორიული მატჩიდან ზუსტად მეოთხედი საუკუნის შემდეგ შავ კონტინენტს კიდევ ერთი „საუკუნის ბრძოლის" მასპინძლობა სურს — მძიმე წონის ტიტულების გამაერთიანებელი შეხვედრისა ლენოქს ლუისსა და ევანდერ ჰოლიფილდს შორის.

ეს იდეა სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტის, ნელსონ მანდელას ქალიშვილ ზინდზის ეკუთვნის, რომელიც ამ დღეებში კრივის პირველ პრომოუტერს დონ კინგსაც შეხმიანებია. „ჩვენ კინგსაც შევხვდით და მისტერ ჰოლიფილდსაც. ორივე დაინტერესებულია, მატჩი სამხრეთ აფრიკაში ჩატარდეს — ზინდზის არც ის აწუხებს, რომ წესით და რიგით (ესე იგი, მაქსიმალური მოგების მისაღებად) მსგავსი შეხვედრები ლას ვეგასში უნდა გაიმართოს — სამხრეთ აფრიკას ძალიან, ძალიან დიდი შანსები გააჩნია".

ზინდზი ოჯახში კრივის ერთადერთი მოყვარული არ გახლავთ, თავად ნელსონ მანდელა ახალგაზრდობაში მოკრივე იყო, ამჟამადაც კრივის ახალ ამბებს არასდროს ტოვებს უყურადღებოდ. პრეზიდენტი შარშან სამხრეთ აფრიკაში მყოფ ევანდერ ჰოლიფილდსაც შეხვდა და სექტემბერში გამაერთიანებელი ბრძოლის მასპინძლობაზე სწორედ მან ჩამოაგდო სიტყვა. „მანდელა ძალიან მოხარული იქნება, თუ ბრძოლა სამხრეთ აფრიკაში ჩატარდება" — განუცხადა მისმა წარმომადგენელმა როიტერის სააგენტოს.

მსოფლიოს კრივის საბჭო, რომლ[...] ტიტულსაც ლენოქს ლუისი ფლობს, [...] ვის ყოველწლიურ სხდომის თვის ბ[...] ლოს გამართავს და, ალბათ, სწორედ [...] განიხილავს მომავალი ბრძოლის ჩატარ[...] ბის ადგილს თუ სხვა წვრილმან-მსხვ[...] ლმან (აქ მოკრივეთაჰონორარები იგულ[...] სხმება) დეტალებს.

**ბახა არჯევანიძ[...]**

## ჩოგბურთი

# სამპრასს არ დავუჩოქებ



სარბიელის არქივიდან

ჯონ მაკინროი

აშშ-ის დევისის თასის გუნდს მხსნელად ჯონ მაკინროის გამოჩენის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ჩოგბურთის უპირველესმა შარისთავმა და მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ამ დღეებში კიდევ ერთხელ შეახსენა თავი ყველას.

„დევისის თასი და ოლიმპიადა სასაცილო მდგომარეობაშია. საქმე ის არის, რომ ჩოგბურთელებს ამ ტურნირებში თამაში სრულიადაც არ აღელვებთ, რაც მე ძალიან მაკვირვებს. თუ გავითვალისწინებთ, რამხელა თანხებსა და ყურადღებას იმსახურებენ ისინი თავიანთი თამაშით, წელიწადში 4 კვირის მანძილზე თავიანთი ქვეყნის სახელით ასპარეზობის გამო ამდენს არ უნდა წუწუნებდნენ" — განაცხადა მაკინროიმ.

დიდი სლემის ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულმა ამავე დროს აშშ-ის დევისის თასის გუნდის კაპიტნის პოსტზეც განაცხადა უარი: „ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მუხლებზე დადგომა და სამპრასის ხვეწნა მომიწევდა, ითამაშე-მეთქი, რაც ჩემი უარის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ვერ წარმომიდგენია, ასე დაბლა როგორ უნდა დავიხარო."

სიდნეიში გამართულ პრესკონფერენციაზე, სადაც მაკინროი ვეტერანთა ტურნირ[...]ა, მას პატრიკ რაფტერის შესახებ აზრის გამოთქმა სთხოვეს. საქმე ის არის, რომ ამერიკელმა წლის დასაწყისში რაფტერს გადამწვარი ჩოგბურთელი უწოდა, აშშ-ის ღია პირველობაზე მის გამარჯვებას კი — შემთხვევითობა, არადა, კიკინიანმა ოზმა სექტემბერში დიდი სლემის ეს ტურნირი ზედიზედ მეორედ მოიგო.

„როგორც აღმოჩნდა, მას შესანიშნავი შესაძლებლობა აქვს, უახლოეს მომავალში მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი გახდეს. მთავარი ისაა, როგორ მოეკიდება იგი ამას ამჯერად" — უკან დახევის გარდა რაღა დარჩენოდა მაკინროის. თუმცა ამჯერად რაფტერს შარი იმაში მოსდო, ზედმეტად „კარგი ბიჭიაო": „პატრიკი ის პიროვნებაა, რომელიც მეგობრობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ამან კი შეიძლება ცუდი სამსახური გაუწიოს — ზოგჯერ კორტზე ისე ბოროტი ვერ იქნები, როგორც საჭიროა."

კორტზე მოქცევის საკუთარი ვარიანტი კი ერთ დროს „სუპერნაბიჭვრად" წოდებულმა ჩოგბურთელმა მაყურებლებს იქვე, სიდნეის ტურნირის ნახევარფინალში შესთავაზა. „იპოვე ტუალეტის ქაღალდი და პირიდან ეგ განავალი ამოიწმინდე" — მშვიდად უთხრა მაკინროიმ მთავარ მსაჯს, მერე კი მეტოქეს, შვედ მიქაელ პარნფორსსაც არანაკლები დღე დააყარა. ამერიკელი, ალბათ, ძველმა წყენამ თუ გაახელა. 1990 წელს იგი პარნფორსთან შეხვედრისას მსაჯის შეურაცხყოფისთვისი ავსტრალიის ღია პირველობის მერვედფინალიდან გააგდეს.

„ვერ გამიგია, რა უნდათ ჩემგან. ყველა მოუთმენლად ელის ჩემს აფეთქებას, მერე კი მიბრაზდებიან ამისთვის. თავს რომ არ ვიკავებდე, გაცილებით უკეთეს ტერმინებსაც მოგასმენინებდით. რაგბის მატჩებზე რომ მიკროფონები მოედნებზე დააყენონ, ცოდვა მაშინ გენახათ" — თავი იმართლა მაკინროიმ, მერე კი ორგანიზატორებს შესთავაზა, შუბლზე აბრას გავიკრავ, რომელიც მაყურებლებს მოსალოდნელი სიბილწეების შესახებ გააფრთხილებსო.

წლევანდელი დევისის თასის ფინალი, რომელშიც 4-6 დეკემბერს იტალია და შვედეთი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, მილანში გაიმართება.

იტალიის ჩოგბურთის ფედერაციამ ეს ქალაქი რომს, ტურინს, ანკონასა და პესაროს ამჯობინა. აპენინელები, რომლებიც ფინალში უკანასკნელად 1980 წელს ასპარეზობდნენ, შვედებს თავიანთთვის ხელსაყრელ, დარბაზში მოწყობილ თიხნარის კორტებზე დაუხვდებიან.

ამასობაში კი ლონდონში 1999 წლის გათამაშების მერვედფინალების კენჭისყრა შედგა. 2-4 აპრილს ერთმანეთს შეხვდებიან:

DAVIS CUP by NEC

**შვედეთი (1) — სლოვაკეთი**
**გერმანია (7) — რუსეთი**
**ინგლისი — აშშ (3)**
**ზიმბაბვე — ავსტრალია (5)**
**საფრანგეთი (6) — ჰოლანდია**
**ესპანეთი (4) — ბრაზილია**
**ბელგია — ჩეხეთი (8)**
**შვეიცარია — იტალია (2)**

*პირველად მითითებულია მასპინძელი ქვეყნები.*

# «სკადი» შემოირიგეს

ეტყობა, ხანგრძლივი დავის შემდეგ მარკ ფილიპუსისი დევისის თასის გუნდს დაუბრუნდება.

უთანხმოება ერთ-ერთ უძლიერესი მოწოდების პატრონ ავსტრალიელსა და დევისის თასის გუნდის ხელმძღვანელობას შორის წლის დასაწყისში დაიწყო, როდესაც „სკადმა" კაპიტან ჯონ ნიუკომბსა და მწვრთნელ ტონი როუჩს ბრალი დასდო, მამაჩემს რომ კიბო აღმოაჩნდა და ცუდად ავთამაშდი, ოდნავადაც არ დამეხმარეთო. პასუხად ფილიპუსისმა „შენ სულელი ხომ არა ხარო"-ის მსგავსი განცხადება მიიღო და შეურაცხყოფილმა ზიმბაბვესთან მერვედფინალურ მატჩში მონაწილეობაზე უარი თქვა.

ავსტრალიელებმა აფრიკელებთან სამარცხვინო მარცხი იწვნიეს და „სკადიც" კინაღამ ანათემას გადასცეს, თუმცა ამ ზაფხულს თანამემამულე ჩოგბურთელებთან მისი ურთიერთობა საბოლოოდ მოგვარდა. მერე ფილიპუსისი ერთი პირობა იმაზე განაწყენდა, როუჩი აშშ-ის ღია პირველობის ფინალში რაფტერის სტუმართა ლოჟაში რად იჯდაო (არადა, როუჩი რაფტერის მწვრთნელია), რითაც ეს უკანასკნელი და ჯონ ნიუკომბი ისე გაანაწყენა, ისინი თანამდებობიდან გადადგომით დაიმუქრნენ.

და აი, რამდენიმე დღის წინ ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯეფ პოლარდმა განაცხადა, სკადი შემოვირიგეთ და გაისად აპრილში ზიმბაბველებს შურის საძიებლად მასთან ერთად ვეწვევითო: „მარკმა იცის, რომ ფედერაცია მას ბოლომდე დაუჭერს მხარს. ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ იგი გუნდს დაუბრუნდება, რაც წარმატებების მოპოვების დიდ იმედს გვაძლევს."

პოლარდს არ დაუზუსტებია, ჩოგბურთელის აზრის შეცვლა ნიუკომბის გაგზავნილმა ფაქსმა გამოიწვია თუ რაიმე განსაკუთრებული პირობის შესრულებამ, არც ის, გუნდის ახლანდელი ხელმძღვანელები თავიანთ პოსტებზე საგაისოდ თუ დარჩებიან, მაგრამ ჟურნალისტებს ის კი არ დაუმალა, სკადთან მოლაპარაკებას დიდი სლემის თასის დროს, მიუნხენში ვაწარმოებდიო.

**ავთანდილ სვანიძე**



სარბიელის არქივიდან

მარკ ფილიპუსისი


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29